# საერთო გაზეთი

№17 (329) ● 13 მაისი, 2015 წელი ● გამოდის ოთხშაბათს ● WWW.SAERTOGAZETI.GE ● ფასი 1 ლარი

## დემურ გიორხელიძე:



ქართველები 25 წელია ვამტკიცებთ, რომ ჩვენი ფანტასტიკურად კარგი ქვეყანა ფეხებზე გვკიდია. თუ მას გავყიდით, მერწმუნეთ, 5-10 წელიწადში უცხოელები აქ სამოთხეს მოაწყობენ, მაგრამ ეს არ იქნება ქართველების ქვეყანა

## „ნაციონალები“ და მათი პატრონები საქართველოში



დიდი სოციალური აფეთქების მოწყობას გეგმავენ

## ვახტანგ ხომიზურაშვილი:

roca erovnu l i bankis prezidenti ise iqceva, rogorc giorgi qadagiZe iqceva, norma l ur saxe l mwifoSi aseT adamians momenta l urad xsnian Tanamdebobidan da pasuxs Txoven



## ლუდმილა ლავროვა:

„რა დავაშავე მე? მე ხომ თქვენ ძალიან მიყვარდით?“

„მეფეებს პოეტების ეშინიათ“, ანუ რას ფიქრობს რუსი მწერალი საქართველოზე და ქართველებზე



## დენიზა სუმბაძე:



ქართველებო, საქართველოს ისტორიული სამეფო ტახტის მიტაცებას, რომელიც დღეს თქვენ არ გაინტერესებთ, ებრაულ-სიონისტური მოძრაობა ცდილობს და მას ამაში ქართული ეკლესიაც მხარს უჭერს



## არც იესო ქრისტე ყოფილა ებრაელი და არც ქართველი მეფეები ყოფილან ბიბლიური დავითის ძენი

# SOS! „ნაციონალები“ და მათი პატრონები საქართველოში დიდი სოციალური აფეთქების მოწყობას გეგმავენ




„ნაციონალები“ და მათი პატრონები ნაბიჯ-ნაბიჯ, ეტაპობრივად ახორციელებენ იმ გეგმას, რომლის მიხედვითაც საქართველოში დიდი სოციალური აფეთქება უნდა მოხდეს, რასაც, მათი ვარაუდით, პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისი მოჰყვება, შემდეგ კი ეს ყველაფერი კრიზისული სიტუაციის განმუხტვის მიზნით კრიზისების მართვის „დიდი სპეციალისტის“ მიხეილ სააკაშვილის ქვეყანაში დაბრუნებით დაგვირგვინდება.

ექსპერტი, რომელიც ამ თემასთან დაკავშირებით გვესაუბრა და რომელმაც ვინაობის გამჟღავნება არ ისურვა, ამტკიცებს, რომ ამ გეგმის განხორციელებაში არა მარტო „ნაციონალები“, არამედ მრავალი სხვა სუბიექტიც მონაწილეობს, მათ შორის, საპარლამენტო და არასაპარლამენტო ოპოზიციის ერთი ნაწილი, ნაციონალების მიერ კონტროლირებადი ბეჭდური და ელექტრონული მედია, არასამთავრობო ორგანიზაციები, სხვადასხვა ეკონომიკური და საფინანსო ინსტიტუტები, რომლებიც ერთი პულტიდან იმართებიან და შეთანხმებულად, ურთიერთკოორდინირების რეჟიმში მოქმედებენ.

საქმე რომ გვაქვს კარგად ორგანიზებულ და, ამასთან ერთად, უხვად დაფინანსებულ სერიოზულ ძალასთან, ეს შესანიშნავად ჩანს თუნდაც „რუსთავი-2“-ის გადაცემებსა და თოქ-შოუებში.

**„რუსთავი-2“, თამამად შეიძლება ითქვას, ერთგვარი ცენტრალური შტაბის როლს ასრულებს, სადაც თავს იყრის „ფრონტის“ სხვადასხვა ფლანგებიდან წამოსული დარტყმები და ეს დარტყმები ერთ მძლავრ მუშტად ფოკუსირდება.**

„რუსთავი-2“-ის ეკრანიდან ასევე შესანიშნავად ჩანს, თუ როგორ სინქრონულად უტევენ საქართველოს ამჟამინდელ ხელისუფლებას ერთდროულად რამდენიმე ფლანგიდან და ეს მასირებული შეტევები, პერმანენტულად, უწყვეტად გრძელდება და თანდათანობით ძლიერდება.

იქმნება შთაბეჭდილება, რომ ამ შეტევის „სარდლობა“ ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ შეტევის ობიექტს სულის მოთქმის და საპასუხო დარტყმების განხორციელების საშუალება არ მისცეს.

საქართველოს ხელისუფლება თავდაცვის რეჟიმშია გადასული, რაც სტრატეგიულად და ტაქტიკურად, ცხადია, არასახარბიელო პოზიციაა.

თავდასხმა საუკეთესო თავდაცვააო, ნათქვამია, თუმცა საქართველოს ხელისუფლება ჯერჯერობით ვერა და ვერ ახერხებს თავისი ძალების სრულ მობილიზებას და მოწინააღმდეგისთვის ისეთი დარტყმის მიყენებას, რაც მას ნოკაუტში ჩააგდებდა.

2012 წლის ოქტომბრის არჩევნების შედეგებმა ნოკდაუნში კი ჩააგდო „ნაცმოძრაობა“, მაგრამ სანამ რეფერი ცხრამდე დაითვლიდა და „ნაცმოძრაობის“ მიერ ცხრა წლის განმავლობაში ჩადენილი ცოდვების გრძელ ნუსხას აუჩქარებლად წაიკითხავდა, „ნაცმოძრაობა“ ფეხზე წამოდგა, თავის ბრუალმაც ნელ-ნელა გაუარა და შეტევაზეც გადმოვიდა.

ჩვენი რესპონდენტის აზრით, ერთ-ერთი მთავარი დამრტყმელი ძალა, რომლის მეშვეობითაც საქართველოს ხელისუფლების დამხობას აპირებენ, ეს არის ეროვნული ბანკი და მისი პრეზიდენტი **გიორგი ქადაგიძე**.

**ეროვნულ ბანკს ყველანაირი ბერკეტი აქვს იმისთვის, რომ კიდევ უფრო გაიზარდოს ლარის ინფლაცია, რაც საქართველოს ეკონომიკას ფაქტობრივად დაანგრევს და მოსახლეობას უმძიმეს სოციალურ პრობლემებს შეუქმნის, რაც ავტომატურად გამოიწვევს მოსახლეობის უკიდურესად მძაფრ პროტესტს არსებული ხელისუფლებისადმი.**

ეროვნულ ბანკს, რომლის პრეზიდენტიც „ნაცმოძრაობის“ ფავორიტად და მის აქტიურ მხარდამჭერად მოიაზრებოდა ყოველთვის, ნამდვილად გააჩნია იმის შესაძლებლობა, რომ პროცესები საჭირო მიმართულებით წარმართოს და საჭიროების შემთხვევაში ეკონომიკური კრიზისისთვის უაღრესად ხელსაყრელი ფონი შექმნას. ეკონომიკური კრიზისი კი, მოგეხსენებათ, ძალიან ადვილად შეიძლება გადაიზარდოს პოლიტიკურ კრიზისში.

ხელისუფლების მკაცრ განცხადებებს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის მისამართით მყისვე მოჰყვა სავალუტო ფონდის ასევე კატეგორიულად გამოთქმული განცხადება, რომ ხელისუფლებამ თავი უნდა ანებოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტზე ზეწოლას, რადგან ეს საგრძნობლად შეგვილახავს თურმე იმიჯს საერთაშორისო ასპარეზზე.




სავალუტო ფონდს, რა თქმა უნდა, არ აუხსნია, რა შუაშია იმიჯის შელახვა, თანაც საერთაშორისო მასშტაბით, იმ დროს, როცა ეროვნული ბანკის პრეზიდენტის მისამართით ხელისუფლება სრულიად ლეგიტიმურ, სრულიად კონკრეტულ კითხვებს სვამს და ამ კითხვებზე პასუხს მოითხოვს.

მელამ რომ თავისი კუდი მოიყვანა მოწმედ, ისე ხომ არ არის სავალუტო ფონდისა და ბანკის პრეზიდენტ ქადაგიძის საქმე?

**შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სავალუტო ფონდის და ქადაგიძის კუდები ერთმანეთზე გადაფსკვნილი, მათ შუაში კი კიდევ ერთი კუდია ჩასკვნილ-ჩამარყუჟებული „ნაცმოძრაობის“ სახით.**

„ნაცმოძრაობა“ რომ მხოლოდ ადგილობრივი წარმოშობის უბედურება არ არის, ეს ბოლო დროის მოვლენებმაც ცხადყო.

„ნაცმოძრაობა“, რომლის დასაცავად და გადასარჩენად ლამის არის მთელი საერთაშორისო თანამეგობრობა აღსდგეს, ცხადია, ამ უცხო ძალების ინტერესების გამტარებელი იყო და არის მეტწილად, ვიდრე საკუთარი ქვეყნის ინტერესების.

„ნაცმოძრაობა“ ძალიან ჰგავს რომელიღაც უცნობი ძალის სადამსჯელო-საეგზეკუციო რაზმს და ადვილი შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ სსფ და ნაცმოძრაობა ერთი საერთო პატრონის ინტერესებს ემსახურებოდეს.

საერთაშორისო სავალუტო ფონდი ფრიად საეჭვო რეპუტაციის ორგანიზაციაა, რომელსაც ბევრი ქვეყნის ცოდვა აქვს კისერზე დადებული, მათ შორის საქართველოსიც.

**ჩვენი რესპონდენტი არ გამორიცხავს, რომ სავალუტო ფონდი რაღაც ფორმით ჩართული იყოს „ნაცმოძრაობის“ მიერ ორგანიზებულ შეთქმულებაში.**

ამ ეჭვის საბაბს იძლევა ის განსაკუთრებული ყურადღება და თავგამოდება, რასაც სსფ ეროვნული ბანკის პრეზიდენტის მისამართით იჩენს.

ასეა თუ ისეა, ცხადია, რომ საქართველოს ხელისუფლებამ ძალიან პრინციპული პოზიცია უნდა დაიკავოს ლარის გაუფასურების საკითხთან დაკავშირებით და ძალზე რადიკალური და




თამამი ნაბიჯები უნდა გადადგას მოსალოდნელი კატასტროფის თავიდან ასაცილებლად.

**ამ ხელისუფლებას სხვა ალტერნატივა არცა აქვს: ან ეროვნული ბანკის პრეზიდენტს და სავალუტო ფონდის რეკომენდაციებს შესწიროს ეს ქვეყანა და შეეწიროს თვითონაც, ან სახელმწი-**




„საერთო გაზეთი“
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, ალმაშენებლის 164;
ტელ.: 2 14 40 19; 2 34 28 97;
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

იბეჭდება შპს „გამომცემლობა საქართველოში“; ტელ.: 599 95 31 90

◆ ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.



**ფოებრივად სწორი გადაწყვეტილება მიიღოს და იმოქმედოს ისე, როგორც ეს ქართული სახელმწიფოს ინტერესებს სჭირდება.**

ჩვენი წყაროს ინფორმაციით, „ნაციონალური“ მეორედ მოსვლის პროექტში აქტიურ მონაწილეობას იღებს მოწვეული სპეციალისტი სოციალური აფეთქებების დარგში **შალვა ნათელაშვილი.**

ერთი შეხედვით, თითქოსდა დაუჯერებელი ჩანს ნათელაშვილის და სააკაშვილის პარტნიორობა, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით.

სინამდვილეში სწორედ ბატონი შალვაა სააკაშვილის პოლიტიკურ შარაგზაზე გაგმომყვანი, მისი დამფრთიანებელი და მისი პოლიტიკური მეჯვარე.

**ნათელაშვილი, რომელმაც ქართულ პოლიტიკაში ერთ-ერთმა პირველმა უარყო სინდისი, როგორც პოლიტიკოსისთვის უკიდურესად ზედმეტი და უსარგებლო რამ, ნელ-ნელა იქცა პოლიტიკურ შულერად და ყომარბაზად, რომელიც თამაშობს ყველასთან, ვინც ფულს ჩამოდის.**

არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, რას ლაპარაკობს ნათელაშვილი, რადგან სიტყვები მისთვის კარგა ხანია იქცა ნიღბად, რომელიც მის ნამდვილ სახეს და მის კულუარულ პოლიტიკურ კომბინაციებს მალავს და ჩქმალავს.

2003 წელს, როცა ნათელაშვილი ხმალამოღებული ებრძოდა შევარდნაძეს და მის ერთ-ერთ ყველაზე შეურიგებელ ოპონენტად ითვლებოდა, ამ დროს, როგორც თვითონ წამოსცდა ერთ ინტერვიუში, გამალებული აწარმოებდა მოლაპარაკებებს შევარდნაძის მარჯვენა ხელთან, გია ჭანტურიასთან — ფული მომეცით და სააკაშვილს საერთოდ გავაძევებ პოლიტიკური ასპარეზიდანო.

მსგავსი მაგალითებით სავსეა ნათელაშვილის პოლიტიკური ბიოგრაფია, ის კი მაინც ბედავს და თვალს უსწორებს ქართველ ერს — ჩემისთანა პატიოსანი, ჩემისთანა წესიერი მამულიშვილი ქართულ პოლიტიკას არ ჰყოლიაო.

**აი, ეს წესიერი და პატიოსანი ნათელაშვილი, როგორც ამბობენ, ახლა სააკაშვილის წისქვილზე ასხამს წყალს და ბიძინა ივანიშვილს ყაჩაღს და ბანდიტს ეძახის,** მიუხედავად იმისა, რომ ეს „ყაჩაღი“ და „ბანდიტი“ ივანიშვილი შალვა ნათელაშვილს მისი გაპრეზიდენტების შემთხვევაში პრემიერ-მინისტრად უნდოდა, თუმცა ეს „გენიალური“ საკადრო სქემა ნათელაშვილს ჩაეშალა, რის მიზეზადაც ის, როგორც ჩანს, ივანიშვილს მიიჩნევდა, რომელმაც არაფრად ჩააგდო „დიდი პოლიტიკოსის“ მიერ შემოთავაზებული წყალობა.




სწორედ ამის შემდეგ გადაეკიდა ნათელაშვილი ივანიშვილს და შემთხვევას არ უშვებს ლაფი და ტალახი არ ესროლის მას.

ნათელაშვილი სააკაშვილთან ფარულ ალიანსში რომ არის, ამის დასამტკიცებლად თუნდაც ის კმარა, რომ მას ფართოდ აქვს გახსნილი „ნაცმოძრაობის“ მიერ კონტროლირებადი საინფორმაციო საშუალებების კარები.

სოციალური ამფეთქებლების პოლიტბრიგადაში, როგორც ჩანს, კიდევ ერთი ამფეთქებელია ჩართული — **კახა კუკავა,** რომელიც თანდათანობით ძალიან ემსგავსება შალვა ნათელაშვილს.

სამწუხაროა, თუ ეს უდაოდ ნიჭიერი კაცი, თავის ადგილს ვერ მოძებნის ქართულ პოლიტიკაში და ვილაცების კლონის როლს დასჯერდება.

ისედაც უაღრესად ნერვიულ და პოლიტიკური ვნებებით დამუხტულ სიტუაციაში ასპარეზზე კიდევ ერთი ახალი მოთამაშე გამოჩნდა — **„ენერგო-პრო ჯორჯია“,** რომელმაც ტარიფის გაზრდის მოთხოვნით სემეკს მიმართა.

„ენერგო-პრო“-ს ამ განცხადებას მყისვე მოჰყვა „ნაცმოძრაობის“ პროპაგანდისტების მიერ ატეხილი განგაში — თუ ტარიფი არ გაიზარდა, სისტემა ჩამოიშლება და საქართველო წყვდიადსა და უკუნეთში ჩაინთქმებაო.

მიუხედავად მთავრობის არაერთ ახსნა-განმარტებისა, რომ კერძო კომპანიის განცხადება სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ტარიფი აუცილებლად გაიზრდება, და ეს რომ მოხდეს, ამისთვის საკმაოდ ბევრი პროცედურაა გასავლელი, „ნაცმოძრაობის“ პროპაგანდისტები მაინც ჯიუტად აგრძელებენ ზღაპრების თხზვას ქვეყანაში მოსალოდნელი ენერგეტიკული აპოკალიფსის შესახებ.

**„ენრგო-პრო ჯორჯიას“ უდროოდ და უადგილოდ გამოხტომის (რომელიც აშკარად შეიცავს საბოტაჟის ნიშნებს) საპასუხოდ, სამწუხაროდ, არავის მოსდის აზრად დასვას კითხვა: — რა კომპანიაა ეს „ენერგო-პრო ჯორჯია“? საიდან და როგორ, ვისი ხელშეწყობით გაჩნდა ის ქართულ ენერგოსივრცეში?**

„ენერგო-პრო ჯორჯია“ „ნაცმოძრაობის“ მმართველობის დროს შემოვიდა საქართველოში, თუმცა ამ კომპანიის ანკეტურ მონაცემებში თუ ჩაიხედავ, მიხვდები, რომ სიტყვა „შემოვიდა“, ამ შემთხვევაში აშკარად უადგილოა.

საქმე ის არის, რომ „ენერგო-პროს“, რომელსაც საქართველოს იმჟამინდელმა პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა და საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა იმთავითვე



სასათბურე პირობები შეუქმნეს, ფაქტობრივად არ ჩაუდია ინვესტიცია და ის თანხა, რომლის საფასურადაც მან ელექტროდისტრიბუციის უმნიშვნელოვანესი სეგმენტი შეიძინა, მას საკუთარი ჯიბიდან არ გადაუხდია — მომხმარებლებისგან მიღებული შემოსავლებით გადაიხადა.

**დარგის სპეციალისტების მტკიცებით, „ენერგო-პრო ჯორჯიას“ საქმიანობა არაერთ უხეშ კანონდარღვევასთან, მაქინაციებთან, კომბინაციებთან და საგანგაშო მასშტაბების კორუფციულ სქემებთან არის დაკავშირებული.** (ამის შესახებ „საერთო გაზეთის“ რამდენიმე ნომერში ვრცელი სტატიებია გამოქვეყნებული).

უპრიანი ხომ არ იქნება, საქართველოს ხელისუფლებამ, სანამ „ენერგო-პროს“ პრეტენზიებს მოისმენდეს, ყურადღებით ჩაიხედოს ამ კომპანიის „შრომითი ბიოგრაფიის“ შავ-ბნელ ლაბირინთებში და იქ საქართველოს მოსახლეობის ჯიბეებიდან ამოცანცლულ მილიონებს კი არა მილიარდებს თუ დაინახავს, იქნებ დამნაშავეებს საკადრისი პასუხი მოსთხოვოს?

სპეციალისტთა მტკიცებით, საქართველოს ენერგოსტრუქტურები სანამ „ნაცმოძრაობის“ კადრებისგან არ გაიწმინდება, იქ ყოველთვის იარსებებს დესტაბილიზაციისა და საბოტაჟის სერიოზული საფრთხე, რომელსაც შეუძლია ქვეყნის სტაბილურ განვითარებას დიდი დაბრკოლებები შეუქმნას.

ეს წერილი ერთგვარი მცდელობაა, თუნდაც ზედაპირულად და სქემატურად, საზოგადოებასაც და ხელისუფლებასაც დავანახოთ თუ რა ფართო ფრონტით აპირებს „ნაცმოძრაობა“ ახალი შეტევის განხორციელებას.

„ნაცმოძრაობას“ ამ ანტისახელმწიფოებრივი ამოცანის შესრულებაში, როგორც ჩანს, გარე ძალებიც აქტიურად ეხმარებიან.

ჩვენს მიერ ზემოთ დასახელებული სტრუქტურები, პოლიტიკური სუბიექტები, მასმედიის დიდი ნაწილი, ეს ერთი ჯაჭვის რგოლებია, ერთი შეთქმულების, ერთი გეგმის შემადგენელი ნაწილებია და თუ ხელისუფლება ოპერატიულ ზომებს არ მიიღებს ამ ჯაჭვის ჩასახსნელად და ამ კარგად ორგანიზებული გეგმის ჩასაფუშად, შეიძლება პროცესები ისე სწრაფად განვითარდეს, რომ დაგვიანებული რეაქციით მათი შეჩერება შეუძლებელი გახდეს...

**„საერთო გაზეთი“**



# ქართველები 25 წელია ვამტკიცებთ, რომ ჩვენი ფანტასტიკურად კარგი ქვეყანა ფეხებზე გვკიდია. თუ მას გავყიდით, მერწმუნეთ, 5-10 წელიწადში უცხოელები აქ სამოთხეს მოაწყობენ, მაგრამ ეს არ იქნება ქართველების ქვეყანა



**ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური და ეკონომიკური პროცესებთან დაკავშირებით გვესაუბრება ეკონომიკური საკითხების ექსპერტი, პოლიტიკოსი დემურ გიორხელიძე.**

- სიმართლე გითხრათ, შესაფასებელი ბევრი არაფერია, მთავრობა იცვლება, მაგრამ ეს კოსმეტიკური ცვლილებაა. ჩვენ არ ვიცით, რატომ დაინიშნენ ის მინისტრები, რომლებიც თავის დროზე დაინიშნენ და შემდგომ რატომ გათავისუფლდნენ, რა გააკეთეს, რა ვერ გააკეთეს, საერთოდ მთავრობას ორ წელიწადნახევრის განმავლობაში რა უნდა გაეკეთებინა, რა ვერ გააკეთა. ასეთი პარამეტრები არ არსებობს, ამიტომ ჟურნალისტები გაურკვეველ მდგომარეობაში არიან და სერიოზულ შეცდომას უშვებენ, როდესაც ეკონომიკური გუნდის გამოყოფას და მათ პასუხისმგებლობას ითხოვენ.

**- ლარის კურსის კატასტროფული ვარდნაში ნაციონალები მთავრობას ადანაშაულებენ, მთავრობა ამის მიზეზად გარე ფაქტორებსა და ეროვნული ბანკის არასწორ პოლიტიკას. თქვენი აზრით, ლარის გაუფასურება რამ გამოიწვია?**

- ცხადია, ის, რაც დღეს ლარს ჭირს, არ არის ერთი ფაქტორის შედეგი. ისიც ცხადია, რომ ეროვნული ბანკი ორი წლის განმავლობაში სრულიად გაუგებარ მონეტარულ პოლიტიკას ატარებდა, იგი აშკარად იყო ცუდი ბროკერის როლში, რომელიც არა რეგულატორი, არამედ სამი მსხვილი ბანკის მომსახურე იყო. სწორედ ცუდმა რეგულირებამ, ცუდმა ფულადმა პოლიტიკამ, რომელიც არ იყო ერთიანი მაკროეკონომიკური პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი, გამოიწვია ეს შედეგი. შემდეგ ამას მთავრობის სისუსტეც დაერთო, იგი ვერ გაერკვა რა პროცესები მიდიოდა. მაკროეკონომიკური პოლიტიკის ის ნაწილი, რომელიც მთავრობას უნდა შეესრულებინა, ვგულისხმობ ფისკალურ პოლიტიკას, ძალზე სუსტი იყო. დღევანდელ მდგომარეობაში საბოლოო ჯამში ეროვნული ბანკიც და მთავრობაც თანაბრად არის დამნაშავე. ხელისუფლებას უბრალოდ არ აღმოაჩნდა იმის ნება და პასუხისმგებლობა, რომ საქმე აქამდე არ მიეყვანა. ცხადია, ლარი ვერ იქნებოდა შენარჩუნებული იმ ძალზე მაღალ ნიშნულზე, რომელზეც ხელოვნურად იყო მიყვანილი წინა ხელისუფლების მიერ, რაც კეთდებოდა მხოლოდ ფულის მიწოდების ხელოვნური შეზღუდვის გზით. ცხადია, ლარის დევალვირება უნდა მომხდარიყო, მაგრამ არა ასე ელვისებურად, სპეკულაციაზე აგებულმა დევალვაციამ, ბანკებს ფანტასტიკური მოგება მისცა, ხოლო ჩვენი მოქალაქეები კიდევ უფრო გააღარიბა. ჩემთვის სრულიად გაუგებარი იყო ის, რომ ხელისუფლების შეცვლის შემდეგ ეროვნული ბანკის ხელმძღვანელი თავის თანამდებობაზე რჩებოდა, რომელიც სხვა პოლიტიკური ჯგუფის გავლენის ქვეშაა, ის სხვა პოლიტიკურმა ჯგუფმა სრულიად დაუმსახურებლად, ნულოვანი ბექგრაუნდის პირობებში დასვა ხსენებულ თანამდებობაზე. გიორგი ქადაგიძე ასრულებს იმ დავალებებს, რა დავალებებსაც თავისი როგორც იტყვიან, პარტიული ბოსები მისცემენ. ფაქტია, ქვეყანა დაზიანდა, მოდით, ასე ვთქვათ, თუ ეროვნულმა ბანკმა რაიმე არასწორი გააკეთა, ხელისუფლებამ მისცა ამის საშუალება, ე.ი. ხელისუფლებამ ან არ იცოდა ეროვნული ბანკი რას აკეთებდა, ანდა, როცა მიხვდა, უკვე გვიან იყო. ხელისუფლების საერთო სისუსტე, სტრატეგიის, სერიოზული სისტემური რეფორმების ხედვის არქონა, შემთხვევითი საკადრო პოლიტიკა... გადახედეთ ამ ორწელნახევრის განმავლობაში რა ხალხი მოიყვანეს თანამდებობებზე, თუ გნებავთ ის შეცვლილი მინისტრები. ისინი არც პოლიტიკური გუნდის ნაწილი იყვნენ, ვიღაც გავლენიანი, რომ იტყვიან არაფორმალური გადაწყვეტილებების მიმღების გადაწყვეტილების შედეგი იყო და ცხადია, საიდანღაც „დახეთქებული" მინისტრები უუნარონი და უვარგისნი აღმოჩნდნენ, თუ გნებავთ უკვე შეცვლილი ინფრასტრუქტურის და გარემოს დაცვის მინისტრები. ვინ იყო ეს ხალხი, მათ სახეზეც არავინ იცნობდა. როგორც ჩანს, ხელისუფლება საიდანღაც იმართება, რაც გასაკვირი სულაც არ არის.

**- ბატონო დემურ, სანამ ახლად დანიშნულ მინისტრებზე ვისაუბრებდეთ, იქნებ მითხრათ, რატომ არ შეცვალეს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი, ამ შემთხვევაშიც საგარეო ფაქტორებმა ხომ არ იქონიეს გავლენა?**

- მართალია მოქმედი კანონმდებლობა მისი შეცვლის პირდაპირ საშუალებას არ იძლეოდა, რადგან ეროვნული ბანკის საბჭო ისეა ფორმირებული, რომ გადაწყვეტილებებზე გარედან რაიმე მოქმედება შეუძლებელია, რაც ერთის მხრივ კარგია, მაგრამ გააჩნია იქ ვინ არის ხომ? ამიტომ ახლად მოსულ ხელისუფლებას, ასეთ მნიშვნელოვან ადგილზე რეფორმები და ვითარების ნამდვილად გაუმჯობესება რომ ჰქონოდა მიზნად, იგი კანონმდებლობასაც შეცვლიდა და მონეტარული პოლიტიკა გახდებოდა ერთიანი მაკროეკონომიკური პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი, როგორც მთელ მსოფლიოშია. მერე რა, რომ ნაწილს მთავრობა ასრულებს და ნაწილს ეროვნული ბანკი, პოლიტიკა ერთია, რაკი ასე არ იყო, იმიტომაც მივიღეთ მძიმე შედეგი. **კანონმდებლობა რომ შეცვლილიყო, ზეწოლა განხორციელდებოდა ეროვნული ბანკის პრეზიდენტზე, ის დატოვებდა თანამდებობას, მოიძებნებოდა ვინმე ღირსეული კანდიდატი, რომელიც იქნებოდა არა გავლენის ფიგურა, არამედ პროფესიულად და პასუხისმგებლობით გაცილებით მაღალ საფეხურზე მდგომი და აქამდე არ მიიყვანდა საქმეს.** მე ახლაც ვერ ვხედავ მთავრობის ცვლილებებში რაიმე აზრს, რადგან ვერ ვხედავ შეხედულებებში ცვლილებებს. ეროვნული ბანკის პრეზიდენტის შეცვლასთან დაკავშირებით არანაირ საგარეო ფაქტორს არ ვხედავ, ეს არის სუსტი ხელისუფლების შედეგი და არა დასავლეთის, ან ჩრდილოეთის გავლენა.

**- თინა ხიდაშელისა და გიგლა აგულაშვილის გამინისტრებამ საზოგადოება შოკში ჩააგდო. რესპუბლიკელთა ურეიტინგო პარტიის მიერ ხელისუფლების ლამის მთელი პოლიტიკური სადავეების ხელში ჩაგდებას როგორ შეაფასებდით?**

- ვინც სადავეებს იღებს, პასუხიც მას უნდა მოეთხოვოს, ამიტომ აქ საშინელს ვერაფერს ვხედავ. რაც შეეხება უშუალოდ თინა ხიდაშელს, ჩვენ ასეთი პოლიტიკური მმართველობის პირობებში რომელიმე თანამდებობაზე რომელიმე ადამიანის დანიშვნა არ უნდა გაგვიკვირდეს. ჩემი შეფასებით, არ მგონია თინა ხიდაშელისთვის ეს კარგი დანიშვნა იყოს, თუ პერსპექტივაში ის თავს პოლიტიკურ ფიგურად მოიაზრებს. ახლა მთავარი ისაა, რომ მან შეძლოს თავდაცვის სამინისტროში ვითარების, რომ იტყვიან, პროფესიულ ჩარჩოში გადაყვანა. ბატონი ალასანია იყო და სრულიად გაუგებარი თავდაცვის მინისტრი იყო, კატასტროფულ განცხადებებს აკეთებდა, უფრო დიდ საფრთხეებს უქმნიდა ქვეყანას, ვიდრე რაიმეთი ხელს უწყობდა. არ მგონია თინა ხიდაშელმა ირაკლი ალასანიას გზა გააგრძელოს, თუ გააგრძელებს, უბრალოდ ცუდად დაამთავრებს თავის პოლიტიკურ მოღვაწეობას, რადგან ჩვენი ქვეყნის 25-წლიანი გამოცდილება გვეუბნება, რომ დღეს თუ არა ხვალ, ყველას მოეკითხება პასუხი. დააკვირდით, რამდენი ადამიანი გაქრა პოლიტიკური ასპარეზიდან, მიუხედავად იმისა, რომ მაღალი თანამდებობებიც ეკავათ. საქართველოში უბედურება აგრესიული, უზრდელი, თავხედი და უპასუხისმგებლო დილეტანტიზმია. სწორედ ამ უზრდელმა და თავხედმა დილეტანტიზმმა მიიყვანა ქვეყანა ამ მძიმე მდგომარეობამდე, რაც ჯერჯერბით კვლავ გრძელდება. რაც შეეხება ქვეყნისთვის საფრთხეების შექმნას, მე წინსწრებით არ ვფიქრობ, წინასწარ ნურაფერს ვიტყვით. ვიმეორებ, თუ იგივე კურსი გაგრძელდა, რაც ბატონ ალასანიას დროს გვქონდა, რა თქმა უნდა ქვეყანა დაზიანდება, მაგრამ არც თინა ხიდაშელია სამარადჟამოდ არჩეული მინისტრი, შედეგების მიხედვით, მასაც ადრე თუ გვიან პასუხს მოთხოვენ. თუ საბრძოლო მოქმედებებში ჩაგვითრიეს, ეს იქნება კატასტროფა. თავდაცვის მინისტრი თუ ხელს შეუწყობს იმას, რომ საქართველო სადმე საომარ მოქმედებებში ჩაერთოს... მაშინ ისედაც მძიმე მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდება. მაშინ მოხდება ის, რაც მოსალოდნელია, ანუ სახელმწიფოებრიობის დაკარგვა და მისი შემდგომი დეზინტეგრაცია არაერთი ქვეყნის მიერ.



გიგლა აგულაშვილთან გარკვეულწილად მქონია შეხება, მას ისეთი პიროვნული თვისებები აქვს, რომ არ მგონია ის ფიგურა იყოს, რომელიც შეგნებულად გააფუჭებს რაიმეს, ანდა ქვეყნისთვის საზიანო გადაწყვეტილებას დაუჭერს მხარს. მე არ ვფიქრობ, რომ ხსენებული მიწის კანონი გიგლა აგულაშვილის ინიციატივაა. მე ერთ-ერთ საპარლამენტო განხილვაში ვმონაწილეობდი და შემიძლია გითხრათ, რომ უბრალოდ ეს არის დავალება საქართველოს ხელისუფლებისთვის, რომელიც საიდანღაც მომდინარეობს. ყველა, ვინც ამბობს, რომ განუკითხავად უნდა გაიყიდოს უცხოელებზე ჩვენი სასოფლო-სამეურნეო მიწები, ან პროვოკატორია, ან შეგნებული მტერი, ანდა გრანტს დახამებული მათხოვარია, რომელსაც ერთადერთი მიზანი აქვს, ოღონდ უცხოელებმა დააფინანსონ და ჭირსაც წაუღია საქართველო, სხვა შეფასება არ შეიძლება. მსოფლიოს არცერთ ქვეყანაში არ არსებობს ასეთი განუკითხაობა და უპასუხისმგებლობა საკუთარი სასიცოცხლო რესურსისადმი. მიწა არ წარმოადგენს ჩვეულებრივ საქონელს. ჩვენს წყალწყალა ლიბერალებს, წყალწყალა პროფესიონალებს, რომლებსაც ძალიან მწყრალი დამოკიდებულება აქვთ ეკონომიკასთან და იდეოლოგიის დონეზე ეკონომისტობენ, ისიც ვერ გაუგიათ, რომ მიწა და კბილის ჯაგრისი ერთი და იგივე საქონელი არ არის. ხსენებული კანონი ქვეყნისთვის მავნებლურია, რაც ძალიან ძვირად დაუჯდება საქართველოს. უცხოელები თუ იყიდიან, ზემოხსენებულთა ლოგიკას თუ გავყვებით დიახ, მიწა

6 gv.

## ვახტანგ ხომიზურაშვილი:

# როცა ეროვნული ბანკის პრეზიდენტი ისე იქცევა, როგორც გიორგი ქადაგიძე იქცევა, ნორმალურ სახელმწიფოში ასეთ ადამიანს მომენტალურად ხსნიან თანამდებობიდან და პასუხს თხოვენ

**გვესაუბრება „თბილისის ბანკთაშორისი სავალუტო ბირჟის ვიცე-პრეზიდენტი (1994-2006 წ.წ.), ფასიანი ქაღალდების ბაზრის ექსპერტი ვახტანგ ხომიზურაშვილი:**

**— ბატონო ვახტანგ, ქვეყანაში სერიოზული სავალუტო, შესაბამისად, საფინანსო კრიზისია. ლარი კვლავ გაგვექცა. როგორ შეიძლება განვითარდეს მოვლენები?**

— რეალურად, ლარის კურსი გარბის, უფასურდება, ვერც ვერაფერს შველიან და ყველაფერს ერთმანეთს აბრალებენ. ეროვნული ბანკიც და მთავრობაც, ორივე დამნაშავეა, ეს ერთიანი გუნდია მიუხედავად იმისა, რომ ეროვნული ბანკი დამოუკიდებელ ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკას ატარებს. მოდით, განვიხილოთ, რამ განაპირობა ლარის ასეთი დასუსტება? მცდარია აზრი, თითქოს, ეს ბოლო ორი წლის მანძილზე მოხდა. ლარი მანამდეც დაავადებული იყო. 9 წლის მანძილზე სააკაშვილის მთავრობა ისეთ პოლიტიკას ატარებდა, რომელიც ფულადი მასის შეზღუდვისკენ იყო მიმართული. ანუ, ზედმეტ ფულად მასას მიმოქცევაში არ უშვებდნენ, არც საინვესტიციო კლიმატის ჩამოყალიბებაზე ზრუნავდნენ. ეკონომიკის რეალურ სექტორში ინვესტიციების შემოდინებას მართვა სჭირდება, რისი კომპეტენციაც არ ჰყოფნიდათ. ეს „ნაცმოძრაობის" თავის ტკივილი იყო. ამიტომ, მათ, მარტივი პოლიტიკა არჩიეს — შეზღუდული ფულადი მასა და უმუშევრობა. ამიტომაც არ უზრუნიათ დიდად უმუშევრობის დაძლევაზე, რადგან ამ დროს სავალუტო კურსის დაჭერა და რეგულირება მარტივია. ახალი მთავრობის დროს დაიწყო სხვადასხვა პროგრამები, მათ შორის, „აწარმოე საქართველოში", რაშიც დიდი თანხები ჩაიდო, რომელიც ჯერ დასაქონლებული არაა. ანუ, პროექტებმა მომგებიან წერტილზე გასვლა ვერ მოასწრო, რამაც აღნიშნულ პროცესზე იმოქმედა. ზოგი, ლარის გაუფასურებას გარეფაქტორებს აბრალებს. გარკვეულწილად, ასეცაა — საქართველოდან, სხვადასხვა მიზეზების გამო, ვალუტის გადინების შედეგად მივიღეთ ის, რაც მივიღეთ. დღევანდელი მთავრობის სისუსტე ისაა, რომ ვერ შექმნა წინაპირობა, რათა საინვესტიციო კაპიტალი მოზიდულიყო, ანუ, გრძელვადიანი, იაფი კაპიტალის მოზიდვის და დაბანდების ხელსაყრელი პირობები.

**— თუმცა, საინვესტიციო კლიმატის არშექმნა მხოლოდ მთავრობის ბრალი ვერ იქნება.**

— დიახ, გეთანხმებით. 9 წლის მანძილზე „ეროვნულ ბანკს" თითი თითზე არ დაუკარებია იმისათვის, რომ საინვესტიციო კუთხით სტიმულირება მომხდარიყო. ვგულისხმობ, შემდეგს: საქმე ისაა, რომ ამ წლების განმავლობაში სწორედ „ეროვნული ბანკის" პრეროგატივა იყო ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეგულირება. მან, არათუ სტიმულირებაზე თქვა უარი, არამედ, საერთოდ, გახედვაც არ უნდოდა იმ კომპანიებისკენ, რომლებიც საინვესტიციო კაპიტალის მოზიდვის საკითხებში, ფასიანი ქაღალდების გამოშვებით, აქტივობას იჩენდნენ. რა ხდება დღეს? — საფონდო ბირჟა, ფაქტობრივად, მკვდარია, ზომბირებულ სიტუაციაშია.

**— როგორ ხდება დღეს კურსის ფორმირება?**

— ეს ძალიან საინტერესო მომენტია. დღეს არსებული სავალუტო კურსის ფორმირების მექანიზმი, აბსოლუტურად, გაუმჭვირვალეა. არავინ იცის რა მოთხოვნაა, რა მიწოდებაა, როგორი ტენდენციებია და ა.შ. ვეცდები, დეტალურად ავხსნა, რა არის კურსის ფორმირების დღევანდელი სისტემა — ესაა ბლუმბერგი, ჩვეულებრივი საინფორმაციო სისტემა, სადაც ოფიციალური კურსი ე.წ. მცურავი კურსის პრინციპზე ყალიბდება. თუმცა მცოცავი კურსი, განვითარებული ქვეყნების პრეროგატივაა, რაც ჩვენისთანა განვითარებადი ქვეყნისთვის მიზანშეწონილი არაა. სამწუხაროდ, საქართველოში, ლარის კურსს ორი ბანკი აყალიბებს, რომელთაც შეუძლიათ ძალიან ბევრი რაღაც იყიდონ და გაყიდონდა ეს „ეროვნულ ბანკს" ნორმალურად მიაჩნია.



**— რატომ აღარ ხდება კურსის ფორმირება საბირჟო პრინციპით და რამ განაპირობა გაუმჭვირვალე ბლუმბერგის სისტემის დამკვიდრება, ვის აწყობდა ეს?**

**— ალბათ, გახსოვთ, ამ საკითხზე, კახა ბენდუქიძის ცნობილი მიდგომა, რომელსაც უნდოდა ლარი საერთოდ, სუროგატად ექცია, რომელიღაც ვალუტაზე მიება, ლარის, როგორც ეროვნული ვალუტის მნიშვნელობა დაკარგულიყო და მერე დამდგარიყო საკითხი — საჭიროა თუ არა ლარი და საბოლოოდ, საერთოდ, ამოეღოთ მიმოქცევიდან. ამის განხორციელება პირდაპირ დავალებული ჰქონდა „ეროვნული ბანკის" მაშინდელ პრეზიდენტს რომან გოცირიძეს.** რომან გოცირიძის ხელით, ფაქტობრივად, სავალუტო ბირჟა მოსპეს, სადაც პარალელურ რეჟიმში, შემუშავებული და აპრობირებული იყო სხვა პროექტი — სავალუტო კურსის დაზღვევის მექანიზმი. ჩვენ სხვადასხვა ბირჟებთან — ფრანკფურტის, სტოკჰოლმის, ციურიხის უკვე წინასწარ დადებული გვქონდა ხელშეკრულებები. აღარაფერს ვამბობ კიევის და სტამბოლის ბირჟებთან დადებულ ხელშეკრულებებზე. **სავაჭრო ბირჟა რომან გოცირიძემ ერთი ხელის მოსმით მოსპო და დღეს, ვითომც არაფერი ისე გველაპარაკება ლარის კურსის რყევაზე.** სავალუტო ბირჟა მოსპეს და ბლუმბერგის სისტემაში გადავიდნენ. აბსოლუტურად მესმის იმ ხალხის, კომპანიების ხელმძღვანელების, პოლიტიკოსების, რომლებიც ამბობენ, რომ რაღაც უბედურება გველოდება. რატომაა ასეთი მოლოდინი? — იმიტომ, რომ კურსის ფორმირების მექანიზმის ჩამოყალიბება, გაუმჭირვალეა, არავინ იცის რა, როგორ ხდება — ერთი ბანკი აყალიბებს თუ ორი ბანკი აბურთავებს ამ კურსს. არეგისტრირებენ გარიგებებს, რომელიც კურსზე მოქმედებს და მერე ამ გარიგებებს აღარ ასრულებენ, დაზუსტებით, არავინ არაფერი იცის.



არ მესმის, მაშინ როდესაც სავალუტო კურსის პრობლემაა რატომ იძლევა „ეროვნული ბანკი", პირდაპირ ვიტყვი, აბსოლუტურად, უპრაგონოდ, დაუსაბუთებლად რეფინანსირების სესხებს, ანუ ბანკებს აძლევს სესხებს. მერე აცხადებს, იცით, ეს სესხები რეზერვების ფორმირებაზე მიდის, ეს არ ხვდება სავალუტო ბაზარზეო, რაც მარაზმია, ტყუილია. პირველკურსელმა სტუდენტებმაც იციან, რომ შეუძლებელია ასეთი რამ მოხდეს იმიტომ, რომ როდესაც ბანკი ბანკთაშორის სესხს იღებს, ეს იმდენად მოკლევადიანია, რომ პირდაპირ სავალუტო ბაზარზე მიმართავს, რათა დოლარი ან ევრო შეიძინოს. ეს ბანკის პოზიციიდან გამომდინარე, ნორმალურია. ამიტომ, „ეროვნული ბანკის" ასეთი მიდგომა, აბსოლუტურად, საწინააღმდეგოა საღი აზრის. არ შეიძლება ლარის ფულადი მასა გაზარდო, როდესაც ლარი ისედაც ცუდ მდგომარეობაშია. ეს მომენტები საინტერესოა. დღევანდელი სიტუაცია ძალიან სახიფათოა.

**— როგორც აღნიშნეთ, გოცირიძემ სავალუტო ბირჟა დაშალა და დღეს ბლუმბერგის სისტემით ვხელმძღვანელობთ. კონკრეტულად, რა საფრთხის მატარებელია ყოველივე?**

— აქ იყო მიზანმიმართული შეტევა სავალუტო ბირჟაზე იმიტომ, რომ არ აწყობდათ გამჭირვალობა, სამართლიანი კურსი და ის მექანიზმები, რომელიც სავალუტო კურსის ფორმირების დროს იყო ჩვენთან დანერგილი. როდესაც ბანკთაშორის სავალუტო ბირჟის ვიცე-პრეზიდენტი გავხდი მაშინ, მახსოვს, **ირაკლი მანაგაძესთან** ერთად ლიმიტირების მექანიზმები შევიმუშავეთ. ეს აბსოლუტურად, გამჭირვალე, თავისუფალი ბაზარი იყო, არავითარი შეზღუდვები არ არსებობდა. რომან გოცირიძემ, ეს ბირჟა, პრაქტიკულად, დაშალა. არ ვიცი, როგორ შეიძლება შექმნილი, ეფექტიანი სტრუქტურა ადგე და ასე დაშალო. ბირჟის დაშლა მერე, ბლუმბერგის სისტემით გაამართლეს, რომელიც ჩვეულებრივი საინფორმაციო სისტემაა, ისევე როგორც სკაიპი.



**— ბატონო ვახტანგ, სავალუტო ფონდის მისია „ეროვნულ ბანკს" ქმედებებს უწონებს. რას იტყვით, ამის თაობაზე?**

— ერთ რამეს ვიტყვი: როცა სავალუტო ფონდის მისია ჩამოდის და ორი კვირის თავზე ეროვნულ ბანკს რეკომენდაციებს აძლევს, თან ამბობს არც თუ ისე კარგი სიტუაცია გაქვთ, მაგრამ სიმშვიდე შეინარჩუნეთო, პირდაპირ გეტყვით, ეს ზედაპირული ანალიზის საფუძველზე დადებული დასკვნებია. ამიტომაცაა, რომ მთელს მსოფლიოში სავალუტო ფონდის და მსოფლიო ბანკის ასეთმა ზედაპირულმა მიდგომამ არაერთხელ მოიტანა ძალიან ნეგატიური შედეგები. შეუძლებელია შაბლონით, ერთი სტერეოტიპით მიუდგე ყველა ქვეყანას, სადაც არის თავისი ნიუანსები იგივე სავალუტო პოლიტიკაზე, მოხმარებაზე, ეკონომიკის რეალური სექტორის ფუნქციონირებაზე და ა.შ. ეს ინდივიდუალურია იმიტომ, რომ გადაწყვეტილებებს ხალხი იღებს. ჩვენთან, ევროპასა და ამერიკაში ხალხი აბსოლუტურად, განსხვავებული მენტალობისაა. აქედან გამომდინარე, ასეთი მიდგომები, პირიქით, ვნებს იმიტომ, რომ ეს დასკვნები ზედაპირულია. ჩვენ, ვნახეთ, რა მოხდა მექსიკაში, რომელიც სავალუტო ფონდის რეკომენდაციების პირველი შემსრულებელი იყო. იგი ზედმიწევნით ასრულებდა სავალუტო ფონდის და მსოფლიო ბანკის რეკომენდაციებს და შედეგად 42 მილიარდიანი კრიზისი მიიღო. იგივე, პირდაპირ განმეორდა არგენტინაში. ანუ, უნდა დავფიქრდეთ, რომ რეკომენდაციების ასე პირდაპირ მიღება იმ სპეციფიკის გაუთვალისწინებლად, რაც ჩვენს ქვეყანაშია, პრაქტიკულად, ძალიან სახიფათოა.

ვერავინ — ვერც სავალუტო ფონდი, ვერც ამერიკა და ვერც სხვა ქვეყანა გვიშველის, თუ ქართველებმა საკუთარ თავს თავად არ ვუშველეთ. ამ შემთხვევაში, გამოსაყენებელია ის პოტენციალი, რაც არსებობს. ძალიან მიკვირს, საერთოდ არ მიმართავენ იმ ექსპერტებს, ვინც თავის დროზე, კრიზისულ სიტუაციებში, საკმაოდ დიდი გარღვევა გააკეთეს. ავიღოთ, თუნდაც, ირაკლი მანაგაძე, რომელმაც მოქნილი ფულადსაკრედიტო პოლიტიკით სავალუტო კურსის კალაპოტში ჩაყენება შეძლო. ეს ამოლესილი სამინისტროები ციხე-კოშკებს დაემსგავსა, არავითარი კომუნიკაციის არხები არ არსებობს. კომუნიკაცია ვერ შექმნეს იმ პოტენციალთან რომლის გამოყენებაც

6 gv.

# ქართველები 25 წელია ვამტკიცებთ, რომ ჩვენი ფანტასტიკურად კარგი ქვეყანა ფეხებზე გვკიდია...

4 gv.

არსად მიდის. მერწმუნეთ, უცხოელები საქართველოს ქართველებზე კარგად მოუვლიან. **ქართველები 25 წელია ვამტკიცებთ, რომ ჩვენი მომავალი და ჩვენი ფანტასტიკურად კარგი ქვეყანა ფეხებზე გვკიდია. თუ ჩვენს ქვეყანას გავყიდით, მერწმუნეთ, 5-10 წელიწადში უცხოელები აქ სამოთხეს მოაწყობენ, მაგრამ ეს არ იქნება ქართველების ქვეყანა. ახლა ჩვენ რა გვინდა, ეს ტერიტორია აყვავდეს ისე, რომ ჩვენ აქ არ ვიყოთ, თუ ჩვენ გვეყოს იმდენი ჭკუა და ავაყვავოთ ჩვენი ქვეყანა?** აი, ეს ვერ გაუგია ქართველს და იმიტომაც გვჭირს ისტორიული ავადმყოფობა, საკუთარი ქვეყნისა და ერთმანეთის ძიძგნა.

**- თურმე ტურიზმის განვითარება ააღორძინებს ჩვენს ეკონომიკას და გადაარჩენს ქვეყანას.**

- ნორმალურ ქვეყანაში ცხადია, ტურისტული რესურსი თუ გაგაჩნია, საქართველოს კი კარგი რესურსი გააჩნია, ეკონომიკის ერთი ძალიან კარგი სექტორი შეიძლება იყოს ტურიზმი. რატომაც არ უნდა განვავითაროთ, მაგრამ მიხეილ სააკაშვილისა და ნაცმოძრაობის ის მავნებლური იდეა, რომ ტურიზმი უნდა ყოფილიყო მთავარი, ამიტომ იყო განადგურებული საკუთარი წარმოება და ყველაფერი იმპორტზე ჩამოკიდებული. ტურიზმზე აქცენტის გაკეთება ნიშნავს, რომ შენი ქვეყანა ადრე თუ გვიან ძალიან სერიოზულ ჩიხში შეიყვანო. დააკვირდით, რა მოუვიდა საბერძნეთსა და ესპანეთს, როცა მსოფლიო კრიზისი განვითარდა, იგივე ბედი ელის საქართველოს. ხსენებულ ქვეყნებში მეტნაკლებად რაღაც მაინც იყო განვითარებული, საქართველოში კი არაფერია განვითარებული, სოფლის მეურნეობის საკუთარ პროდუქციასაც კი ვერ ვაწარმოებთ კარგად, რომ ჩვენმა მოქალაქეებმა საკუტარი კარგი ხარისხის პროდუქცია მიიღონ. ცხადია, ბევრი რამ ჩვენ არ ვაწარმოებთ, ანდა ცუდად შეგვიძლია წარმოება, ქვეყნის გარეთ უნდა ვიყიდოთ. **ვიმეორებ, ტურიზმზე ორიენტირება იყო ნაცმოძრაობის მზაკვრული იდეა, რომ ადრე თუ გვიან ქვეყანა გაეხადათ, რაც მათ ფაქტობრივად გახადეს კიდეც, ეს არის ბორდელების ცენტრი.** მთელს აღმოსავლეთში ცნობილია, რომ საქართველო სექსტურიზმის შესანიშნავი ადგილია. ამიტომ **აქ ხალხი არა ჩვენი ღირსშესანიშნაობების სანახავად, არამედ ძირითადად სექსტურიზმის მიმართულებით ჩამოდის. არის რესტორნები, კაფეები, სასტუმროები, მაგრამ არ არის განათლება, მეცნიერება, ინოვაციები, ტექნოლოგიები, რომლის გარეშეც სახელმწიფო ვერ იარსებებს.** ტურიზმით საქართველო ვერ იარსებებს, სააკაშვილი მასობრივ ტურიზმზე აკეთებდა აქცენტს, რაც იყო უდიდესი დანაშაული, საქართველოში მასობრივი ტურიზმი ნიშნავს, ქვეყნის სრულ დეგრადაციას. ჩვენ გვაქვს მართლაც შესანიშნავი ადგილები, რომელიც მთელმა მსოფლიომ უნდა ნახოს, მაგრამ ეს სხვა ტურიზმია, რომელიც მაღალ მომსახურეობაზე შეიძლება იყოს გათვლილი და არა მასობრივ და იაფფასიან ტურიზმზე.

**- ბატონო დემურ, ენერგოკომპანიები დენის ტარიფის გაზრდას ითხოვენ და უკვე განცხადებითაც მიმართეს სემეკს. მალე ბუნებრივი აირის გაძვირებაც აქტუალური გახდება. სემეკის თავმჯდომარე, ქალბატონი მილორავა ისეთ განცხადებებს აკეთებს, რომ დიდი ალბათობით „ნოტარიულად" დაუმოწმებს მათ მოთხოვნებს. რამდენად სამართლიანია ენერგოკომპანიების მოთხოვნა, რომლებიც შემოსვლის დღიდანვე სასათბურე პირობები შეუქმნეს და ფაქტობრივად აჩუქეს ენერგოაქტივები?**

- მე შემიძლია ამ თემაზე მოკლედ გიპასუხოთ, რადგან ამის თაობაზე ჯერ კიდევ 2013 წლის დასაწყისში გავაკეთე ძალიან სერიოზული განცხადებები და გაანგარიშებებიც გადავეცი მედიის წარმომადგენლებს. დღევანდელ პირობებშიც არ არსებობს იმის საფუძველი, რომ ტარიფები გაიზარდოს, მით უმეტეს ტარიფები გაიზარდოს „ენერგოპრო ჯორჯიასთვის", რომელსაც ფაქტობრივად, მხოლოდ ხელისუფლების ლობირებით გააჩნია ის, რაც გააჩნია. რამდენი პრობლემაც გაუჩნდება კომპანიებს, არ შეიძლება ეს ხალხმა ზღოს. დაე, გაკოტრდნენ, თავში ქვა უხლიათ, ვერ ახერხებენ მართვას? მოვლენ სხვა ადამიანები, რომლებიც გაცილებით ეფექტურად მოუვლიან ამ სფეროს და ეფექტურად წარმართავენ საქმიანობას. ხელისუფლების მხარდაჭერა რომ არ ქონდეთ ენერგოკომპანიებში მოკალათებულ ინტერესთა ჯგუფებს, საქართველოს ეკონომიკა ძალიან კარგად იქნებოდა სტიმულირებული და ძალიან კარგი ეკონომიკური აქტივობა გვექნებოდა. ჩვენ კი რა გვაქვს – ჩვენ გვაქვს ხელშეწყობილი მძარცველური ჯგუფები, როგორც ელექტროენერგეტიკაში, ისე ბუნებრივ აირში, გვაქვს დამხრჩვალი ეკონომიკა და გაძარცვული მოსახლეობა. ეს არის პოლიტიკის შედეგი, კერძო სექტორს ნაკლებად უნდა დავაბრალოთ. თუ ტარიფი გაიზარდა, ეს იქნება ქვეყნის წინაშე დანაშაული, მთავრობაშიც არის ხალხი, რომელიც ინტერესების გამო ამ დანაშაულზე მიდის. მოსახლეობა კი სანამ თუთუყუშისა და ბაიყუშის როლში იქნება, იგივე გაგრძელდება, პრობლემა არ არის.

**მანანა სუხიშვილი**
599 51 28 24



# როცა ეროვნული ბანკის პრეზიდენტი ისე იქცევა, როგორც გიორგი ქადაგიძე იქცევა, ნორმალურ სახელმწიფოში ასეთ ადამიანს მომენტალურად ხსნიან თანამდებობიდან და პასუხს თხოვენ

5 gv.

აუცილებელია. მხოლოდ სიმპტომებს კი არა, იმ ავადმყოფობას უნდა ვებრძოლოთ, რამაც ლარი და ჩვენი ეკონომიკა დააავადა.

**— ბატონო ვახტანგ, საქართველოში ლარის კურსს, ძირითადად, ორი ბანკი აყალიბებსო, თქვით. რომელია ეს ბანკები და რა საფრთხეა აქედან მოსალოდნელი?**

— დიახ, ეს, ძირითადად ორი ბანკის – „საქართველოს ბანკისა" და „თი-ბი-სის" ხელშია. მთელი საბანკო აქტივების, დაახლოებით, 70% მათ ხელშია. წარმოიდგინეთ, მთელი რესურსები მათ ხელშია კონცენტრირებული. გადავხედოთ, მთელს საქართველოში ვის ხელშია ძირითადი კაპიტალი: პირველი – ესაა ბიზნეს-სტრუქტურები, რომლებიც დაახლოებულნი არიან სამთავრობო სექტორთან, მეორე – საბანკო სისტემა. ავიღოთ, ჯინის ინდექსი, იგი აჩვენებს რამდენად თანაბრადაა ეკონომიკაში რესურსები განაწილებული. ჩვენთან, რესურსების 90% ბიზნესსტრუქტურების 5%-შია კონცენტრირებული. წარმოიდგინეთ, როგორი არათანაბრობაა. ეს კი ნებისმიერი ბიზნესისთვის ძალიან არაკომფორტულია. ამის საშუალება კომპანიებს არ გააჩნიათ იმიტომ, რომ არ არის შექმნილი ის წინაპირობები, რაც მათ თავისუფლად საინვესტიციო პროექტების დაფინანსების გამოყენების შესაძლებლობას მისცემდა. წარმოიდგინეთ, აქ რომ ასეთი წინაპირობები იყოს, უცხოეთში გამოთავისუფლებულ კაპიტალს, მაგალითად, რუსეთში, უკრაინაში, სადაც კრიზისია და ამის გამო ხურავენ ბიზნესს, ჩვენთან დავაბანდებდით. ასე, ეს კაპიტალი ჩვენთან წამოვიდოდა, მაგრამ ჯიუტად ვიძახით, რომ ეს არ გვაინტერესებს.

**— საუბრის დასაწყისში ახსენეთ, რომ ეროვნულ ბანკს რყევების დასარეგულირებლად ბევრი მექანიზმი აქვს, რასაც არ იყენებს. კერძოდ, რა?**

— ეროვნულ ბანკს საინვესტიციო კლიმატის შესაქმნელად გარკვეული ნაბიჯები უნდა გადაედგა იმიტომ, რომ ფასიანი ქაღალდების ზედამხედველობას იგი კურირებდა, მეორე – უნდა შეექმნა ლარის დაზღვევის მექანიზმი და შესაბამისად, გამჭირვალე სავაჭრო სისტემა გაეკეთებინა, რომელიც სავალუტო კურსთან დაკავშირებით, ეჭვებს და შიშებს მოსპობდა. ასევე, საჭირო იყო სწორი ფულადი მასის რეგულირება, ანუ კონტროლი. ეს ყველა ინსტრუმენტი ეროვნული ბანკის ხელშია. პასუხისმგებლობა ეროვნულ ბანკთან ერთად მთელ სამთავრობო გუნდზე ნაწილდება. მესმის, რომ მთავრობას უკვე დაავადებული, მოსუსტებული ლარი დახვდა, მაგრამ ეკონომიკური რეფორმების მომზადება თავის დროზე უნდა დაეწყოთ.

**— ბატონო ვახტანგ, როგორც სპეციალისტები აღნიშნავენ, როცა კურსმა რყევა დაიწყო, ბაზარზე დოლარის ნაცვლად ლარი გამოყარეს, რამაც ეს კოლაფსი გამოიწვია. თქვენ რა მოსაზრება გაქვთ?**

— აქ ყველაფერი მარტივადაა. ლარის კურსი მოთხოვნა-მიწოდებაა, ესაა ბალანსი ლარის მასასა და დოლარის მასას შორის, რაც მიმოქცევაშია. როგორც კი ბალანსი ირღვევა, კურსი, შესაბამისად, იცვლება. ბალანსი დაირღვა და ლარმა გაუფასურება დაიწყო. ამიტომ, ტურიზმზე კი არ უნდა ვიყოთ დამოკიდებული. ტურიზმი ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია. ბრაზილია და იამაიკა არ აკეთებს ტურიზმზე აქცენტს, საქართველო სამოთხეა, თუ რა ხდება? ამაზე აქცენტის გაკეთება როგორ შეიძლება. ძირითადი აქცენტი, რასაკვირველია, უნდა გაკეთებულიყო საინვესტიციო ნაკადებზე, რომელიც პირდაპირ ეკონომიკის რეალურ სექტორში იქნებოდა მიმართული. დღეს, ყველა ინვესტიციებს გაიძახის. ინვესტიციები არ არის მსოფლიო ბანკის კრედიტი, ინვესტიციებად არ ითვლება არც სავალუტო ფონდის მოცემული გრანტი. ინვესტიციებს სულ რამოდენიმე ფორმა აქვს, ესაა დაბანდება ან კომპანიის აქციებში ან წილობრივ მონაწილეობაში, ან გრძელვადიან ობლიგაციებში ან დადებული ხელშეკრულება კონკრეტული პროექტის განხორციელებაში.

**— მცურავი კურსი განვითარებადი ქვეყნებისთვის მიზანშეწონილი არ ყოფილა, არადა სავალუტო ფონდმა ეროვნულ ბანკს სწორედ ლარის მცურავ რეჟიმში შენარჩუნება ურჩია. რას ნიშნავს ეს?**

— როდესაც ბანკთაშორის სავალუტო ბირჟა შეიქმნა, მაშინ სავალუტო ფონდის ტექნიკური მისია ჩამოვიდა, რომელმაც, იმ პერიოდში, სავალუტო ბირჟის შექმნაზე რეკომენდაცია მოგვცა. მას მერე დიდი არაფერი შეცვლილა და ახლა, აბსოლუტურად, საპირისპიროს იძახიან – როგორც გაქვთ მცურავი კურსი ისე შეინარჩუნეთო.

**ასეთი რეკომენდაციები, რასაც სავალუტო ფონდი იძლევა, შაბლონურია. ასეთი შაბლონური ეკონომიკური მოდელების პირდაპირ გადმოტანა, კატასტროფამდე მიგვიყვანს.**

**— ბოლოს, რას გვეტყვით დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის თაობაზე?**

— ეს მარაზმია. იმის ნაცვლად რომ ეკონომიკური რეფორმების რეალური გეგმის მომზადებაზე იფიქრონ, კომისიას ქმნიან. ვის უნდა გადააბრალონ დანაშაული – „ნაცმოძრაობას" თუ ზვიად გამსახურდიას? როგორც ვახსენე, ლარი მანამდეც მძიმე სიტუაციაში იყო. იგი, მანამდე იყო უკვე შოკში. 9 წლის მანძილზე ლარი შოკშია, მეტსაც გეტყვით, 25 წელია ლარი უკვე შოკშია და როგორ უძლებს ეს ეკონომიკა ძალიან მიკვირს. **როცა ეროვნული ბანკის პრეზიდენტი არაკომპეტენტურობას, ტენდენციურობას იჩენს, რაც გამოწვეულია პოლიტიკური ნიადაგით თუ სხვა ინტერესებით, ეს ქვეყნის საზიანოა. უცხოეთში, ასეთ შემთხვევაში, ცენტრალური ბანკის ხელმძღვანელს მომენტალურად ხსნიან თანამდებობიდან და პასუხს სთხოვენ.** ჩვენთან ეროვნული ბანკი 9 წლიანი მმართველობის პერიოდში პროკურატურას დაემსგავსა, არცერთი სპეციალისტი აღარ იყო. რატომ არ გადააყენეს ქადაგიძე აქამდე? – პარლამენტს არ ეცალა შეექმნა კომისია, რომელიც ანალიზს გაუკეთებდა რა მოხდა და შესაძლო რისკებს განსაზღვრავდა.

**თამარ შველიძე**
555 23 28 24

# სააკაშვილი არის დანაშაულებრივი ღერძი, რომელზეც ნაციონალები ნაძვის ხის სათამაშოებივით არიან ჩამოკიდულნი

ვესაუბრებით „მწვანეთა პარტიის“ თავმჯდომარეს, პარლამენტარ **გია გაჩეჩილაძეს.**

**— ბატონო გია, სამი წელია ხელისუფლება შეიცვალა, თქვენ ხართ პარლამენტის დამოუკიდებელი დეპუტატი, მიუკერძოებელი პიროვნება. მთელი ამ პერიოდის განმავლობაში ყველასათვის ცხადი გახდა, რომ ნაციონალები თითქმის ყოველდღიურად ახერხებენ ხელისუფლებაზე „თავდასხმას“, დისკრედიტაციას, მათი „მოგერიება“ კი თანდათან უფრო ძნელი ხდება კოალიციის მხრიდან, საზოგადოებაში ეს ძალიან მძიმედ აღიქმება...**



— უპირველესად მინდა ვთქვა, რომ ნაციონალების ერთობლიობა ადრეც და დღესაც განპირობებულია იმ დანაშაულებრივი ქმედებებით, რომელთაც ისინი სჩადიოდნენ, ამიტომ მათ აერთიანებთ ის ძალადობრივი ისტორიები, რომელიც სააკაშვილისა და მერაბიშვილის საშუალებით ერთად შექმნეს, **ეს კლანია, დამნაშავეთა ჯგუფია, რომელთაც წარსულში ჩადენილი ბოროტებები აერთიანებთ**. ვფიქრობ, რომ დღეს სააკაშვილი არც მაგათ არ ეხატებათ გულზე, რადგანაც ის მათი პოლიტიკური პერსპექტივისთვის არის დამღუპველი, მაგრამ რა ქნან, **მიშა არის ის დანაშაულებრივი ღერძი, რომელსაც ისინი ნაძვის ხის სათამაშოებივით ჩამოეკიდნენ და დღესაც ამ ნაძვის ხეს მიბმული არიან ფულით**. უფულოდ მათ არც ეს ტელევიზიები მოემსახურებიან და არც ის არასამთავრობოები, რომელიც დღეს მათი დასაყრდენია.

**— რა ფულია ეს, რომელიც არ გათავდა?**

— ეს გახლავთ ნარკოტიკებიდან შემოსული ფული, რომლითაც ნაციონალები წლების განმავლობაში საზრდოობდნენ. როდესაც **ბატონი ირაკლი ღარიბაშვილი შინაგან საქმეთა მინისტრი გახდა, მან დიდი საქმე გააკეთა, ნარკოტრასა, რომელიც საქართველოზე გადიოდა, დახურა, ასევე საავთიაქო ნარკომანიაც მოსპო, ეს ნამდვილად დიდი საქმეა. საქართველოდან ყოველწლიურად 7 ტონა ჰეროინი გადიოდა უცხოეთში, აქედან 6 ტონა შედიოდა ევროკავშირის ტერიტორიაზე, ერთი ტონა შედიოდა უკრაინაში**. მე პარლამენტში ღარიბაშვილთანაც დავსვი ეს საკითხი, რომ უნდა შეისწავლოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ ეს საკითხი, თუნდაც უკრაინის შესაბამის სამსახურთან ერთად, ვინ აკონტროლებდა ამ ნარკოტრასას? დღეს სააკაშვილი უკრაინაში გარკვეულ თანამდებობასაც იკავებს, ვფიქრობ, აუცილებელია რამდენიმე ქვეყნის კომისიის შექმნა ამ საქმის შესასწავლად. 7 ტონა ჰეროინი თუ გადიოდა ჩვენი გზით 2 ტონა აქ რჩებოდა და აქ ყიდდნენ — აი, რა ფულით არსებობდნენ ნაციონალები. ახლაც ამ ფულზე „სხედან“, აქვთ შემორჩენილი ჯერჯერობით. ასევე იარაღით უკანონო ვაჭრობა, რომელშიც აქტიურად იყვნენ ჩართულნი მიშა და მისი მინისტრები, კეზერაშვილის საქმე გახსოვთ ალბათ, აი, ამ ფულით მოქმედებენ ახლაც და ასე აფინანსებენ იმ არასამთავრობოებს, რომელნიც მათი აქტიური მხარდამჭერები არიან და დღესაც აქციებს აწყობენ. **აი, ეს „შავი ფული“ და დანაშაულებები აერთიანებს ნაციონალებს.**

**— იყო თუ არა თინა ხიდაშელის თავდაცვის მინისტრად დანიშვნა, ამერიკის მითითება, როგორც ამბობენ...**

— უსუფაშვილს არც დაუმალავს ისე თქვა, რომ ხიდაშელის ამ პოსტზე დანიშვნა ჩემი წინადადება იყოო. ეს განაპირობა პარტნიორობის იმ ურთიერთობების განვითარებამ, რომელიც სურთ შემდგომ ნატოსთან. ამით ქვეყნის ხელისუფლებამ დააფიქსირა მკვეთრად გამოხატული დასავლური ორიენტაცია.

სამწუხაროა ერთი რამ, რომ დღევანდელი ხელისუფლება ვერ ახერხებს გაკეთებული საქმეების ახსნას თუ მიწოდებას საზოგადოებისთვის, ამიტომ ის ხშირად წამგებიან პოზიციაში დგას. მე გეტყვით ამის შესახებ. ჩვენი გეოპოლიტიკური მდებარეობის გამო **ქვეყანაში იყო ცნობილი „აბრეშუმის გზა“, რომლის სერიოზული აღდგენა მოხდა. 2013 წლის დეკემბერში ირაკლი ღარიბაშვილმა ხელი მოაწერა ახალ პროექტს „შაჰდენიზი-2“-ს მილსადენის გატარებას საქართველოში, პირველი შევარდნაძის დროს მოხდა, ეს თეორია არ გახლავთ და ამის მშენებლობა უკვე დაწყებულია. 16 მილიარდი კუბომეტრი გაზი გაივლის ამ მილსადენში, პირველ მილსადენსაც თუ დავამატებთ ჯამში ეს არის 40 მილიარდი კუბომეტრი გაზის რაოდენობა, რომლის 5 პროცენტი საქართველოში დარჩება, ეს კი გახლავთ 2 მილიარდი კუბომეტრი გაზი.** ამით ჩვენ ქვეყანას აბსოლუტური გარანტია ეძლევა ენერგო უსაფრთხოების მხრივ. მეტსაც გეტყვით, საზოგადოებამ არ იცის, რომ მომავალი წლიდან ჩვენს ქვეყანაში იწყება მიწისქვეშა გაზსაცავის მშენებლობა, ეს არის უნიკალური რამ, რომელიც ევროპის ბევრ ქვეყანას აქვს, ის ენერგოუსაფრთხოებისათვის აუცილებელია. მასში აგროვებენ გაზს და გაჭირვების შემთხვევაში გამოიყენება ქვეყნისთვის. ასევე სხვა დანიშნულებაც აქვს, შეიძლება გაზის იაფობის დროს შეიძინო და მარაგი შეინახო, გაძვირების დროს კი გამოიყენო. აზერბაიჯანის მხრიდან „შაჰდენიზ-2“-ს მშენებლობა უკვე დაწყებულია, ეს არ არის თეორია. ამ საქმის პოლიტიკურ ასპექტზეც გეტყვით. 10 მილიარდი კუბომეტრი გაზი ამ მილით ევროპაში გავა, ამიტომ ევროკავშირი ყველანაირად შეეცდება ჩვენი უსაფრთხოება უზრუნველყოს — ეს ძალიან მნიშვნელოვანია. ასევე, ზემოთ რომ გითხარით, აბრეშუმის გზის განახლება, ეს არის ახალი და სერიოზული ურთიერთობების განვითარება ჩინეთთან. თებერვალში პირველი საცდელი ეშელონი უკვე გავიდა ამ გზაზე, 29 მაისს გაივლის მეორე. ჩინეთის გარდა ამ გზაზე ყაზახეთის ტვირთებიც გამოივლის პორტებამზე. ცხადია, ეს გულისხმობს ეკონომიკის განვითარებას. ჩინეთში, სინძიანის ტერიტორიაზე საქართველო მალე დაიწყებს თავისი ტერმინალის მშენებლობას — ესეც ძალიან მნიშვნელოვანია. საერთოდ აბრეშუმის გზის მშენებლობისთვის, სპეციალური ფონდი შეიქმნა, რომელშიც უკვე ჩარიცხულია 40 მილიარდი დოლარი. ვფიქრობ, ეს არის გიგანტური გეოპოლიტიკური მნიშვნელობის ხაზი. ასეთი პროექტებით ჩვენი ქვეყნის ფუნქციის რეალიზაცია ხდება.



**ტელევიზიები მხოლოდ ნატო ევროკავშირისკენ სწრაფვას აპიარებენ, ასეთ გაკეთებულ საკითხებს არ აშუქებენ.**

**— ევროკავშირთან მიმართებაში გკითხავთ, ისიც ხომ ცხადია, რომ დღეს ღიად მიდის იმაზე საუბარი, რომ ევროკავშირი უახლოეს 10 წელიწადში გაფართოებას არ აპირებს, მაშ რისკენ მივისწრაფით?**

— პოლიტიკა რთული საქმეა, დღეს შეიძლება ეს რეალობა იყოს, მაგრამ ერთი ან ორი წლის შემდეგ სხვა რეალობის წინაშე დავდგეთ, ეს არავინ იცის. თურქეთის მაგალითი არაფერს არ ნიშნავს, ის მუსულმანური ქვეყანაა, ამიტომ ევროპა მასზე კიდევ დიდხანს შეიკავებს თავს. **ჩვენ კი სულ სხვა მისია გაგვაჩნია, პატარა ქვეყანა დიდი ფუნქციით** — აი, ეს არის მთავარი, რომელიც ევროპას კარგად ესმის.

**— როგორ შეიძლება განვითარდეს საქართველო-რუსეთის შემდგომი ურთიერთობა, როცა ჩვენი სწრაფვა ევროპისკენ ყველასათვის ნათელია?**

— ამ ეტაპზე ვფიქრობ, სერიოზული ურთიერთობები ვერ განვითარდება, რადგანაც პუტინის აზრი, როგორც ჩანს არის აგრესიული დოქტრინა, საბჭოთა კავშირის მსგავსი ორგანიზაციის შექმნა — მხოლოდ ილუზიაა, ნაციონალებმა ყველაფერი გაუკეთეს რუსეთს რაც უნდოდათ, მთელი ეკონომიკა ჩააბარეს, რა მივიღეთ სამაგიეროდ? — არაფერი. **დღეს არსებული აბაშიძე-კარასინის ფორმატის დიალოგი დიდი მიღწევაა,** ის აუცილებლად უნდა განვითარდეს. ნაციონალები დღესაც ცდილობენ, რომ რუსული ინტერესები გაატარონ ქვეყანაში და აქედან აგრესიული ურთიერთობა და ლანძღვა-გინება ისმოდეს რუსეთის მიმართ — ეს არის მათი ტაქტიკა, ამ ტაქტიკით დააკარგვინეს ქვეყანას ტერიტორიები, დღეს კი წუხან, რომ ამას ველარ აღწევენ, ისევ იმ რეჟიმში უნდათ რომ ვიცხოვროთ და კვლავ ომით და აგრესიით დავკარგოთ მიწები — ეს მათი მიზანია, თუმცა ვერასოდეს განახორციელებენ. ჩვენთვის იდეალური იქნება ის, თუ ამ ქვეყანასთან ნორმალური ურთიერთობები გვექნება, მაგრამ **თუ რუსეთი ევროპასთან შეთანხმებას ვერ მოახერხებს, ქვეყანა დაემხობათ თავზე, ისეთ ეკონომიკურ სანქციებს დაუწესებს მას ევროპა**. ძალიან დამოკიდებულია მთელი მსოფლიო ერთმანეთზე როგორც ეკონომიკურად ისე პოლიტიკურად და ეს ყველამ უნდა გაითვალისწინოს. რუსეთის სახით კი ჩვენ გვჭირდება ძლიერი ეკონომიკური პოლიტიკური პარტნიორი და არა მტერი.



**ეთერ კასრელიშვილი**
599 110 200

# „ნუ გაზომავთ პროფესიონალების ღვაწლს არითმეტიკით, თორემ ინტელექტუალი თაობის ნაცვლად, დახლიდარებს მიიღებთ“

## თსუ ადმინისტრაციას მოწვეული პროფესორების შრომით ექსპლუატაციაში ადანაშაულებენ

**ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ეკა ავალიანი თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციას მოწვეული პროფესორების შრომით ექსპლუატაციაში ადანაშაულებს.**

— ჩემი პროფილი მსოფლიო ისტორიაა, უფრო ვიწრო სპეციალობა კი ძველი ცივილიზაციების ისტორია. ვკითხულობ ლექციების კურსებს ქართული და მსოფლიო ცივილიზაციის ისტორიაშიც. ივანე ჯავახიშვილის უნივერსიტეტში ვხელმძღვანელობ სამაგისტრო პროგრამას „ინტერკულტურული კვლევები ძველ და შუა საუკუნეების ისტორიაში“. თითქმის 25 წელია ამ უნივერსიტეტში ვიმუშავე. ლაბორანტიდან დაწყებული, პროფესორისა და სრული პროფესორის პოზიციები მეკავა, მაგრამ არასოდეს ვყოფილვარ მოწვეული პროფესორის პოზიციაზე და პრობლემას, რომელზეც უნდა გესაუბროთ, არასოდეს შევხებივარ. ბოლო წელიწადნახევრის განმავლობაში, მოწვეული პროფესორ-მასწავლებლების სახელფასო ანაზღაურებასთან დაკავშირებული საინტერესო პროცესების მომსწრე გავხდი. პრობლემა ეხება (ინტელექტუალის) საერთაშორისო გამოცდილების მქონე პროფესიონალის მიერ შესრულებული სამუშაოს ანაზღაურებას და ამ საკითხის მიმართ ადმინისტრაციის მიდგომას. ჩემი დაკვირვებით, მოწვეული პროფესორ-მასწავლებლების სახელფასო ანაზღაურებასთან დაკავშირებით, ადმინისტრაციაში ძალიან საინტერესო, უფრო სწორად კი არასტანდარტული პოლიტიკა და შერჩევითი დამოკიდებულება აქვთ. ეს კატეგორია აღიქმება, როგორც იაფი მუშახელი, რაც ზოგადად, ადრეული ბურჟუაზიული საზოგადოებისთვის დამახასიათებელი დეზიგნატორი იყო, თუმცა მაშინაც კი ერიდებოდნენ ასეთი ტიპის ექსპლუატაციას. იაფი მუშახელი არის პლუტოკრატიის კლასიკური ექსპლუატაციის ნიმუში და ეს დამოკიდებულება არავითარი ჰუმანური და ცივილური საზოგადოების ჩარჩოებში არ ჯდება... დასავლური, მეცნიერების მაღალ ხარისხზე ორიენტირებული საზოგადოებისთვის ცნობილია, რომ პროფესიონალი და იაფი მუშა ხელი შეუსაბამო დებულებებია და ასეთი დამოკიდებულება (შესაბამისად) პირდაპირპროპორციულად აისახება სტუდენტზე. ამიტომ, ევროპამ მიიღო საზოგადოება, რომელშიც ფასდება განათლება, ჩვენ კი მივიღეთ ის, რაც მივიღეთ.


ეკა ავალიანი

**მოტივირებულია თუ არა „იაფი მუშახელი“ მაღალი სამეცნიერო ხარისხის პროდუქტის შექმნაზე და შესაძლებელია თუ არა მაღალი ცოდნის კოეფიციენტის მქონე სტუდენტის განსაკუთრებული ძალისხმევის გარეშე მომზადება? ეკა ავალიანი დარწმუნებულია, რომ იშვიათი გამონაკლისების გარდა, შეურაცხმყოფელი ანაზღაურების პირობებში, თავს ზედმეტად არავინ შეიწუხებს. დასანანია, როცა პედაგოგიურ და სამეცნიერო პროცესებში მინიმალური ძალისხმევისკენ თავად ადმინისტრაცია გიბიძგებს, ოფიციალურ დებულებებში აღიარებს აპრიორად პროფესორსა და სტუდენტს შორის თანამშრომლობის ინტენსიურ ფორმატს, ხოლო რეალურად, სამაგისტრო ნაშრომის შესრულების პროცესში გიწესებს კვირაში 1 საათს, ამით დაზარალებული მხოლოდ სტუდენტი გამოდის — აცხადებს პროფესორი. ეკა ავალიანის მონაყოლიდან ირკვევა, რომ სახელფასო ანაზღაურებასთან დაკავშირებით, ფაკულტეტის დეკანთან გამოთქმული პრეტენზიებისა და საქმეში რექტორის ჩარევის შემდეგ, ვითარება რამდენჯერმე შეიცვალა, თუმცა შემდეგ ყველაფერი ძველებურად გაგრძელდა.**



შორს ვარ იმ აზრისგან, რომ ჩემი აქტივობა რაიმე შედეგს მოიტანს არსებულ რეალობაში, მაგრამ ეს იქნება სიგნალი, რომ ჯავახიშვილის უნივერსიტეტში სერიოზული პრობლემებია. ამ სემესტრში მოწვეული პროფესორის კონტრაქტზე ხელი არ მოვაწერე, რადგან მიმაჩნია, რომ 90 ლარი არ შეესაბამება პროფესიონალის სახელფასო ანაზღაურებას. მე გახლავართ სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი, რომელსაც ორი მაგისტრანტი ჰყავს. სამეცნიერო ხელმძღვანელის სამეცნიერო და პედაგოგიური ვალდებულებების სპექტრი საკმაოდ ვრცელია და სრულდება მაგისტრანტის მიერ ინოვაციურ კვლევებზე დაფუძნებული ორიგინალური ინტელექტუალური პროდუქტის შექმნით. ფაკულტეტის დეკანს დარეჯან თვალთვაძეს ჩემი სამართლიანი პრეტენზია გავაცანი და პასუხად მივიღე, რომ მაგისტრანტთან ხელმძღვანელის მუშაობა საშუალოდ, კვირაში 1 საათით განისაზღვრება. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მოწვეული პროფესორებისათვის კი 1 საათის ანაზღაურება 15 ლარია. ამის შემდეგ, ქალბატონ დარეჯანს მივწერე, რომ სამაგისტრო ნაშრომის დებულებაში პირადპირ ჩაეწერათ, რომ სამეცნიერი ნაშრომის ხელმძღვანელს სტუდენტთან კვირაში 1 საათზე მეტი მუშაობა არ მოეთხოვება და სტუდენტმა სამაგისტრო ნაშრომისათვის გამოყოფილი 30 კრდ. ანუ 750 საათი თითქმის დამოუკიდებელ მუშაობას უნდა დაუთმოს. იქვე დავამატე, რომ ეს მიდგომა პატიოსან პროფესორს გაათავისუფლებს სტუდენთან დამატებითი მუშაობისგან და სამაგისტრო ნაშრომის წაკითხვისგან, რადგანაც ერთი საათის განმავლობაში ნაშრომს მხოლოდ ფრაგმენტულად თუ გადავავლებ თვალს. ამის შემდეგ, ჩემი დასავლელი კოლეგების მოსაზრებით დავინტერესდი, რომლებმაც მითხრეს, რომ სამაგისტრო ნაშრომი არის საფუძვლიან მსჯელობაზე დამყარებული სამეცნიერო კვლევა. წარმოადგენს ორიგინალურ მოსაზრებას და დოკუმენტირებულია პირველადი და მეორადი წყაროებით. ამდენად, ხელმძღვანელის ჩართულობა მნიშვნელოვანი კომპონენტია და ერთსაათიანი ჩართულობა სრული აბსურდია, იმიტომ, რომ ამ დროში პირველად წყაროებზეც კი ვერ მოახდენ სტუდენტის ყურადღების კონცენტრაციას.

ქალბატონი დარეჯანი თუ თავის მაგისტრანტებს ასე ამეცადინებს, ეს დღევანდელი თსუ-ს პრობლემაა. მე მხოლოდ ერთი ლოგიკური კითხვა მაქვს, წინა სემესტრში (და სხვა დროსაც) ჩემი პროტესტის შემდეგ, დეკანის მიერ დაწესებული 90 ლარი თითქმის 500 ლარამდე რომ გაიზარდა, რას უნდა ნიშნავდეს? ჩივილის შემდეგ უკეთესი ლექტორი ვხდებოდი?


დარეჯან თვალთვაძე

**კითხვაზე - როგორი უნდა იყოს განათლების სამინისტროს ჩართულობა ამ პროცესებში, ეკა ავალიანი პასუხობს, რომ მაგისტრანტებს სახელმწიფოსგან მოჰყვებათ დაფინანსება, მაგრამ მისი გადანაწილება უნივერსიტეტის ადმინისტრაციის პრეროგატივაა. მატერიალური რესურსის და კაპიტალის გადანაწილებაზე არბიტრის როლს თსუ ადმინისტრაცია იღებს და გარკვეულ პროფესორებთან „იაფი მუშახელის“ პოლიტიკას ახორციელებს. რამდენად აწუხებს ლექტორთან ლიმიტირებული ურთიერთობა მხოლოდ დიპლომის აღებაზე ორიენტირებულ სტუდენტს, რომლისთვისაც ჯანმრთელობა სამიანთან ასოცირდება და რამდენად კონკურენტული გარემოა ჯავახიშვილის უნივერსიტეტში? ეკა ავალიანს ამასთან დაკავშირებითაც საკუთარი მოსაზრება გააჩნია.**

— განათლების სამინისტრომ უნდა მოითხოვოს მკაცრი რეგულაცია, თუ რა არის საბაკალავრო თუ სამაგისტრო ნაშრომი და დაახლოებით რა საათები უნდა დაეთმოს პროფესორთან თანამშრომლობას. პროგრამის ორივე მაგისტრანტს მოჰყვება თავისი დაფინანსება, მაგრამ ამ მატერიალური რესურსის განაწილებაზე არბიტრის როლს იღებს ადმინისტრაცია და მე, როგორც მის მიერ „იაფ მუშახელად“ აღქმული ადამიანი ამ რეგულაციას ან ვეთანხმები, ან არა. თუ არ დავეთანხმები, მაშინ მაგისტრანტი უნდა გავწირო.

**პროფესორის ბრალდებებზე კომენტარისთვის ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციას დავუკავშირდით. ამის შემდეგ, ადმინისტრაციასთან და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანთან ჩვენი ურთიერთობა ეპისტოლარულ ჟანრში გაგრძელდა. პროფესორ დარეჯან თვალთვაძის წერილობითი პასუხი მეტწილად საბუღალტრო ანგარიშს ეთმობა, ამიტომ პასუხის მხოლოდ ბოლო ნაწილს გაგაცნობთ: „შესაძლოა, როგორც ქალბატონი ეკა აცხადებს, მისი მუშაობა მაგისტრანტებთან მეტი (ან ნაკლები) ინტენსივობითაც მიმდინარეობდეს, თუმცა უნივერსიტეტში პროფესორის სტუდენტთან ინდივიადუალი მუშაობის საათების რაოდენობის ზუსტი დათვლა არ ხდება და ის მხოლოდ საშუალო მაჩვენებელს ეფუძნება, რაც იქნა გათვალისწინებული კიდეც ისტორიის მეცნიერებათა დოქტორ ეკა ავალიანის შრომის ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრისას.“**

რაც შეეხება, თსუ ადმინისტრაციის პასუხს, უცვლელად შემოგთავაზებთ:

**— თსუ-ში მოწვეულ პედაგოგთან შრომით ხელშეკრულებას აფორმებს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, დეკანის ან სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის წარდგენის საფუძველზე. მოწვეული პედაგოგის ანაზღაურების ოდენობა განისაზღვრება არსებული რეგულაციით - ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით. მოწვეული პედაგოგის ერთი საათის ანაზღაურება სამეცნიერო ხარისხის არსებობის შემთხვევაში განისაზღვრება 15 ლარის ოდენობით, ხოლო თუ მოწვეულ პედაგოგს არ აქვს სამეცნიერო ხარისხი - 10 ლარის ოდენობით. პრაქტიკულად, აღნიშნული არის შრომის ანაზღაურების ქვედა ზღვარი. მოწვეულ პედაგოგთან მისი კვალიფიკაციის, გამოცდილების, სალექციო კურსის სპეციფიკის, ფაკულტეტის ბიუჯეტის და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით, შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის წარდგინებით შესაძლებელია გაფორმდეს შრომითი ხელშეკრულება განსხვავებული ანაზღაურებით საათში (აღნიშნულიც რეგულირდება ადმინისტრაციის ხელმძღვანელის შესაბამისი ბრძანებით).**

**ნელი თორდია**

# ნატო-ში ვართ, ოღონდ ნატო-ს გარეთ...



დასავლეთის ქვეყნების პოლიტიკოსების, პოლიტოლოგების, სამხედრო დარგის სპეციალისტების, ჟურნალისტების და ა.შ პოლიტიკასთან შეხებაში მყოფი სხვადასხვა რანგისა და წოდების ადამიანების აზრი მოკლედ ამგვარად ჩამოყალიბდა: „თუ აშშ იარაღს მიაწვდის უკრაინას, მაშასადამე, ბარაკ ობამა იძულებულია აღიაროს, რომ უკრაინას თავის მოკავშირედ განიხილავს, რეალურად კი, უკრაინა არ არის აშშ-ის მოკავშირე. საბოლოოდ, ამგვარი ქმედება მიგვიყვანს ისეთ სახელმწიფოსთან ომამდე, რომელსაც ბირთვული იარაღი აქვს.“

საქართველოს (უკრაინასაც) ბოლო-ბოლო ლამაზად, მაგრამ უარი ეთქვა ალიანსში მიღებაზე, ყოველ შემთხვევაში, კარგა ხნით (სავარაუდოდ, ევროკავშირის ღია კარზეც იმდენივე ხანი მოგვიწევს კაკუნი, რამდენიც ალიანსის კარზე ვაკაკუნეთ, თუმცა, რადგან ევროკავშირი სამხედრო ალიანსი არ არის, გვერდზე გადავდოთ) და მოულიდნელად, რა ხდება? – 2015 წლის 30 აპრილს თავდაცვის მინისტრის პოსტიდან თანამდებობიდან ათავისუფლებენ კონტრმზვერავ მინდია ჯანელიძეს და მის ნაცვლად საქართველოს კონსტიტუციის უხეში დარღვევით თავდაცვის მინისტრის პოსტზე ინიშნება საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მეუღლე, „რესპუბლიკელი“ თინა ხიდაშელი.

საუბარი არ არის იმაზე, რომ თავდაცვის მინისტრად ქალი დაინიშნა (თანამედროვეობაში არა ერთი მსგავსი მაგალითია), ან იმაზე, რიჩარდ ნორლანდმა კატეგორიულად მოთხოვა თუ არა ამ პოსტზე მისი დანიშვნა ბიძინა ივანიშვილს, საუბარია იმაზე, რომ ოთხ დღეში ბათუმის პორტში შემოდიოდნენ მანამდე გაურკვეველი დანიშნულების წითელი კონტეირებით დატვირთული ტვირთმზიდი გემები და მაინცდამაინც თინა („მებრძოლი რესპუბლიკელი“) უნდა დახვედროდა თავდაცვის მინისტრის რანგში.

როდესაც პირველად გაჟონა ინფორმაციამ, რომ დადასტურებულად საქართველოსკენ მოდიოდნენ აღნიშნული ამერიკული ხომალდები, მაშინვე დაისვა კითხვა, რატომ იყო კონტეინერები წითელი, ანუ რა იყო მასში ისეთი, რომ ამ ფერით უნდა აღნიშნულიყო, თუმცა პასუხი არავის ჰქონდა. (იყო ვერსია, რომ კონტეინერებით სიდუმლო შტამები შემოჰქონდათ ლუგარის გასაიდუმლოებული ლაბორატორიისთვის) აღმოჩნდა, რომ ხომალდებმა „ნატო“-ს მძიმე ტექნიკა შემოტანეს საქართველოში: 14 ერთეული ქვეითთა საბრძოლო მანქანა „Bradley“, ლოჯისტიკური უზრუნველყოფის მანქანები და ა.შ სხვა და სხვა სახის სამხედრო აღჭურვილობა.

აშშ-ის ოფიციალური საიტის მიხედვით: – „11-იდან 25 მაისამდე ვაზიანის სამხედრო პოლიგონსა და აეროდრომზე გაიმართება საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და აშშ-ის სამხედრო ძალების ერთობლივი წვრთნები კოდური სახელწოდებით „მაღალი დონის პარტნიორი“ („Noble Partner“). წვრთნები პირველად ტარდება საქართველოში და მიზნად ისახავს ქართული ასეულის დაახლოებას „ნატო“-ს სწრაფი რეაგირების ძალებთან, ასევე, „ნატო“-ს მომავალ ოპერაციებსა და წვრთნებში მონაწილეობისათვის მზადყოფნის ამაღლებას... „ამგვარი გადაადგილებები ვარნადან (ბულგარეთიდან) შავი ზღვის გავლით ბათუმის პორტამდე ახალ შესაძლებობს ქმნის პარტნიორებს შორის ტრანსპორტირებისთვის“ – აშშ-ის არმიის ოფიცერი მარკ შავენი.

ამ ფონზე, რატომ ვერ და არ წაბრძანდა პრეზიდენტი მარგველაშვილი 9 მაისს მოსკოვში, ნათელია. რა მდგომარეობაა რუსეთსა და უკრაინას შორის, მაგრამ პოროშენკო პუტინთან შეხვედრის თუნდაც მცირეხნიან შანსს არ უშვებს და საქართველოს პრეზიდენტებს (არა მხოლოდ) რა დონის ბრმა-ყრუობა სჭირთ ასეთი უცნაური?

ბატონი პრეზიდენტი, სადაც საჭირო არ არის, იქ რომ ეკვეხება და როცა საჭირო არ არის, მაშინ იჩენს ჯორის სიჯიუტეს – 9 მაისს, მოსკოვში, ჯერ მხოლოდ იმიტომ მაინც უნდა მოხვედრილიყო, რომ პუტინთან „კბილი მოესინჯა“ და შემდეგ, მთლად რომ არაფრად მიაჩნდეს, მაინც, საქართველოს ქართველ პრეზიდენტს ათასობით დაღუპული ქართველის სულის ხსოვნისთვის უნდა მიეგო პატივი, თუმცა, ვინ დაპატიჟა? ყოფილი სსრკ-ის რესპუბლიკებიდან მხოლოდ საქართველომ და უკრაინამ არ მიიღო მილოცვა. გასულმა წლებმა (ახალი ხელისუფლების დროიდან მაინც) ბოლო-ბოლო დაანახა რუსეთს, რომ სანამ საქართველოს „ვითომ ძალიან გაამერიკელებული თავები“ ამერიკის დამოუკიდებლობის დღეს ზეიმობენ საქართველოში, დიდ სამამულო ომში საკუთარი 300 000 დაღუპული ფეხზე ჰკიდიათ, ვაკის პარკში გაისეირნებენ, ცოტას წაიპროვოკაციებენ კიდეც და ეგ არის!... (შტაინმაიერი, მერკელი და სხვა, ვინ – 8-ში ჩავიდა, ვინ – 9-ში, ვინ – 10-ში და საერთოდ, როდის ჩავა მოსკოვში და რატომ – ეს კიდევ სხვა საკითხია...)



ვისაც ესმის, რას ნიშნავს აშშ-ის „მეგობრული სამხედრო ტრფიალი“, მათგან, ზოგი – ხარობს, ზოგი – წინდაწინ გლოვობს, მაგრამ ვიღაც, ბრიყვი იკითხავს, ჩამოვიდა „ნატო“-ს ტექნიკა და მერე, რა მოხდაო?

ამ ე.წ „ერთობლივი წვრთნების“ დასრულების შემდეგ, „ნატო“-ს ტექნიკა და მას მოდევნებული ამერიკელი სამხედროები აქვე დარჩებიან და „ვაზიანი“ არაოფიციალურად გახდება „ნატო“-ს სამხედრო ბაზა. შემდგომი ე.წ „ერთობლივი წვრთნები“ ჩატარდება, ვთქვათ, ახალქალაქში და ახლა იქ „აღმოცენდება“ „ნატო“-ს მეორე ბაზა. მერე, საზღვაო ე.წ „ერთობლივი წვრთნები“ ჩატარდება და ბათუმის პორტი გახდება „ნატო“-ს სამხედრო საზღვაო ბაზა (თუ ახლა უფლება არ აქვთ შავ ზღვაზე 21 საათზე მეტი დაჰყონ იმ ქვეყნის ხომალდებმა, რომლებიც შავ ზღვაზე არ გადიან, შემდეგ უკვე საშუალება ექნებათ მუდმივად იმყოფებოდნენ); შემდეგ აღმოსავლეთისკენ, ვთქვათ, თელავში „არმოცენდება“ და ა.შ ანუ როგორც საბჭოთა კავშირის დროს იყო მთელი საქართველო სამხედრო ბაზებით დაქსელილი. ერთია, მაშინ საქართველოც „საბჭოელი“ იყო და პრობლემა არ იყო, პირიქით, გარეშე მტრისგან დაცულად გრძნობდა თავს საქართველოს მოსახლეობა, ახლა კი, სწორედ იმის საშიშროება დგება, რომ გარეშე მტერი, რომელიც კონკრეტულად ხალხზე არ მოიწევს, პროვოცირებული ხდება პირველივე უმნიშვნელო გადაცდომისას რათა დაბომბოს საქართველოს ის ტერიტორიები, სადაც მისთვის საფრთხის შემცველი ბაზები იქნება, რასაც რიგ შემთხვევებში მსხვერპლიც მოჰყვება). ყოველ შემთხვევაში 2008 წლის აგვისტოს გამოცდილება ამგვარ სურათს ნამდვილად ხატავს. მერე ისევ ატყდება ყალბი ალიაქოთი, რომ საბრალო საქართველო (თუ რამე დარჩა მისგან) კვლავ აგრესორი რუსეთის შეტევის მსხვერპლი გახდა; ისევ შეშფოთდება და აღშფოთდება ე.წ „ცივილიზებული დასავლეთი“ – ეს ორი უკიდურესობიდან საუკეთესო ვარიანტია; უარესი კი ის იქნება, საქართველოში რომ ატეხოს ორმა „დევმა“ მცირეხნიანი ბათქა-ბუთქი და ზედ სამოქალაქო ომიც დაერთოს სააკაშვილის ხელისუფლების დასაბრუნებლად... რატომაც არა?

საქართველოს რა უნდა, საქართველოს ხელისუფლებას ყველა დროში იგნორირებული აქვს, მაგრამ აბა, გადავხედოთ სამეზობლოს, ვის რა უნდა საქართველოსგან? რუსეთს თავისი ქვეყნის სამხრეთ საზღვრებთან არ უნდა „ნატო“-ს ჯარები და ბუნებრივი რეაქცია აქვს გამღიზიანებლებზე; სომხეთს – სამცხე-ჯავახეთი უნდა (ლიხის ქედამდეც არ იტყვის უარს, მაგრამ ამ ეტაპზე „მცირედსაც დასჯერდება); აზერბაიჯანი მუსლიმანური ცბიერებით ჩუმ-ჩუმად იკრავს რაც უნდა და არც არასდროს იყვირებს; თურქეთს – „ნატო“-ს წევრ თურქეთს ისღა დარჩენია მხართეძოზე წამოწვეს, რაც უნდა, თავისით მიუცურდება ხონჩით. ბათუმის აეროპორტი კარგა ხანია ისედაც თურქეთის შიდა აეროპორტად აქვს დაფიქსირებული, სულ მალე, 2021 წლისთვის კი ვადა გასდის ყარსის ხელშეკრულებას და მშვიდობით აჭარა!... რუსეთი აღარ „შეიწუხებს“ თავს როგორც 100 წლის წინ, არადა, რაც დღეს ჯერ კიდევ საქართველოს შემადგენლობაშია და უპრობლემოდ შეუძლია მოიაროს ყველამ, რუსეთ-ოსმალეთის ომის შემდეგ დაუბრუნდა საქართველოს......

შეგნებულად თუ შეუგნებლად ინფორმაცია ვრცელდება, რომ თითქოს აშშ-მა და რუსეთმა ფარული მოლაპარაკება დაიწყეს ოთხი ქვეყნისთვის (ფინეთი, მოლდავეთი, უკრაინა, საქართველო) ნეიტრალიტეტის მინიჭებაზე. უკაცრავად და, აშშ-ს რომ არანაირად არ ეკითხება საქართველოს ნეიტრალიტეტის მინიჭების ამბავი, ეს როგორ არის? ან, საქართველოს ნეიტრალიტეტის საკითხი განიხილება აშშ-სა და რუსეთს შორის და აშშ საქართველოში სამხედრო ბაზების განლაგებას იწყებს? კარგი და, საქართველოს თავდაცვის მინისტრის სასწრაფოდ და კონსტიტუციის გადაჯეგვით შეცვლა „მტკიცედ ამერიკელი რესპუბლიკელი“ თინა ხიდაშელით რა საჭირო იყო, რომელსაც არანაირი შეხება არ ჰქონია არასდროს სამხედრო სფეროსთან, მხოლოდ კარგად დატრენინგებული „ნიჭიერი მოქაქანეა“?

ცუდად, ძალიან ცუდად ლაგდება საქართველოს მომავალი...

**გიორგი ჩხეიძე**

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# ქართველებო, საქართველოს ისტორიული სამეფო ტახტის მიტაცებას, რომელიც დღეს თქვენ არ გაინტერესებთ, ებრაულ-სიონისტური მოძრაობა ცდილობს და მას ამაში ქართული ეკლესიაც მხარს უჭერს



ინტერვიუ პროფესორ
**დენიზა სუმბაძესთან**

**— ქალბატონო დენიზა, ჩვენს გაზეთში გამოქვეყნებული თქვენი გამოკვლევა „ინფორმაციული ომი საქართველოს ისტორიული სამეფო ტახტის ხელში ჩასაგდებად, ანუ ქართველ ბაგრატიონთა სამეფო ტიტულის - „დავითიანის“ გაგებისათვის დღევანდელი მსოფლიოს ახალი წესრიგის ჭრილში“ საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი დაინტერესების საგანი გახდა. რას ფიქრობთ, რატომ გამოიწვია მკითხველებში ასეთი ყურადღება თქვენი გამოკვლევის თემამ და რისი მანიშნებელია თვით ის ფაქტი, რომ ქართველი მკითხველი მწვავედ რეაგირებს ამ ტიპის საკითხებზე?**

— ცხადია, სრულიად ბუნებრივია ეს ინტერესი! საკითხი ეხება ყოველი ჩვენგანის სისხლხორცეულ პრობლემას: იმას, თუ ვინ ვართ ჩვენ, ქართველი ხალხი. საკითხი ეხება ჩემი ეროვნული ვინაობის შემღვრევისა და შერყვნის მცდელობებს, ამასთან, ჩემივე დედა-ეკლესიის მხრიდან, რომელიც შევარდნაძის დაფუძნებულმა უცხოური დაზვერვის სახელმწიფომ მძევლად აიყვანა. საკითხი ეხება წარმოუდგენელ ტრაგედიას: დღევანდელი ქართული ეკლესიისა და ქართველი ხალხის ორ, ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებულ ეროვნულ თვითშეგნებას, ორ ურთიერთგანსხვავებულ ცოდნას, ორ ჭეშმარიტებას ქართველი ერის ფენომენზე. უფრო მეტიც: საკითხი ეხება ერთგვარად შეუმჩნევლად და ხალხის მიერ გაუცნობიერებლად განხორციელებულ ურთიერთ გათიშვას ეკლესიისას და ეროვნული რწმენისას, ეროვნული თვითშეგნებისას საკუთარი ეროვნული ვინაობის თვითგანსაზღვრების საკითხში. ჭეშმარიტება კი ერთი უნდა იყოს. ან ქართველი ხალხის თვითშეგნებაა ჭეშმარიტი, ან საქართველოს ეკლესიის დღევანდელი გაგება ქართველი ერის ვინაობისა. საკითხი ეხება ყველაზე მტკივნეულს, საკრალურსა და ღვთით ბოძებულს ქართველი ხალხისათვის: მის ეროვნულ მეობას, მის ფსიქოლოგიურ, სულიერსა და სხეულებრივ თვითმყოფადობას. ბუნების, სულისა და სისხლის სიწმინდეს, როგორც ეროვნული მეობისა და ეროვნული თვითმყოფადობის საფუძველს, რომელიც წარმოგვიდგება თავისი საკუთარი ინდივიდუალური ისტორიით.

სისხლის ანალიზი წვეთით კეთდება. ვფიქრობ, თქვენი გაზეთის მკითხველთა დაინტერესება, ეს იგივე ქართული საზოგადოებრიობისა და ქართველი ხალხის დაინტერესების მკვეთრი გამოვლენაა და იმაზე მიგვითითებს, რომ ქართველმა ხალხმა გულგრილად არ ჩაუარა თქვენი გაზეთის ფურცლებს. პირიქით, ძალიან მძაფრი რეაგირება აჩვენა სწორედ ჩემს გამოკვლევაში წარმოჩენილი ეროვნული ვინაობის შებღალვის მცდელობაზე. ამგვარი რეაგირება კი, საბედნიეროდ, ნიშანია იმისა, რომ ერი ცოცხალია, მისი ღირსების გრძნობაა ცოცხალი! ფხიზლობს და აზროვნებს. ამიტომ

# არც იესო ქრისტე ყოფილა ებრაელი და არც ქართველი მეფეები ყოფილან ბიბლიური დავითის ძენი

გარკვეულმა ძალებმა, მათ სამსახურებმა, რამდენიც არ უნდა აბრდღვიალონ პრინციპები ებრაულ-მასონური მოძრაობის დაუნდობელი, ვერაგი და მუხთალი თეორიებისა: თუნდაც ჩვენივე ეკლესიური სალებავებით შეღებონ და შეფუთონ ეს პრინციპები, შეფუთონ თუნდაც მძევლად აყვანილი საქართველოს პატრიარქის ავტორიტეტით, მცდელობა ქართველი ხალხის გამოთაყვანებისა და გაბაიბურებისა, საქართველოს ებრაულ-მასონური სახელმწიფო ხელისუფლების საგანგებო სამსახურების მიერ, ვერ მოერევიან გონიერებას ქართველი ხალხისას.

აქ უნდა ვისარგებლო შემთხვევით და ქართულ საზოგადოებრიობას ერთი მნიშვნელოვანი, ყურადსაღები და ძალიან სიმბოლური ინფორმაცია მივაწოდო, რომელიც დღემდე ვერ მოვიცილე გონებიდან: რამოდენიმე წლის წინ, თუ არ ვცდები, ეს იყო 2005 წელი, ნიუ იორკში გამომავალ ქართულ-ებრაულ გაზეთში, რომელსაც „დავითის ფარი“ ჰქვია, ქართველი ქალბატონის, იმ დროისათვის საქართველო-იტალიის კულტურული ურთიერთობის ხელის- შემწყობი არასამთავრობო ორგანიზაციის ხელმძღვანელის მარინა ხონელიძის ინტერვიუ დაიბეჭდა. თბილისის საჯარო ბიბლიოთეკაში ქ-ნმა მარინამ თავადვე მთხოვა გავცნობოდი მის ინტერვიუს და გაზეთის ქსეროასლი გადმომცა. ამაში უსათუოდ ღვთის ხელი ერია. ინტერვიუში ქ-ნი მარინა ხონელიძე აცხადებდა, რომ „ებრაელი ერის მისია იყო დღევანდელი მსოფლიო ცივილიზაციის შექმნა და ებრაელი ერისავე მისია არისო დღეს მიძინებული იბერიელი ერის წარმოჩენა“. ქალბატონი ხონელიძის განმარტებით, ეს სიტყვები მას არ ეკუთვნოდა და მის ინტერვიუში, მასთან შეუთანხმებლად, რედაქტორის მიერ იყო ჩართული. რედაქტორი ქართველი ებრაელი გახლდათ. მაგრამ ძალიან გამაღიზიანა ქ-ნ ხონელიძის ინტერვიუს რედაქტორისეულ ჩანართში იბერიელი ერის განსაზღვრებამ, როგორც „მიძინებული ერისამ“ და ებრაელების პრეტენზიამ „ამ მიძინებული იბერიელი ერის წარმოჩენისამ“.

მთელ მსოფლიოში გაფანტულმა ებრაელობამ, მე-20-ე საუკუნის დასასრულს, ცხადია, ჩვენზე უკეთესად იცოდა ის მსოფლიო, რომელიც ახალი წესრიგისათვის ემზადებოდა, ანუ მსოფლიოს დაპყრობისათვის ხალხების მოტყუების გზით. აქ ჩვენ ამ გრანდიოზული ტყუილის გასაცნობიერებლად, ეროვნული დამოუკიდებლობის მოთხოვნით გაბრუებულებს, არ გვეცალა და მსოფლიო პროცესებით უნდა გვესარგებლა. ჩვენი ეროვნული მოძრაობა ზვიად გამსახურდიას და მერაბ კოსტავას იდეალებით ნამდვილად არ იყო მიმართული მსოფლიოს ებრაულ-სიონისტური იმპერიის შესაქმნელად. და ცთუნება სახეზეა, მაგრამ ებრაელი ერი, რომელიც, პავლე მოციქულის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ვერ მისწვდა ქრისტეს“, რომელმაც ვერ გაიგო და ჯვარს აცვა ქრისტე, იმან როგორ უნდა წარმოაჩინოს „თავისი უფალივით ჯვარცმული ქართველი ერი“, ერი ქრისტესი და რუსთაველისა?! ებრაულ გონებას ხომ დღემდე სძინავს ქრისტესთვის და დაუძინებლად ღვიძავს ქრისტიანობის დასასჯელი ვნებით. **განათლების მსოფლიო რეფორმა ჩვენთან დაიწყო ქრისტეს შეწირულ წმინდანთა გაუფასურებით და მათი ცხოვრების ამსახველი ტექსტების სასწავლო პროგრამებიდან ამოყრის მცდელობით. ჯვარცმა ქრისტესი, დღევანდელი მსოფლიო პოლიტიკის მესვეურებს, ებრაული გონებით გამოგონილი მსოფლიოს ახალი წესრიგით, სურთ გარდასახონ მთელი ქრისტიანული მსოფლიოს ჯვარცმად, მსოფლიო უნდა გააკრან ჯვარზე და ასე იძიონ შური მსოფლიოზე**. ებრაელთა ფინანსები და ტექნოლოგიები არ წარმოადგენენ უმაღლეს ფასეულობებს კაცობრიობისას. ისინი მხოლოდ საშუალებებია უმაღლესი ღირებულებების დანერგვისათვის, მაგრამ არის უკიდურესი საშიშროებაც, მთელი კაცობრიობისათვის: საშიშროება ამ ტექნოლოგიების გამოყენებისა კაცობრიობის წინააღმდეგ. ვფიქრობ, იმ მოვლენების კონტექსტში, რომლებზედაც ჩვენ გვიხდება საუბარი, ჩვენს მიერ ხმობილი ის ერთი უბრალო კომპილაციური ეპიზოდი, მადასტურებელია იმისა, რომ კომპილაცია მარადიული მახასიათებელია ებრაული გონისა, და ეს საკმაოდ მნიშვნელოვანი დასკვნა, სახელმძღვანელოდ არის საცნობი, როგორც მსოფლიო ისტორიის, ისე თანამედროვეობის მიმდინარე პროცესების შემეცნებისათვის.

**— ქალბატონო დენიზა, როგორ ჩამოაყალიბებთ მოკლედ და გასაგებად, მარტივ ენაზე თქვენს მეცნიერულ თვალსაზრისს ქართულ-ებრაული ისტორიული ურთიერთდამოკიდებულებების შესახებ, რომელსაც თქვენს გამოკვლევაში საკმაოდ მნიშვნელოვან ადგილს უთმობთ?**

— ჯერ კიდევ მეხუთე საუკუნეში, როდესაც ფაქტიურად ახალი გამოცხადებულია ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად, საქართველოს მეფე ვახტანგ გორგასალი უკვე ანდერძად უტოვებს თავის ხალხს: „ეძიებდეთ სიკვდილსა ქრისტესთვის“ და, ცხადია, ერი მზად არის ამგვარი ანდერძის აღსრულებისათვის. ვახტანგ გორგასლის ანდერძი მადასტურებელი დოკუმენტია ამ მზადყოფნის.

მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიო ქრისტოლოგიაში არასოდეს გაკეთებულა ამაზე აზრობრივ-მეცნიერული მახვილი, ჩემს ხედვაში უმნიშვნელოვანეს ისტორიულ ფაქტად მიმაჩნია, რომ ქრისტეს მოვლინების პირველწინასწარმეტყველნი ხდებიან ქალდეველი მოგვები, ასახულნი მათეს სახარებაში, ვარსკვლავთმრიცხველნი და ვარსკვლავის კვალზე მიღწეულნი ბეთლემს, ახალშობილი მესიის თაყვანის საცემად. ასეთივე უმნიშვნელოვანეს ისტორიულ ფაქტად მიმაჩნია, საქართველოს უძველეს მატიანეში: „ქართლის ცხოვრებაში“, ქართველი მემატიანის მიერ ასახული წინასწარმეტყველება იესო ქრისტეს მოახლოებული ჯვარცმისა მცხეთელი ქალდეველი მოგვების მიერ და ჭირისუფლებად ჩასვლა იერუსალიმში. რასაც შედეგად მოჰყვება იესო ქრისტეს საუფლო კვართის ჩამოტანა მათ მიერ იერუსალიმიდან მცხეთას და ნამდვილი სულიერი საძირკვლის ჩაყრა ქართული ქრისტიანობისა. მცხეთელი მოგვების საკითხი სრულიად უყურადღებოდ აღმოჩნდა დარჩენილი მთელ ქართულ ისტორიოგრაფიაში. ის კი არა, თვით მირიან მეფეც, რომელმაც ქრისტიანობა საქართველოს სახელმწიფო რელიგიად გამოაცხადა, მოგვთა ნათესავია...ქართლის მეფის, ფარნაჯომის მიერ სპარსეთიდან ჩამოსახლებული ქალდეველი მოგვების მოდგმისაა! ასე იწყება ქართული ქრისტიანობა საქართველოში ქრისტეს სიცოცხლეშივე, ქალდეველი მოგვების მიერ და ასე ხდება საქართველოს სახელმწიფო რელიგიად. ასე ხდება ქრისტეს მოძღვრებისა და სარწმუნოების პირველდამცველი ხალხი ქართველი ერი, ქალდეველთა მოდგმის ფუძე და კავკასიური ნაწილი. **ასე გლოვობს ორი ათასეული წლის განმავლობაში ღვთისმშობლის წილხვედრი ქართველი ერი იესო ქრისტეს ჯვარცმას, და ზეიმობს ქრისტეს აღდგომასა და ამაღლებას. ქართული ქრისტიანობა უზარმაზარი მისტერიაა კაცობრიული ისტორიის! გაუხსნელი საიდუმლოა!.. ებრაელი ერი კი ორი ათასეული წლის შემდეგაც განაგრძობს ქრისტეს ჯვარცმას,** ოღონდ ამ ჯვარცმას ახალი სახე აქვს: როგორც აღვნიშნეთ, იგი ებრძვის ამჯერად მთელ ქრისტიანულ მსოფლიოს, როგორც განსახიერებას ჯვარცმული ქრისტეს სიცოცხლისას, მილიონობით ადამიანის გულში ჩამდგარს მისი ახალი და ნათელი მოძღვრებით. ეს ყველაფერი, მოგეხსნებათ, დღევანდელ მსოფლიოში იქამდე მიდის, რომ უდანაშაულო ადამიანებს, მარტო იმიტომ, რომ ისინი ქრისტიანები არიან, დემონსტრაციულად აჭრიან თავს. ეს გახლავთ ადამიანის უფლებებისა და ღირსების დაცვის დემონსტრაცია დღევანდელ მსოფლიოში, ანუ მსოფლიოს ახალი წესრიგი! სხვათა შორის, ჩვენ, წლების წინ, თბილისის უნივერსიტეტის სახელით, ქეთევან წამებულის ქვეყანამ და ხალხმა, ინტერნეტში დავდეთ და ხმა ავიმაღლეთ იმ ევროპის დასაგმობად, რომელმაც მუჰამედის კარიკატურები იკადრა! არსებობს აზრი, რომ ამ ორივე მოვლენის უკან: ქრისტიანთათვის თავების წაჭრის დემონსტრაციების მოწყობისაც და მუჰამედის კარიკატურებისაც, ერთი და იგივე ძალა დგას. სუდანის პრეზიდენტი პირდაპირ ადებს ხელს ამერიკის შერთებულ შტატებსა და ისრაელს. ეს ადამიანთაშორისი განხეთქილებების დიდოსტატი ძალა

შეჯახებებს, ამჯერად უკვე ცივილიზაციათა შორის იწვევს და ამძაფრებს ხელოვნურად...რა დონის სიძულვილი შეიძლება ჰქონდეს ამ ძალას ან ქრისტეს მიმართ, ან ადამიანების მიმართ, წარმოუდგენელია!

**— აღსანიშნავია, რომ თქვენს გამოკვლევაში იესო ქრისტეს და მის მოძღვრებასაც ქალდეველებთან აკავშირებთ?!**

— ჩვენი, ანუ ქართული ეკლესიისათვისაც, ისევე, როგორც სხვა მიმართულების ქრისტიანული ეკლესიებისათვის, ქრისტე ებრაელია და სხვა გაგება გამორიცხულია. მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მსოფლიო საეკლესიო კრებების შეწყვეტასთან ერთად, უკვე მერვე საუკუნეში, ეკლესიას თეოლოგიური განვითარების შეწყვეტაც მოუხდა, რადგან ეკლესიამ დაკარგა თეოლოგიური საკანონმდებლო მექანიზმი, და დარჩა იმ დონეზე, რომელზედაც ის დატოვა მეშვიდე მსოფლიო საეკლესიო კრებამ. ეკლესია კი, რომელიც ვალდებული იყო დაეკანონებინა იესო ქრისტეს დავით წინასწარმეტყველისაგან წარმომავლობა, ცხადია, ვალდებული იყო დაეკანონებინა მისი ებრაელობაც. ამიტომ იუდეველ თეორეტიკოსებსაც და ეკლესიის მამებსაც ევალებოდათ ჯვარცმული ქრისტეს უკანასკნელი სიტყვები ქრისტეს დავითიანობის შესაბამისად განემარტათ. ასეთად მოაღწია ამ განმარტებებმა ჩვენამდე. ამიტომ მისი, ჯვარზე გაკრული იესო ქრისტეს, უკანასკნელი სიტყვები: ,,ელი, ელი, ლამა საბაქთანი?!“ - გადმოცემული ორი მახარობლის მიერ, მათეს და მარკოზის მიერ, არამეულ ენაზე, განმარტებულ იქნა, როგორც წარმოთქმული ძველ ებრაულ ენაზე, ამასთან, როგორც ციტატა დავით წინასწარმეტყველის, მეფსალმუნის ერთ–ერთი ფსალმუნიდან, და შეცვლილი მახარობლების მიერ არამეულით.

წარმოიდგინეთ, როდესაც მე ქრისტიანული მოძღვრების ჩემეული ახსნით, (რომლითაც იგი არაებრაული ცნობიერების შექმნილი მოძღვრებაა და რომ მისი შემოქმედი არ შეიძლება იყოს ებრაელი, და რომ ჩემი კვლევის შედეგად, იგი უსათუოდ ქალდეური ცნობიერების შემოსვლა უნდა იყოს იუდეაში), მივადექი ქრისტეს უკანასკნელი სიტყვების პრობლემას, შეიძლება ითქვას, რომ გამაღიზიანა კიდეც იმ დაკანონებულმა განმარტებამ, დღემდე ძალაში გახლავთ ჩვენს ეკლესიაშიც და საერთოდ მთელ იუდეურსა და ქრისტიანულ სამყაროშიც. ჩემს გამოკვლევაში მე ვუთითებ მათე მახარობლის გადმოცემას, რომლითაც იესო ქრისტემ სიცოცხლეშივე გააპროტესტა თავისი წოდება ,,დავითიანობისა“: ,,მე თუ უფალი ვარ დავითისა, როგორღა ვარო ძე დავითისა“- უბრძანა სადუკევლებს, მაგრამ ძალადობა ადამიანების ცნობიერებაზე, რომ მათ ირწმუნონ იესო ქრისტეს ებრაელობა და ჩამომავლობა დავით ებრაელთა მეფისაგან, იმხელაა, რომ სიკვდილისწინა ბოლო ამოსუნთქვის სიტყვები იესო ქრისტესი გასაღებულია ციტატად დავითის ფსალმუნიდან. ეს არის მარაზმი! რა ციტატები სჭირდება ადამიანს სიკვდილის წინ, და მით უმეტეს იესო ქრისტეს, რომ მამას, მამა-ღმერთს, რომლის ძედაც მოევლინა ქვეყანას, მიმართოს თავისი საკუთარი სიტყვებით?! ,,რატომ მიმატოვე“ და ,,არ მიმატოვო, ღმერთო“-თი სავსეა დავითის ფსალმუნები. ეს ყველა ადამიანის კუთვნილი და ზოგად ადამიანური ფრაზებია, ისევე, როგორც: ,,ვაიმე, დედა!“ ან ,, ღმერთო, შენ მიშველე!“ რომელიც ინდივიდუალობას კონკრეტულ შემთხვევებში იძენს. ამ ფრაზის ინდივიდუალობა იესო ქრისტეს მხრიდან სწორედ მის არამეულ ვარიაციაში დასტურდება, დასტურდება ისიც, რომ იგი არავითარ ციტირებას არ წარმოადგენს, და არც მახარებლები არაფერს არ ცვლიან. ამას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ ამ სიტყვების გამგონე იქ შემსწრე ებრაელებმა ვერ გაიგეს ქრისტეს მიერ წარმოთქმული სიტყვების მნიშვნელობა.

**ქრისტეს მშობლიური ენაც, ანუ დედისაგან ნასწავლი ენაც, იგივ დედა ენაც და დედაღვთისმშობლის ენაც არამეულია. არამეული ენა, იგივ ქალდეველების ენაა.** იესო ქრისტე არამეული ცნობიერების წარმომადგენელია. ამის შესახებ ჩვენ საგანგებო მოხსენება გავაკეთეთ ბიზანტინოლოგთა საერთაშორისო კონგრესზე, პარიზში, 2001 წელს, სადაც ჩვენ, ვფიქრობ, პირველად მსოფლიო მეცნიერებაში, განვაცხადეთ, რომ ქრისტიანობა ეს არის ქალდეური ცნობიერების ამოხეთქვა იუდეაში, ამასთან, ჩვენ განვაცხადეთ ეს ,,ქალდეურის“, როგორც ცნების ახალი დატვირთვითა და შინაარსით: ,,ქალდეურის“, როგორც უძველესი ქართული ცივილიზაციის გაგებით“ (,,გიორგი მთაწმინდელის წინასწარმეტყველება ქართველი ერის შესახებ“, თსუ არეოპაგიტული სამეცნიერო ცენტრი, 2012 წელი, თბილისი,“უნივერსალი“, გვ. 133- 134).

.პრობლემა ქართველთა და ქალდეველთა ნათესაობისა და პრობლემა იესო ქრისტეს წარმომავლობისა, ორი სხვადასხვა პრობლემაა. რუსი ისტორიკოსები, ჩვენი ვარაუდით, ებრაული წარმომავლობის რუსი ისტორიკოსები და სტალინსშემდგომი პერიოდის ებრაულ-მასონური კლანები, საბჭოთა კავშირის ხელისუფლებაში მოსულნი და გაძლიერებულნი, ბუნებრივია, თავიანთი ტრადიციისამებრ, გააფთრებით დამალავდნენ ქართველთა და ქალდეველთა ნათესაობას, რაც საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოში საკმაოდ მშრალად და სტატისტიკურად არის გადმოცემული. მაგრამ ისიც, რაც არის, უდიდესი ღირებულებისაა, და მთელი ქართველი ხალხისაგან იმსახურებს მადლობას.

დიახ, საქართველოს სამეფო ტახტი საქართველოს ხელისუფლებამ და საქართველოს ეკლესიამ ებრაელთა დიდი მეფის, სოლომონის ტაძრის მშენებლებს ჩააბარა, ე. წ. ტამპლიერებს. ჩვენ გამოკვლევაში ჩვენ აღვნიშნეთ, რომ ამაში საქართველოს ჯარიც ჩართული ჰყავს ჩვენს ხელისუფლებას, რამდენადაც ტამპლიერთა ორდენი მიხეილ სააკაშვილის თაოსნობით ქართველთა ლეგიონზე აღმოჩნდა დაფუძნებული.... სამეფო ტახტის აღდგენის იდეის პოპულარიზაციას თავად ჩვენგან დამოუკიდებელი პროცესები იწვევენ...

მართალია, რომ ბევრს დღეს სამეფო ტახტზე საუბარი ანაქრონიზმად მიაჩნია, თუნდაც კონსტიტუციური მონარქიის ფორმით. ზოგს დანაშაულადაც კი მიაჩნია ამ პრობლემის დაყენება.. არც არის გასაკვირი. თავის დროზე საფრანგეთის დიდმა რევოლუციამ სწორედ კონსტიტუციური მონარქია დაამხო. საქართველოს სამეფო ტახტისა და მისი აღდგენისა თუ არ აღდგენის საკითხი, საჭიროებისა თუ არსაჭიროების, არც საქართველოს ინტელექტუალურ წრეებში, არც სახალხო განსჯის დონეზე , არსად არ დამდგარა. ყველაზე დაინტერესებულმა მხარემაც, საქართველოს ეკლესიამაც, რომელმაც ინიციატორის ფუნქცია იტვირთა, და მონოპოლია აიღო მონარქისტულ მოძრაობაში, ამ მონარქისტული იდეის პრაქტიკულ განვითარებას, ანუ საქართველოს ისტორიული სამეფო ტახტის აღდგენის იდეას კონსტიტუციური მონარქიის ფორმით, ერთგვარი კონსპირაციული ხასიათი მისცა. საზოგადოებისა და მეცნიერების, სახალხო განხილვების გარეშე წარმართა, როგორც ამას სახელმწიფო აკეთებს ხალხისთვის მიუღებელი კანონების მიღების შემთხვევაში! გარდა ამისა აშკარად ანტიქართული მიმართულება მისცა! ჩვენ დაგვჭირდა ამ თემის წამოწევა, საქართველოში და მსოფლიოში მიმდინარე პროცესებიდან გამომდინარე, დაგვჭირდა იმისათვის, რომ ქართველი ხალხისთვის გვეთქვა: - **ქართველებო, საქართველოს ისტორიული სამეფო ტახტი, რომელიც დღეს თქვენ არ გაინტერესებთ, როგორც ტახტი და როგორც ფორმა სახელმწიფოებრივი მმართველობისა, იცოდეთ, რომ არსებობს მსოფლიოში ჩვენგან დამოუკიდებელი და სრულიად გარეშე ძალა, რომელიც ყველა გზითა და ხერხით მოიწევს ამ აღუდგენელი და არ ფუნქციონირებადი ჩვენი ისტორიული სამეფო ტახტის დასაპყრობად. ეს ძალა ებრაულ-სიონისტური მოძრაობაა,** სწორედ ის ძალა, რომელმაც დაშალა საბჭოთა კავშირი, როგორც სახელმწიფოებრივი გაერთიანება 16 ეროვნული რესპუბლიკის და ამჯერად მსოფლიოს სთავაზობს ევროპის სახელმწიფოთა ახალ გაერთიანებას და საბჭოთა კავშირიდან გამოსულ რესპუბლიკებს - ამ ახალ ევროპულ კავშირში იწვევს. საქართველოში ოფიციალურად არის დაარსებული ებრაელთა დიდი მეფის სოლომონის ტაძრელთა ორდენი, ე.წ. ქართველ ტამპლიერთა სამხედრო საძმო, რომელსაც ოფიციალურად დამტკიცებული წესდებით საქართველოს სამეფო და საპატრიარქო ტახტები აქვს ჩაბარებული საპატრონოდ. ეს ორდენი მიხეილ სააკაშვილის პრეზიდენტობაში დაფუძნდა და როდესაც მთელი მსოფლიოს გასაგონად ორდენმა განაცხადა და თავის ვებ-გვერდზე დადო ეს განსაკუთრებული კურთხევის განცხადება, საქართველოს საპატრიარქომ ოფიციალური განცხადებით მიმართა საზოგადოებას, რომ ეს არის დეზინფორმაცია და ტამპლიერთა ორდენი საქართველოს პატრიარქს არ უკურთხებიაო... ეს განცხადება დღესაც შეგვიძლია საპატრიარქოს ოფიციალურ საიტზეც წავიკითხოთ და ტამპლიერების საიტზეც, დათარიღებული 2011 წლის 22 თებერვლით. მე შესაძლებლობა მეძლევა მისი უწმინდესობის ცნობილ თანაშემწესთან ჩემი შეშფოთება გამოვხატო: ,,ტამპლიერების შემოსვლა შაჰ აბასის შემოსვლაზე უარესია“ - ვეუბნები. -,,გეთანხმები“, - მპასუხობს ქალბატონი- ,,დაწერე გაზეთში“. საპატრიარქომ თავისი განცხადებით, თითქოს საქართველოს პატრიარქს არ უკურთხებია ტამპლიერთა ორდენი, ფაქტიურად დაადასტურა კურთხევა. ამ განცხადების შემდეგ კვლავ ვხვდები ქალბატონ-თანაშემწეს და ვეკითხები, როგორია პატრიარქის რეაგირება ტამპლიერთა განცხადებაზე და საოცარ პასუხს ვიღებ: ,,ძალიანაც კარგად არის ყველაფერი. ტამპლიერები მოვიდნენ უწმინდესთან და ბოდიში მოუხადეს“, - მეუბნება და როგორც ყოველთვის, გარბის. სალაპარაკოდ არ სცალია. ამის შემდგ ჩემთვის საქართველოს საპატრიარქოს კარი ცხრაკლიტულით იკეტება. კარგად დავიმახსოვროთ: 2011წელს საპატრიარქო აკეთებს განცხადებას, რომ საქართველოს პატრიარქს ქართველ ტამპლიერთა ორდენი არ უკურთხებია, საპატრიარქო აკეთებს ამ განცხადებას და არა პატრიარქი! ეს ძალიან მნიშვნელოვანია! საპატრიარქო და პატრიარქი ერთი და იგივე არ არის! ხოლო **2012 წლის 21 თებერვალს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე, მისი უწმინდესობა და უნეტარესობა, დიდი ამალით ჩასული ისრაელში ვიზიტით, ისრაელის პრეზიდენტთან შეხვედრაზე აკეთებს განცხადებას, რომელსაც, დარწმუნებული ვარ, მთელი მსოფლიო ისმენს: ,,ჩვენ, ქართველებს და ებრაელებს არა მხოლოდ ტრადიციები გვაქვს ერთი, არამედ სისხლითაც ნათესავები ვართ. ჩვენი მეფეები ხელს აწერდნენ როგორც დავითიან-სოლომონიანები“. აი, დეზინფორმაცია ამას ჰქვია! (იხილეთ პატრიარქის ვიზიტის ამსახველი დოკუმენტური ფილმი:“იქ, სადაც ცა და მიწა ერთდება“). რა საერთო ტრადიციები გვაქვს ქართველებს ებრაელებთან?! ამის კადრება როგორ შეიძლება? ხელს რომ აწერდნენ დავითიანებად, ეს იმას როდი ნიშნავს, რომ სისხლით ნათესაობას აწერდნენ ხელს?! საქართველოს მეფის, ბაგრატ მეოთხის ასულს, მართა-მარიამ ბაგრატიონს, ებრაული სისხლისას ვინ დასვამდა ბიზანტიის დედოფლად?! დავით აღმაშენებელი და თამარ მეფე თურმე ებრაული წარმომავლობისანი ყოფილან სისხლით?! ვაგლახ, რომ ეს აკადრებინეს საქართველოს პატრიარქს!** მემატიანეთა ინფორმაციებს ანალიზი სჭირდება. როდის რა ითქვა და როგორ ეპოქალურ კონტექსტებში ითქვა. დავით აღმაშენებლისა და თამარის მემატიანეთა გაიგივება როგორ შეიძლება თვითონ დავითთან და თამართან? მათ თვითშეგნებასთან. დავით აღმაშენებელი იმასაც კი ინანიებს თავის ,,სინანულის საგალობელში“ რომ სიჭაბუკეში, ისრაელის მეფეთ, რომელთაც ესოდენ განადიდებდა ეკლესია, თვითონაც ჰბაძავდა.“ისრაელისა მეფეთა ვჰბაძევდ, გარნა ურჯულოთა“ და ,,ვაცოდვე ერი ჩემი, ვითარცა მეფეთა მათ- ისრაელი“-ო, წერს სინანულით და





13 gv.

# შავ ბედზე გაჩენილი ჭიათურის „შავი ქვა“ და „ნაცმოძრაობის“ შავი საქმეები

„პეროგარჭობილი ჟურნალისტები“ ვიდრე ბაზარში სამოსის და სათვალეების გამოფენას მოაწყობდნენ, ვიდრე პროდუქციის გადამყიდველების გასაჭირზე „იქვითინებდნენ“, მანამ „რუსთავი-2“-ის „შავი ყუთიდან“ ძალიან ტრაგიკული ტონით და შესაბამისი „მტკიცებულებით“, ფარული ჩანაწერით, მეტად საინტერესო ამბავი გავიგეთ. ამონარიდი გავრცელებული ინფორმაციიდან: „კომპანია “ემ-ენ-ჯორჯიას” მფლობელმა ღია წერილით მიმართა ბიძინა ივანიშვილსა და საქართველოს მთავრობას, რომლის მიხედვითაც მას მანგანუმის ბიზნესი ჭიათურაში გენინსპექციის ყოფილმა შეფმა, ზვიად ჯანყარაშვილმა და ბიზნესომბუდსმენმა, იმავდროულად კი პრემიერის ეკონომიკური საბჭოს ხელმძღვანელმა გიორგი გახარიამ წაართვეს. წერილში გოძიაშვილი დახმარებას ითხოვს, თუმცა ამაოდ და ამიტომ ახლა ფარულ ჩანაწერებსაც აქვეყნებს.

ფარული აუდიოჩანაწერი “რუსთავი 2-ის” გადაცემა “ბიზნესკურიერმა” გამოაქვეყნა. აუდიოფაილში ბიზნესმენ **ვახო გოძიაშვილს გიორგი გახარია** ესაუბრება და ურჩევს, ჩაჩოჩდეს, რომ ადგილი სხვა ორ კომპანიას დაუთმოს. იქვე ბიზნესომბუდსმენი ადასტურებს, რომ თავიდან ვახო გოძიაშვილის კომპანიის სხვა კომპანიით სრულად ჩანაცვლებაზე იყო საუბარი, ახლა კი სთავაზობენ, დარჩეს და თავადაც აკეთოს ფული, ოღონდ სხვებსაც გაუყოს. ანუ “ჯორჯიან მანგანეზთან” თავისი ექსკლუზიური ხელშეკრულება სხვებსაც გაუნაწილოს“. ეფექტი ნამდვილად დიდი იყო, გამოხმაურებაც შესაბამისი. „რუსთავი-2“-მა ამ ზედაპირული და დამაინტრიგებელი ე.წ. ნიუსით მოსახდენი მოახდინა, ხალხი (ნაციონალების მხარდამჭერი 13 თუ 20%-ი) ბიზნეს-ინტერესებსა და უკონონობის დაკანონებაზე ალაპარაკდა და რაოდენ სამწუხაროც არ უნდა იყოს, არავინ, მათ შორის ჟურნალისტებიც არ დაინტერესებულან რეალური ისტორიით.

დავიწყოთ თანმიმდევრულად, არცთუ ისე შორეული წარსულის ისტორიიდან:

„დიდი გამოხმაურება მოჰყვა პროფესორ ანდრონიკაშვილის ამერიკაში ვიზიტს. კერძოდ, 1930-1931 წლებში სსრ კავშირის მთავრობამ პროფესორი **ლუარსაბ ანდრონიკაშვილი** ამერიკის შეერთებულ შტატებში მიავლინა, სადაც მან მოიგო დავა კონცერნის – „საქართველოს მარგანეცის“ ყოფილ მფლობელთან ჰარიმანთან, ამიტომაც ეს დავა ცნობილია „ჰარიმანის საქმის“ სახელით. დავა თავდაპირველად თბილისში დაიწყო და ნიუ-იორკში, საერთაშორისო კომერციულ სასამართლოში დამთავრდა. საინტერესო იქნება ამ საქმის ფაქტობრივი გარემოებების გაცნობა. 1925 წლის 12 ივნისს საბჭოთა კავშირის მთავრობასა და ამერიკელ **ავრელ ჰარიმანს** შორის დაიდო საკონცესიო ხელშეკრულება, რომლის ძალითაც ჭიათურის მარგანეცის მოპოვების, გამდიდრებისა და ექსპორტის მონოპოლიური უფლება მიენიჭა ჰარიმანის სააქციო საზოგადოება „ქართულ მარგანეცს“. როდესაც ჰარიმანმა საკონცესიო ხელშეკრულებას ხელი მოაწერა, მისი მიზანი იყო სხვა კონკურენტი ჭიათურის მარგანეცს არ დაპატრონებოდა და ჰქონოდა ისეთი რეზერვი, რომელიც მსოფლიო ბაზარზე სათანადო მანევრირების საშუალებას მისცემდა, ანუ მისი მიზანი იყო მარგანეცის მსოფლიო მონოპოლიის მოპოვება.

ჰარიმანის ეკონომიკურმა პოლიტიკამ კრახი განიცადა – გამნელდა ჭიათურის მარგანეცის საზღვარგარეთ ექსპორტი და 1928 წლისათვის ჭიათურის მარგანეცი საზარალო გახდა. ბოლო წლებში ჰარიმანი სისტემატიურად არღვევდა ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს. აქედან გამომდინარე, 1928 წელს შავი ქვის მრეწველობის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკურმა კომიტეტმა ჭიათურის სახალხო სასამართლოში ჰარიმანის წინააღმდეგ სარჩელი შეიტანა, ამავდროულად, მეორე სარჩელიც იქნა შეტანილი – ფოთის ნავსადგურის მტვირთავთა პროფკავშირის ინიციატივით, მუშათა ხელფასის დაგვიანების გამო.

ჰარიმანი არ დაეთანხმა სასამართლოებისა და დასახელებული ორგანოების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს და დავა ნიუ-იორკის საერთაშორისო კომერციულ სასამართლოში განაგრძო. აქ მის პოზიციას იცავდნენ ნიუ-იორკის ცნობილი იურისტები. საბჭოთა კავშირს საერთაშორისო დავაში წარმოადგენდა ცნობილი ქართველი ადვოკატი, პროფესორი ლუარსაბ ანდრონიკაშვილი. სასამართლო პროცესზე მან გამოააშკარავა ჰარიმანის ყველა ხრიკი და სამართლებრივად დაასაბუთა მუშათა უფლებების დარღვევის ფაქტი. ამ პროცესზე გამოჩნდა, რომ ანდრონიკაშვილს საერთაშორისო კერძო სამართლის სიღრმისეული ცოდნა გააჩნდა. ნიუ-იორკის საერთაშორისო კომერციულმა სასამართლომ ცნო მუშათა უფლებების დარღვევა და ჰარიმანს დაეკისრა – დავალიანების, საკმაოდ დიდი რაოდენობის სასამართლო ხარჯების და საკონცესიო პირობების დარღვევისათვის საჯარიმო თანხის გადახდა. და რაც ყველაზე მთავარია, ამის შემდეგ შეწყდა საკონცესიო ხელშეკრულების მოქმედება. სამწუხაროა, რომ ჩვენამდე არ მოუღწევია ანდრონიკაშვილის მიერ წარმოთქმული სიტყვის ჩანაწერს ამ სასამართლო პროცესზე, რაც მეტად საინტერესო იქნებოდა ქართველი მკითხველისათვის.



1999 წლის დასაწყისში „ჭიათურმანგანუმში“ ინვენსტორის სახით ჩეხური ფირმა „საგაპრინტი“ შევიდა, რომლის საწესდებო კაპიტალი 30000 დოლარი გახლდათ.მანამდე ეს ფირმა თურქმენეთის ვალების ამოღებით და საკანცელარიო ნივთების რეალიზაციით იყო დაკავებული. „ჭიათურმანანუმის“ გენერალური დირექტორის პოსტი ფორმალურად ფირმის ხელმძღვანელმა მიჰალ ჰალკომ დაიკავა დანარჩენ ხელმძღვანელებად სააკაშვილის ფინანსური კლანის წევრები განაწილდნენ.

ახალმა ფინანსურმა ჯგუფმა პროდუქციის რეალიზაციის და მარკენტინგული სამუშაოების ჩატარების მიზნით შექმნა შპს „ჭიათურმანგუმთრენინგი“, რომლის დირექტორად სამეთვალყურეო საბჭოს წევრ ჯიბო ჭუმბურიძის ვაჟი დაინიშნა. ურთიერთშედარების აქტის შედეგად აღმოჩნდა, რომ „ჭიათურმანგუნთრენინგს“ „ჭიათურმანგანუმისაგან“ 2649786 ლარი ეკუთვნოდა. მიზეზი კი პროდუქციისთვის წინასწარ გადახდილი ფულის სანაცვლოდ, პროდუქციის მიუღებლობა სახელდებოდა. ურთიერთშედარების აქტი შედგენილია აპრილის ბოლოს, როდესაც გამოიკვეთა, რომ “საგაპრინტი“ და მისი ფინანსური ჯგუფი ვერ ასრულებდა აღებულ ვალდებულებებს და დადგა საკითხი „ჭიათურმანგანუმიდან“ მათი გაძევების თაობაზე. ამიტომაც სასწრაფოდ შეადგინეს ურთიერთშედარების აქტი, რათა ოფიციალურად დაეფიქსირებინათ, რომ „ჭიათურმანგანუმს“ აქვს “ჭიათურთრეინინგის“ ვალი. მასალებით კი ირკვეოდა, რომ ამ ჯგუფის მუშაობის პერიოდში საწარმომ დაამზადა 32700 ტონა პროდუქცია. ერთი ტონა პროდუქციის წარმოება 158 დოლარი ჯდებოდა, მაგრამ 55 დოლარად ყიდდნენ, ანუ 1 ტონა მარგანცის კონცენტრატის წარმოებაზე 103 დოლარს ზარალობდნენ, სინამდვილეში კი 1 ტონაზე მოგება 6 დოლარი იყო. „ჭიათურმანგანუმს“ ვალი კი არა, 192200 დოლარი უნდა ჰქონოდა. ამას დამატებული „საგაპრინტის“ მისვლამდე დამზადებული 4416 ტონა პროდუქცია, რომელიც 242880 დოლარად გაყიდეს. ასევე ამოღებული დებიტორული დავალიანება111571 ათასი დოლარის ოდენობით და 5231639 დოლარი კრედიტორულ დავალიანებათა სხვაობა. ზემოთხსენებული თანხები, რომელთაც, როგორც წარმოებას, ასევე სახელმწიფო ბიუჯეტს, სერიოზული თანხები უნდა მიეღო, არსად ჩანს. მაგრამ ნათლად სჩანს მიშა სააკაშვილის ფინანსური და პოლიტიკური ინტერესები რა „შორიდან“იწყებოდა. ურთიერთშედარების აქტში კარგად ჩანს, თუ როგორი მაქინაციებით ცდილობდნენ „ჭიათურმანგანუმის“ საკრედიტო დავალიანების გაზრდა-გაკოტრებას და შემდეგ მის ხელში ჩაგდებას. იმ პერიოდში თითქმის ყველა მთავრობის სხდომაზე შაშიაშვილი მოითხოვდა „საგაპრინტის“ გაძევებას და „ფეროს“ გაერთიანებას. ამ ორი საწარმოს გაერთიანება სამთო მექანიკის ინსტიტუტის დასკვნის მიხედვით, მრეწველობის გადარჩენის ერთ-ერთი წინაპირობა იქნებოდა და ხელს შეუწყობდა გასაღების ბაზრის პრობლემის გადაჭრას, შექმნიდა ხელსაყრელ პირობებს ევროპის, ამერიკისა და იაპონიის მსხვილი კომპანიიებიდან ინვენსტიციების მოსაზიდად. ამ პროცესის შეჩერებით შეძლო „მზაკვრული გეგმის“ განხორციელება სააკაშვილის ფინანსურმა ხროვამ და „საგაპრინტის“ შემოსვლამდე რაც ჰქონდათ „ჩაფიქრებული“, განახორციელეს. მოითხოვეს გაკოტრების საქმის აღძვრა. მათ მიერ კონტროლირებულმა სასამართლომ მოთხოვნა დააკმაყოფილა და გაკოტრების საქმის მმართველად მათი ფინანსური კლანის აქტიური წევრის მგალობლიშვილის ცოლის ძმა – შარაშენიძე დანიშნა. მაშინდელი ქონების მართვის მინისტრი მიხეილ უკლებაც კომპანია „საგაპრინტს“ იცავდა. რასაც ადასტურებს მისი წერილები, რომელიც მან უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს, იუსტიციის მინისტრს და იმერეთის რეგიონის მსხვილ გადამხდელთა ინსპექციის უფროსს გაუგზავნა. როგორც წერილიდან ირკვევა, „საგაპრინტმა“ „ჭიათურმანგანუმში“ 1461000 ლარის სხვადასხვა სახის ინვესტიციები განხორციელდა. ასევე აღნიშნულია, რომ 1999 წლის ბოლოს ბიუჯეტის სასარგებლოდ გადარიცხა 15000 ლარი. რაც შეეხება ბიუჯეტში გადარიცხულ 150000 ლარს, ეს იმ 300000 ათასის ნაწილია, რომელიც სესხის სახით ბანკიდან გამოიტანეს და 2005 წლამდეც კრედიტორულ დავალიანებად აწვა საწარმოს, ხოლო 1461000 ლარი ინვენსტიციების სახით შევიდა საწარმოში“.

დაბოლოს, 1998 წელს ქონების მართვის სამინისტრომ სახელმწიფო კომპანია „საქტრანსგაზის“ მმართვის უფლების გადაცემაზე კონკურსი გამოაცხადა. „საქტრანსგაზის“ მართვის უფლების კერძო კომპანიაზე გადაცემის საკითხი დეპუტატ სააკაშვილისგან წამოვიდა. „ინტერპაქსს“, რომელიც სააკაშვილთან დაახლოებული ბეჟუაშვილის მამას ეკუთვნოდა „საქტრანსგაზი“ 50-წლიანი მართვის უფლებით გადაეცა. 1999 წელს კი დავით ბეჟუაშვილი თეთრიწყაროს მაჟორიტარი გახდა, კონტროლის პალატამ შემოაწმა კონკურსის მასალები და როგორც დანაშაულის შემცველი მასალები გენპროკურატურას გადასცა. ლაპარაკი იყო იმუნიტეტის მოხსნაზე, მაგრამ მას სააკაშვილი გადაეფოფრა. საგულისხმოა ის ფაქტიც რომ კონკურსში მონაწილეობდა გაზის საერთაშორისო კორპორაციაც, რომელიც სახელმწიფო კომპანია იყო. „საქსტრანსგაზს“ მოგვიანებით „საქგაზი“ ეწოდა. 2000-2003 წლებში, პროკურატურამ რამდენ-



ჯერმე მოითხოვა სადეპუტატო იმუნიტეტის მოხსნა ბეჟუაშვილისათვის, მას ერთ-ერთ ეპიზოდში 2 მილიონ ლარის მითვისებას ედავებოდნენ. „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ ბეჟუაშვილის ქონება არნახულად გაიზარდა, მათი ჰოლდინგის საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის ქოლგის ქვეშ გაერთიანდა 10-მდე თბო და ჰიდრო ელექტროსადგური, რომელთა ჯამური სიმძლავრე 345 მგ.ვატია. 147 მილიონ ლარად შეფასებული გარდაბნის თბოელექტროსადგური ბეჟუაშვილმა 12 მილიონად შეიძინა, ასევე „საქნახშირი“, რომელიც ტყიბულის ნახშირის მაღაროებს ამუშავებს. ინტერტრანსის მეშვეობით, ჰოლდინგი აკონტროლებს საქართველოს რკინიგზით შემოსული კონტეინერების



განბაჟების პროცესს. ძმების საკუთრებაა ქუთაისის ავტომექანიკური ქარხანაც. ასევე სერიოზული წილი აქვთ საქართველოს ცემენტის, კირის, ღორღის, მშენებლობის, უძრავი ქონების, ტურიზმის და ალკოჰოლური სასმელების ბაზრებზე. ძმების კომპანიაა „გლობალ ტრანსი“, რომელსაც მოგებული აქვს ასეულობით მილიონის სახელმწიფო ტენდერები.

2005 წელს, შემოდგომაზე, სახელმწიფოს მიერ დარიცხულ იქნა „ფეროს“ მიმართ საბიუჯეტო დავალიანება 63 მილიონი ლარის ოდენობით. 2006 წლის თებერვლიდან „ფეროს“ მმართველობაში შემოვიდა მეტალურგიის დარგში ცნობილი ინგლისური კომპანია „სტენკორი“, ამავე პერიოდში სახელმწიფოს მიერ საპრივატიზაციოდ იქნა გამოტანილი „ჭიათურმანგანუმის“ და „ვარციხე-ჰესის“ აქტივები. 2006 წლის შემოდგომაზე „ფეროს“ ზემოხსენებული დავალიანების დაფარვას და საპრივატიზაციოდ



ობიექტების შესყიდვას ახორციელებს „სტენკორის“ შვილობილი შპს „ჯორჯიან მანგანეზ ჰოლდინგს ლიმითეტი“, საერთო თანხით. 112 მილიონი დოლარი. დასახელებული სამივე საწარმოო ობიექტისაგან ახალი სამრეწველო გაერთიანების ფორმირება და შპს „ჯორჯიან მანგანეზში“ მოქცევა, განხორციელდა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინსიტროს მიერ შედგენილი საპრივატიზაციო შეთანხმებით 2007 წლის 5 იანვარს.

„ჯორჯიან მანგანეზი“ და „ვარციხე 2005“, ამერიკულმა „ჯორჯიან ამერიკან ელოიზმა“ (გაა) შეიძინა. გაა-მ განაცხადა, რომ „ჯორჯიან მანგანეზისა“ და „ვარციხე 2005-ის“ შესყიდვა სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ნაბიჯია და უზრუნველყოფს ფეროშენადნობთა წარმოებასთან დაკავშირებული საწარმოების მზარდი ქსელის შექმნას. აღნიშნულ ქსელში შედის გლობალური კომპანიები: „ფელმან ფროდაქშენი“, „ფელმან თრეიდინგი“ და „სი-სი მეტალს ენდ ელოიზი“. „ძალზე მოხარულნი ვართ ამ შესყიდვის განხორციელებით, რადგან ის თანხვედრაშია ჩვენს გრძელვადიან ამოცანასთან - ვაქციოთ გაა მსოფლიოში ფეროშენადნობთა უდიდეს წყაროდ. მანგანუმის საბადოს, ფეროშენადნობთა გადამამუშავებელი ქარხნისა და ელექტროსადგურის უნიკალური კომბინაცია ქმნის მთელ რიგ კონკურენტულ უპირატესობებს და უზრუნველყოფს ხარჯების ერთობლიობასა და სინერგიას. გარდა ამისა, აღნიშნული გარიგება განამტკიცებს აშშ-სა და საქართველოს ურთიერთობებს და გააძლიერებს გაა-ი პოზიციებს საერთაშორისო ასპარეზზე“, — განაცხადა კორპორაციის ხელმძღვანელმა მორდეხაი კორფმა.

საჯარო რეესტრის ამონაწერიდან ირკვევა, რომ „ჯორჯიან მარგანეზის“ შვილობილმა „გ.მ. ჯორჯიან მანგანეზ ლიმითედმა“ წილის „ჯორჯიან ამერიქენ ელიოზზე“ გასხვისება 20013 წლის 21 მარტს განახორციელა, თუმცა კომპანიის დირექტორად კვლავ ლოზინსკი რჩება. „ჯორჯიან ამერიქენ ელიოზი“ არის ლუქსემბურგის დიდი საჰერცოგოს კანონმდებლობის შესაბამისად დაფუძნებული კომპანია, რომლის სათაო ოფისი მდებარეობს აშშ-ში, მაიამიში. კომპანია აწარმოებს მაღალი ხარისხის ფეროშენადნობს, რომელსაც რკინის წარმოებისათვის გამოიყენებს.

აი, ესაა სინამდვილე და ამ ფონზე, როცა „ნაციონალური მოძრაობის“ ირიბი თუ პირდაპირი წევრები აპელირებას გააკეთებენ გამოგონილ ინფორმაციებზე, კარგი იქნება, თუ არ დაავიწყდებათ მათი დამფინსებლის წარსული, რომელმაც საქართველოს წიაღისეული ქართველი ხალხის წინაალმდეგ გამოიყენა. ცნობისთვის, მაღაროებში მომუშავეთათვის „ნაციონალურ მოძრაობას“ ის კაპიკებიც ენანებოდა, რომელსაც ოფიციალურად უწერდა და ხალხს წლობით არ აძლევდნენ კუთვნილ ხელფასს. რა იყო ეს თუ არა მონათმფლობელობა?!

„რუსთავი-2“ და მათ პატრონებს სიმართლის დადგენა რომ აინტერესებდეთ, იმ არაფრისმთქმელ, შინაარსისგან დაცლილი „საიდუმლო“ აუდიოჩანაწერის გამო კი არ ატეხდნენ ყალბ აჟიოტაჟს, არამედ ჭიათურის მარგანეცის გარშემო წლების განმავლობაში განვითარებულ დანაშულებრივ პროცესებს ჩაუღრმავდებოდნენ.

„ნაცმოძრაობამ“ ლუარსაბ ანდრონიკაშვილის მიერ საქართველოსთვის დაბრუნებული უმნიშვნელოვანესი ეროვნული სიმდიდრე — ჭიათურის მარგანეცი, თავისი სიხარბის, თავისი მოღალატური და მტაცებლური ბუნების გამო კვლავ უცხოელებს ჩაუგდო ხელთ საძარცვავად და სათარეშოდ.

ამის შემხედვარე, ლუარსაბ ანდრონიკაშვილი, ალბათ, საფლავში ტრიალებს და ჩვენს ბედოვლათობას მწარედ დასტირის.

სამწუხაროდ, ქვეყანას მიცვალებულები ვერ დაიცავენ, ქვეყანა ცოცხლებმა უნდა უნდა დაიცვან შარაგზის ყაჩაღებისა თუ საერთაშორისო მასშტაბის მაფიური სინდიკატებისგან, თუმცა ჯერჯერობით ცოცხლებს არაფერი ეტყობათ იმისა, რომ ცოცხლები არიან და თავიანთ ქვეყანაზე გული შესტკივათ.

**ქეთევან ზარნაძე**
599 52 60 30

# ქართველებო, საქართველოს ისტორიული სამეფო ტახტის მიტაცებას, რომელიც დღეს თქვენ არ გაინტერესებთ, ებრაულ-სიონისტური მოძრაობა ცდილობს და მას ამაში ქართული ეკლესიაც მხარს უჭერს

11 gv.

როგორც ცოდვას თვისას, ისე ინანიებს. საქართველოს სახელმწიფო ოკუპაციის წარმომადგენლებს, შევარდნაძის სიტყვებით რომ ვთქვათ, „უცხოური დაზვერვის მიერ ორგანიზებულ ძალიან მძიმე დანაშაულებრივ ხელისუფლებას“ რაც აწყობს, როგორ შეიძლება ის საკუთარ რწმენად დაიბრალოს ქვეყნის სულიერ პატრონად აღიარებულმა კათალიკოს-პატრიარქმა?! „ქართლის ცხოვრებაში“ ათასი რამ სწერია, მაგრამ იფქლსა და ღვარძლს გარჩევა უნდა!

**— გავითვალისწინოთ, რომ შეიქმნა ახალგაზრდული მოძღაობა „დავითიანიც“.**

— სრულიად საქართველოს ახალგაზრდული მოძრაობის დაფუძნებით: „დავითიანნით“. დღევანდელი ქართული ეკლესიის განმარტებით ორი დიდი დავითის შთამომავლები: დავით ებრაელთა მეფისა და დავით აღმაშენებლის. საქართველოს ტამპლიერთა ორდენის წევრებიც თავს ღირსეულ დავითიანებად აცხადებენ. აი, თურმე როგორ დაიწყო ტამპლიერთა ორდენის კურთხევა: ჯერ დავით აღმაშენებლის საფლავზე მიხეილ სააკაშვილის პრეზიდენტობის კურთხევით, შემდეგ დავით აღმაშენებლის ძეგლის გაბრძანებით დედაქალაქიდან ქალაქს გარეთ! და ბოლოს, საქართველოს სამეფო ტახტის პატრონად გამოცხადება სოლომონის ტაძრელთა მაგრამ როდესაც საქმე ეხება სამეფო ტახტის აღდგენას, რომელიც მეფის კურთხევის რიტუალით უნდა განხორციელდეს, მთავარი როლი ეკუთვნის საქართველოს ეკლესიას. ამიტომ საქართველოს ხელისუფლებამ, კერძოდ მიხეილ სააკაშვილმა, რომელმაც მოახერხა ეკლესიის მხარდაჭერის მიღება ქართველი ხალხისთვის სრულიად მიუღებელ და საქართველოს ეკლესიისათვისაც სრულიად მიუღებელ კანონებზე, (მხედველობაში გვაქვს საქართველოში არსებულ რელიგიურ გაერთიანებათა უფლებამოსილებების გატოლების კანონი ქართველი ერის სისხლხორცეული რწმენის,მართლმადიდებლურ-ქრისტიანული რწმენის უფებამოსილებებთან, ასევე ანტიდისკრიმინაციული კანონი), ასევე მოახერხა ეკლესიისმიერი მხარდაჭერა საქართველოს გაწევრიანებაზე ევროკავშირსა და ნატოში, უკვე აღარაფერი დარჩა ეკლესიას დამოუკიდებელი პოზიციების შენარჩუნებისათვის და შესაძლოა საქართველოს ეკლესიამ სახელმწიფოსაგან შეურაცხყოფილისა და უფლებააყრილის როლში ყოფნას ამჯობინა თვითონ დაიბრალოს თავისთავზე ის პოზიციები, რომელიც სინამდვილეში საქართველოს ხელისუფლებამ მოახვია თავს, ანუ იმ პოლიტიკურმა დესანტებმა, რომლებიც გადმოსხეს საქართველოში ებრაულ-მასონურმა ლოჟებმა. **ჩვენს ხელთ არსებული და საზოგადოებისთვის მისაწვდომი მთელი ინფორმაციის ანალიზით საქართველოს ეკლესია და საქართველოს ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენელი ხელისუფლება ერთობლივად ახორციელებენ საქართველოში მონარქისტული იდეის აღდგენის ამოცანას, რომლითაც მათ დავით ებრაელთა მეფის შთამომავალი ებრაელი ხალხისთვის საქართველოს ისტორიულ სამეფო ტახტზე უფლებამოსილების მინიჭებით, გვერდზე დაიყენეს მსოფლიოს მთელი მასონურ-სიონისტური მოძრაობა**. ამიტომ უფლისწულის ნათლია, ცნობილი ბიზნესმენი ლევან ვასაძე ინგლისური გაზეთიდან და ინგლისურ ენაზე, მახარობელთა ტონით გვაუწყებს, რომ კონსტიტუციური მონარქია დიდ ფულს შემოიტანს საქართველოში!

ეს პრობლემები არ გახლავთ მხოლოდ ჩვენი, ანუ ჩვენი ხალხის ადგილობრივი საჭიროებებით გამოწვეული და ამ თვალსაზრისით, ვიწრო ეროვნული ჩარჩოებით შემოსაზღვრული პრობლემები. ჩვენი ე.წ. დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობა, როგორც განმსაზღვრელი ჩვენი დღევანდელი მდგომარეობისა და ვითარების, ერთგვარად ჩართული ნაწილია მსოფლიოს ერთიანი პოლიტიკური ცხოვრების პროცესებისა, ანუ დღევანდელი მსოფლიოს ახალი წესრიგის დამყარების. და მეტიც: მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ გაცნობიერებული არა გვაქვს, რას წარმოადგენს ეს მსოფლიოს ახალ წესრიგი, რა მიმართებაშია მსოფლიოს ძველ წესრიგთან, ვინ შეცვალა ძველი, რატომ და რა მიზნით შეცვალა, როგორ მოხდა ანალიტიკა და დასაბუთება ძველის შეცვლის საჭიროებისა ახლით და ა. შ. **არა გვაქვს გაცნობიერებული არც ის, თუ რა როლი გვაკისრია ჩვენ ამ ახალ წესრიგში, უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენ მაინც ვმონაწილეობთ ამ პროცესებში, ოღონდ როგორც სახელმწიფო-ნივთი, რომელსაც გარკვეული ძალები საითაც უნდათ, იქით გადადგამენ და გადმოდგამენ**.

**ამ განვითების დიდწილ მიზეზს მე ვხედავ საქართველოს ეკლესიისა და საქართველოს სახელმწიფოს პოლიტიკურ კოჰაბიტაციაში, რომელშიც ხალხის ინტერესი დაიკარგა. ხალხმა მთელი ძლაუფლება მიანდო ეკლესიას, ხოლო ეკლესია ნაციონალურმა ხელისუფლებამ მთლიანად გადაიყვანა ბარბაროსულ კაპიტულაციაში**. შეიძლება ითქვას, რომ ეკლესიის გზით ხელისუფლებამ მოახერხა გარკვეულწილად ქართველი ხალხის დათრგუნვაც. მაგრამ ბოლომდე ვერ მივიდა საწადელ მიზანთან. მიუხედავად ეკლესიური მორჩილებისა, ქართველმა ხალხმა შეინარჩუნა თავისი ეროვნული მეობა და მარტო დარჩენილი დაუპირისპირდა საქართველოს მავნე ხელისუფლებას. სახელმწიფომ ქართული ეკლესია ააცდინა თავისი დიდი წმინდანების გიორგი მთაწმინდელის, ილია ჭავჭავაძის, სრულიად საქართველოს კათალიკოს პატრიარქის, კირიონ მეორის, იმერეთის ეპისკოპოსის, გაბრიელ ქიქოძის ისტორიულ ნააზრევს, როგორც ქართველი ხალხის ჭეშმარიტ სამომავლო გზას.

**— ქალბატონო დენიზა, რაში ხედავთ გამოსავალს, და რა ღონისძიებებით სახავთ საკმაოდ შორს წასული პროცესების მიმართულების შეცვლას?**

— პირველ რიგში პრობლემის გაცნობიერება უნდა მოხდეს მთელი ქართველი ხალხის მიერ და ფეხზე უნდა დადგეს მთელი საქართველო! ქართველმა ხალხმა უნდა მოსთხოვოს ქართულ მეცნიერებას დაიცვას ისტორიული სიმართლე, ქართველმა ხალხმა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ უნდა მოსთხოვოს საქართველოს ეკლესიას და პირადად მის უწმინდესობას აღიაროს თავსმოხვეულ შეცდომად ქართველ ბაგრატიონთა გამოცხადება ებრაული სისხლისად და მოხსნას ყველა კურთხევა ამ ცთომილებიდან მომდინარე. პროცესები, რომლებიც აქამდე მიმდინარეობდა



ამ საკითხებთან დაკავშირებით, დაფარული იყო ხალხისთვის. ღვთის შეწევნით ჩვენ შევძელით თქვენი გაზეთის მეშვეობით ამ ინფორმაციის გასაჯაროება! საქართველოს ბაგრატიონთა სახლმა უნდა გამოხატოს თავისი პოზიცია, როგორც თანხვედრილი ქართველი ხალხის შეგნებისა და რწმენის და ვალდებულია ამხილოს ქართველ ტამპლიერთა ვერაგული ზრახვანი. ახლა ყველაფერი ქართველი ხალხის მორალურმა ენერგიამ და ღირსების გრძნობამ უნდა გადაწყვიტოს. საქართველოში ქართველი ხალხის ყოფნა-არყოფნის საკითხი წყდება! აი, ეს მოგვიტანა მსოფლიოს ახალმა წესრიგმა და ამ წესრიგის ცნობილმა მესვეურებმა. არ შევდრკეთ! ახალი დიდგორი უნდა მოვიგოთ! და ახალი ბასიანი! ბევრად უფრო ძნელი, ვინემ ეს ჩვენი ისტორიული ომები იყო. ეს გვჭირდება ჩვენც, ქართველ ერსაც და ეს სჭირდება ჩვენგან მთელ მსოფლიოსაც!

სიმართლე ჩვენთან არის. ეს იმას ნიშნავს რომ ყოვლის შემძლე ღმერთიც ჩვენთან არის!

**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18

# „რა დავაშავე მე? მე ხომ თქვენ ძალიან მიყვარდით?“

## „მეფეებს პოეტების ეშინიათ“, ანუ რას ფიქრობს რუსი მწერალი საქართველოზე და ქართველებზე

**რამდენიმე დღის წინ ბაქოში კონფერენციაზე სტუმრებს შორის, ჩემდა საბედნიეროდ, მეც მოვხვდი, სადაც რუსი მწერალი, ქალბატონი ლუდმილა ლავროვა გავიცანი.**

**იმდენად გამაოცა მისმა ემოციურმა დამოკიდებულებამ ქართველებისა და საქართველოსადმი, რომ ინტერვიუ ჩავწერე.**

**გთავაზობთ ინტერვიუს რუს მწერალთან, პროზაიკოსთან, კრიტიკოსთან, ჟურნალისტთან ლუდმილა ლავროვასთან.**

**— ქალბატონო ლუდმილა, რას იტყვით დღევანდელ ქართულ-რუსულ ლიტერატურულ ურთიერთობებზე?**

— წარმოიდგინეთ, რომ მე არ მაქვს მარტივი პასუხი თქვენს კითხვაზე. მინდა გითხრათ, რომ ამ დღეებში ხელთ ჩამივარდა ერთი ლიტველი ავტორის წიგნი. აქვე გეტყვით, რომ ლიტველ მწერლებზე მე ბევრს ვწერდი და კარგად ვიცნობ თითქმის ყველა კარგი ლიტველი მწერლის შემოქმედებას, მაგრამ სამწუხაროდ, ბოლო წლების განმავლობაში, თითქმის გაწყდა ყველანაირი კავშირი ჩვენს შორის და აი, ახლა მოულოდნელად წავაწყდი ასეთ წიგნს. აღმოჩნდა, რომ მწერალმა ეს ნაწარმოები მოსკოვში გამოსცა რუსულ ენაზე, ცხადია, სტრატეგიული მოსაზრებით. რათა გაეგო რუსი მკითხველის აზრიც მის შემოქმედებაზე.

**— მე საქართველოზე გკითხეთ, თქვენ ლიტვაზე რატომ გადაიტანეთ საუბარი?**

— იმიტომ რომ, რაც ხდება ლიტვაში, როგორც არაფერი ვიცი ლიტვური ლიტერატურის შესახებ, ასევე არაფერი ვიცი თანამედროვე ქართულ ლიტერატურაზე დღეს. არადა, თავის დროზე მე ვმუშაობდი ქართულ ლიტერატურულ გაზეთებში. ვიცნობდი კრიტიკოსებს, მწერლებს.

ჩემი მეგობარი, **გურამ ასათიანი,** ბრწყინვალე კრიტიკოსი, ლიტერატურათმცოდნე, ბევრს წერდა რუსული გამოცემებისთვისაც.

დღეს რაც ხდება, არის კატასტროფა. არადა, რუს და ქართველ მწერლებს შორის ურთიერთობა ყოველთვის იყო ძალიან ღირებული, ძვირფასი, სულიერი აღქმის თვალსაზრისით, შემოქმედებითი აღქმის თვალსაზრისით. საქართველო აძლევდა რუსულ ლიტერატურას მრავალფეროვნებას, ერთგვარ საღებავს ახალი მხატვრული ნაწარმოებების შექმნისას. ამიტომაც ვუყურებდით საქართველოს ყოველთვის რაღაცნაირი აღფრთოვანებული თვალებით, მაგრამ მოხდა ის, რომ ეს აღფრთოვანება გაქრა, დაიმსხვრა. ჩვენ დავეჯახეთ გაუცხოების კედელს, დაიმსხვრა კავშირები... და მე ეს მიკვირს, რადგან, რაც უნდა გაეკეთებინათ პოლიტიკოსებს, რაც უნდა მომხდარიყო, რა დავაშავე კულტურამ? რა დავაშავე მე მწერალმა, კრიტიკოსმა?! მე სიყვარულით ვწერდი ქართულ ლიტერატურაზე და უცებ გავხდი მტერი, ყველაფერი გადაჭრეს და ყოველგვარი კონტაქტები გაქრა.



ასევე მოხდა ლიტვის მაგალითზეც. იმ წიგნის ავტორი მესაუბრა ტელეფონით და ვუთხარი: წლების განმავლობაში არ გვქონია ურთიერთობა, თქვენ დარწმუნებული ხართ, რომ ახლა ნამდვილად გჭირდებათ ჩვენთან კავშირების განახლება-მეთქი? მან მიპასუხა: დიახ, ძალიან მსურს, რომ ჩემი ხმა მივიდეს რუს მკითხველამდე, გაეცნოს მას რუსეთიო.

მე თვითონ ვთარგმნე ის წიგნი რუსულად, დავურთე რეცენზიაც.

მაგრამ ქართული წიგნი დიდი ხანია თვალითაც არ მინახავს. არც ის ვიცი, იბეჭდება თუ არა ქართული ლიტერატურა რუსულად.

აი, მაგალითად, აზერბაიჯანული ლიტერატურა იბეჭდება და გამოიცემა მოსკოვში. იწერება რეცენზიები, განიხილავენ ნაწარმოებებს, მიმდინარეობს დისკუსიები ლიტერატურულ გაზეთებში, სამწერლო ცენტრებში. ხდება, ასე ვთქვათ, სულიერი მოედნის გაფართოება. რაც შეეხება საქართველოს, რომელიც მე ოდესღაც ასე მიყვარდა, სადაც ყოველ წელს მივდიოდი, მოვივლიდი და მოვეფერებოდი ყველაფერს თბილისიდან ვარძიამდე, ბაკურიანს, კახეთს... ეს იყო ჩემთვის ადგილი, სადაც ღია სულით, არარეალური ფანტაზიით ვღებულობდი ჩემში საქართველოს. ახლა უკვე ვფიქრობ, რომ ეს ის საქართველო არ იყო, როგორიც მე მეჩვენებოდა, როგორც ჩანს, მირაჟი იყო ყველაფერი, მაგრამ ეს ხომ არ იყო მხოლოდ ლამაზი პეიზაჟები? ეს ხომ იყო არაჩვეულებრივი ხალხი?! სად გაქრა ეს გახსნილობა, გასაოცარი პოეტურობა, მუსიკა, ურთიერთსიყვარული?!.

**— რატომ გგონიათ, რომ გაქრა? ბოლო ხანებში შეხვედრიხართ ქართველებს?**

— სად უნდა შევხვედროდი? რესტორანში? მოსკოვში ჩემს მეზობლად არის ქართული რესტორანი. შესანიშნავი რესტორანია, მფლობელიც ქართველია, მაგრამ ეს ხომ ის ადგილი არ არის, სადაც ლიტერატურაზე და ხელოვნებაზე უნდა ისაუბრო? (**იცინის...**) იქ ხშირად დავდივარ. არის კარგი ქართული ღვინო, აქვთ გემრიელი კერძები, მაგალითად, საცივი, მაგრამ... მაგრამ... ჩვენ ხომ კუჭით არ ვცხოვრობთ? ჩვენ გულით ვცხოვრობთ. ასე არ არის?

წარმოიდგინეთ, მთელი ეს წლები მე არ შევხვედრივარ და არ მისაუბრია არც ერთ ქართველთან. თქვენ ხართ პირველი, ვისაც ასე გულითადად ვესაუბრები და ვუყვები იმას, რაც მაკვირვებს და რაზეც გული მწყდება. დიახ, 20 წელიწადია არც ერთ ქართველთან არ მქონია ურთიერთობა. ლიტერატურულ კავშირებზე კი, როგორც გითხარით, საუბარიც ზედმეტია, იმ დროს, როცა ლიტველები, რაზეც მოგიყევით, ესტონელები, ლატვიელები, უკვე აქტიურად ცდილობენ რუსულ ლიტერატურულ ველში შემოღწევას, აღარ ვსაუბრობ აზერბაიჯანელებზე, რომლებიც განსაკუთრებით ცდილობენ ასეთი ტიპის ინტეგრაციას, ასეთივე სიტუაციაა სომხეთშიც, მაგრამ, სამწუხაროდ, საქართველოს შემთხვევაში, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, სულ სხვაგვარადაა საქმე. პოლიტიკა არის პოლიტიკა, პოლიტიკური ცხოვრების პერიპეტიები, ეს არის ერთი ასპექტი, მაგრამ ხომ არსებობს სხვაც?

**— თქვენი ძველი მეგობრები საქართველოდან ამ ხნის განმავლობაში არ შეგხმიანებიან?**

— იცით, მე ვმუშაობდი „Ëèòåðàòóðíàÿ ãàçåòà“-ში 2000 წლამდე და მთელი ამ ხნის განმავლობაში და მერეც მიკავშირდებოდნენ მეგობრები სხვადასხვა ქვეყნებიდან, მაგრამ საქართველოდან ერთი ზარიც კი არ ყოფილა.

ჟურნალის „დრუჟბა ნაროდოვ“ რედაქტორმა **ალექსანდრე ებანოიძემ** გამოგვიგზავნა **ოთარ ჭილაძის** ახალი რომანი და ეს იყო ბოლო სერიოზული ქართული ლიტერატურული ნაშრომი, რომელიც მოსკოვში გამოიცა.

მახსოვს, გამოდიოდა შესანიშნავი გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“. იბეჭდებოდა ახალი ლექსები, მოთხრობები, კრიტიკული ნაწარმოებები, თქვენ ამბობთ, რომ ის აღარ გამოდის რუსულ ენაზე, რაც ნიშნავს, რომ ჩვენი კომერციული დრო დამთავრდა, ახლა გლამურული გამოცემების დროა.

ძალიან მიხარია, რომ შევხვდით. გულზე მომეშვა თითქოს...

90-იან წლებში შევხვდი კოტე მახარაძეს. სწორედ ის იყო უკანასკნელი ქართველი, ვისაც ვესაუბრე ბოლოს. მან მისახსოვრა თავისი ფოტო თავისივე ძვირფასი წარწერით. მორჩა. სხვა ურთიერთობები აღარ მქონია.

ვწუხვარ, რომ ისიც ვერ გავიგე, როდის გარდაიცვალა ჩემი მეგობარი გურამ ასათიანი. წარმოგიდგენიათ? ვიღაცამ მითხრა, რომ ჭაბუა ამირეჯიბს გარდაცვლია ვაჟი. თვითონ ჭაბუაც გარდაცვლილა. აფხაზეთში, ჩემს მეგობარ აფხაზ პოეტს ძმათამკვლელ ომში ძმა დაღუპვია.

ასე იკეტება კარები და ჩვენ მივდივართ ისეთი გზებით, რომელი გზებითაც ჩვენ აუცილებლად დავკარგავთ ერთმანეთს. ზოგიერთი იტყვის, რომ მძიმე ეკონომიკის პირობებში ძნელია ურთიერთობა, გასაგებია, მაგრამ ინტერნეტი ხომ არსებობს? სკაიპის საშუალებით შეგვიძლია უსასრულოდ ვისსაუბროთ. ასე ველაპარაკებით მეგობრებს შვეციაში, ამერიკაში, საფრანგეთში.

ცხადია, თქვენთან საუბრისას მხოლოდ საქართველოზე ვლაპარაკობ, მაგრამ ეს არ არის მხოლოდ შემთხვევით განპირობებული. საქართველო ჩემი ტკივილია.



თქვენს ქვეყანასთან მე ბავშვობიდან ვარ დაკავშირებული. იცით, ჩემს ქორწილში ქართველებიც იყვნენ. მამაჩემის ომის მეგობრის მთელი ოჯახი — ძლიერიშვილები. ბავშვებით, რძლებით, სიძეებით. სახელიც მახსოვს მიხეილ ძლიერიშვილი. მათ ჩამოგვიტანეს ქორწილისთვის ქართული ღვინო, მწვანილები, სხვა რაღაცებიც... მოკლედ, გადავიხადე რუსული, მაგრამ გამოვიდა ქართული ქორწილი. წელანაც გითხარით: ყოველ წელს დავდიოდი საქართველოში. ჩავდიოდი ზღვაზე, მაგრამ თბილისში რომ არ გამომევლო, ისე მოსკოვში არ მივდიოდი, ვცხოვრობდი ჩემს მეგობრებთან მოსკოვის ქუჩაზე, მთაწმინდასთან ახლოს, ერთ პატარა სახლში. მერე ერთად მივდიოდით ბორჯომში, ბაკურიანში... ეს წლები არის ჩემი ცხოვრების ყველაზე ძვირფასი მოგონებანი. და ახლა ვფიქრობ, რა დავაშავე მე, მე ხომ თქვენ ძალიან მიყვარდით?! მიყვარდა თქვენი პოეზია, ლიტერატურა, კულტურული ძეგლები, არაჩვეულებრივი მუსიკა, თქვენი ტაძრები... ე. ი. თქვენთვის სხვა ღირებულებები უფრო მნიშვნელოვანი იყო? როგორც ჩანს, სულიერი თანხვედრა არ ყოფილა თქვენთვის მნიშვნელოვანი.

**— მთლად ისე ნუ წარმოვადგენთ საქმეს, თითქოს ქართველებს რუსი ხალხი ეჯავრებათ. ჩვენ ყველას პატივს ვცემთ. თუმცა რუსეთის სახელმწიფოსთან გვაქვს გარკვეული პრეტენზიები...**

— მე არ ვფიქრობ, რომ თქვენ ვერ გვიტანთ. ეს ინფორმაციული ომის შედეგი უფრო მგონია. როცა ადამიანებს ჩასძახიან, რომ რუსები არიან მტრები, მათი უმრავლესობა, გაუაზრებლად, ასე ფიქრობს, თუმცა ისინი, ვინაც მეტად აზროვნებენ, მგონი, თავს ძალა უნდა დაატანონ და გაიაზრონ, რა ხდება ირგვლივ. ასეთი გაუცხოებით, ასეთი ტიპის პოლიტიკით გარკვეული წრეები ფულს შოულობენ. ეს არის ადამიანების მასად ქცევის ერთ-ერთი საშუალება, როცა ადამიანს საკუთარი აზრი არ გააჩნია. სურთ ხალხს ინდივიდუალობა წაართვან. ეს არის დიდი კაპიტალის პოლიტიკა, ტრანსნაციონალური კორპორაციების პოლიტიკა. მათ არ აინტერესებთ ვინ ხარ, რომელი კულტურის ან ტრადიციის ნაწილი, რა მისწრაფებები გაქვს და ა.შ. თუ წინააღმდეგი წახვალ, გარიყული აღმოჩნდები. დარწმუნებული ვარ, გინახავთ ფილმები, სადაც ადამიანებს აქვთ ნომრები, როგორც მატრიცა, როგორც უსული სხეული, ამაზე წერდნენ გენიალური მწერლები წლების წინ. რეი ბრედბერი გაიხსენეთ. ჯერ კიდევ როდის იწერებოდა ის, რაც ახლა ხდება.

**— რამდენიმე სიტყვა რუსულ ლიტერატურაზე გვითხარით. არის სიახლეები რუსულ ხელოვნებაში?**

— არის. დიახ, გამოჩნდნენ ახალგაზრდა მწერლები, საუკეთესო მხატვრები, თუმცა მუსიკაში არსებობს კრიზისი.

საქმე ისაა, რომ ყოველივე ამას არ აქვს პროპაგანდა. დაიწერება კარგი ლექსი, შეიქმნება კარგი ნაწარმოები, მაგრამ ყოველივე კონსერვდება ერთ ლოკალურ სივრცეში — მეგობრების წრეში ან პატარა კლუბში, სადაც ვიწრო წრე განიხილავს ახალ ნაწარმოებს.

პრინციპში, ჩვენთანაც ისეთი სიტუაციაა, როგორც მსოფლიოში. ადამიანები ცდილობენ ყველაფრისგან აკეთონ ფული.

**— ეს არის კაპიტალიზმი.**

— კი, ბატონო, იყოს კაპიტალიზმი, მაგრამ ხომ შეიძლება გავუფრთხილდეთ იმას, რაც ძვირფასია?!

**— პუტინი კარგი პრეზიდენტია?**

— ასე ცალსახად ვერ იტყვი ისეთ ფიგურაზე, როგორიც ვლადიმერ პუტინია. ის ხელისუფლებაში მოვიდა მაშინ, როცა რუსეთი სრული კრახის წინაშე იდგა. ჩვენ გავიარეთ უმძიმესი წლები. ჩემი უახლოესი მეგობარი, ექიმი, ჩეჩნეთის ომში შვილთან ერთად მოკლეს მხოლოდ იმისთვის, რომ ეწინააღმდეგებოდა იმ ომს, დაპირისპირებას, იმ საშინელ აურზაურს, რაც ხდებოდა რუსეთსა და ჩეჩნეთს შორის.

რაც შეეხება ხალხთა დაახლოებას. ამისთვის არ არის საჭირო დიდი ფინანსები, განსაკუთრებული გეგმები და ღონისძიებები. ჩვენ, საზოგადოებამ უნდა ვიაქტიუროთ. გამოვიჩინოთ ინიციატივები, რომ, მაგალითად, რუსეთში რუსულად დაიბეჭდოს რომელიმე არარუსი მწერლის წიგნი, დავჯდეთ, ვისაუბროთ მრგვალ მაგიდასთან, მოვიწვიოთ კონფერენცია. ხელისუფლებამ ასეთი რამეების მხარდაჭერა უნდა და განახორციელოს, დანარჩენს ჩვენ გავაკეთებთ. ასე შედგება დიალოგი, დაახლოება.

მე, მაგალითად, ძალიან მაინტერესებს, რას წერენ დღეს ქართველი მწერლები, რა ახალი გამოცემები არსებობს.

რაც შეეხება ხალხთა მეგობრობას, ერთიანობას, მე ეს კარგად ვიცი, რომ ძველებურად არასდროს აღარ იქნება, მაგრამ ხომ შეიძლება შედგეს კულტურული, ინტელექტუალური დიალოგი?!

გახსოვთ, პუშკინი წერდა, „მეფეებს ეშინიათ პოეტებისო“.

დიახ, ჩვენ დღეს აქ ვზივართ და ვსაუბრობთ, მაგრამ მე მაინც არ ვიცი, რამდენად თავისუფალი ხართ თქვენ, როგორც ჟურნალისტი და თუკი ჩვენი დიალოგიდან პატარა ნაწილს მაინც დაბეჭდავთ, კარგი იქნება.

**— რას ამბობთ, მთელი ინტერვიუ დაიბეჭდება.**

— და რომელი რედაქტორი დაბეჭდავს საქართველოში ინტერვიუს რუს მწერალთან? ვერ ვიჯერებ, რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს თქვენთვის. თანაც, მართალი გითხრათ, არც აქვს მნიშვნელობა დაიბეჭდება თუ არა ეს. მთავარი მაინც ისაა, რომ ჩვენ გავიცანით ერთმანეთი, მოვუსმინეთ ერთმანეთს და გავუგეთ. ამიტომაც ნუ იფიქრებთ, რომ რუსეთში ყველა იდიოტია. (**იცინის.**)

**— რას ამბობთ?**

— არა, სხვა რამ მინდა გითხრათ: აკეთებს ის რაც დღეს ხდება უკრაინაში. ეს სირცხვილია. დიახ, სირცხვილი. მაგრამ, როგორც ჩანს, ამერიკაში ისტებლიშმენტი დაინტერესებულია პოსტსაბჭოთა ქვეყნების დეგრადაციით და ის, ვინც ამას განახორციელებს, ყველას მხარს უჭერენ. ეს ჩემი შეხედულებაა. მათ აინტერესებთ, რამდენად ღრმად შეაღწევენ ქვეყნებში და მიაყენებენ ზიანს, თორემ არავის არ ანაღვლებდა, რა ხდებოდა რუსეთში 90-იან წლებში — ხალხი შიმშილით იხოცებოდა. წარმოგიდგენიათ, წელიწადში მილიონი ადამიანი კვდებოდა რუსეთში შიმშილით, უამრავი იყო შეკვეთილი მკვლელობები „დემოკრატიულ“ რუსეთში, პროფესორები ჩინური გადასაფარებლებით ვაჭრობდნენ. აი, ასე იყო. ასლა ცოტ-ცოტას ფეხს ვიდგამთ და დაგვეცა უკრაინის პრობლემა. რაში იყო საჭირო იანუკოვიჩის ჩამოგდება, როცა არჩევნებამდე თვე იყო დარჩენილი?! მე ვტიროდი უკრაინის მოვლენებზე. უკრაინა ჩემი მეორე სამშობლოა, დედა მყავდა ზაპოროჟიელი, ბებია — კაზაკი. მთელი ბავშვობა უკრაინულ ბილინებს ვისმენდი, ვკითხულობდი ტარას შევჩენკოს. ახლა მეუბნებიან, რომ მე ვარ აგრესორი, უკრაინის მტერი...

გაიხსენეთ, რა მოხდა ლიბიაში. იქ მთელი წელი ცხოვრობდა ჩემი მეგობარი და შესანიშნავად ვიცით ყველამ რას აკეთებდა ლიბიაში მუამარ კადაფი. დაყვეს, დაგლიჯეს, გადაწვეს ლიბია, ერაყი, იემენი, გაუბედურდა ხალხი.

ყოფილი საბჭოთა, ახლა დემოკრატიული და დამოუკიდებელი ქვეყნები აგინებენ რუსეთს. არა უშავს, ავიტანთ, სხვა რა გზა გვაქვს? გალანძღონ რუსეთი, შეაფურთხონ და იყვნენ კარგად. ეს მტკივნეულია, მაგრამ, რას ვიზამთ?!..

***ინტერვიუს შემდეგ ლუდმილა ლავროვა მომეხვია და მითხრა: გადაეცით ქართველ ხალხს და საქართველოს, რომ მე მიყვარხართ, მენატრებით, მენატრება დრო, როცა ერთმანეთის მეგობრები ვიყავითო. გამომშვიდობებისას ცრემლმორეულმა მთხოვა: გეხვეწებით, გადაიღეთ ფოტო მცხეთის ფონზე, რომ კიდევ ერთხელ დავინახო საქართველო, მცხეთა და სვეტიცხოველი...***

**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18
**ბაქო-თბილისი**

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# ახალი სოფისტების განსწავლული უვიცობა

ზუგდიდის საგანმანათლებლო გარემო დასნეულებულია. ბაცილები ამ ორი ათეული წლის წინათ დედაქალაქისა და სამეგრელო-აფხაზეთის უხვედრი წერტილებიდან გადმოხვეწილმა ფსევდომეცნიერებმა, თავიანთი თრიფინა ცოდნით მოვაჭრე ჩარჩებმა — ახალმა სოფისტებმა შემოიტანეს ზუგდიდში. წრეგადასწული მერკანტილიზმი, გონების სრული გათელვა, ასეთია ამ დახაშმულობის სახელი, ავადმყოფობისა, რომლის ეპიდემიამ არა მარტო კვაზიმეცნიერთა, არამედ ათასობით ახალგაზრდის სული იმსხვერპლა. კომერციული სასწავლებლის სერთიფიკატი, რომლის წყალობითაც შეიძლება თავზე მოექცე განათლებულებს, დაუნდობლად გასრისო ფეხქვეშ ყოველგვარი ავთენტური უნივერსიტეტის დიპლომი, ხელთ იგდო სარფიანი თანამდებობა, — აი, რა ამოძრავებდა მათ.

ის დაუჯერებელი აღზევება, რასაც მათ მიაღწიეს, აიხსნება, ერთი მხრივ, მოსახლეობის გარკვეულ ფენებში სნობისტური მისწრაფებების პარალელურად განათლების მასობრივი მოთხოვნილებით, ხოლო მეორე მხრივ, თვით ახალი სოფისტების ფხიანობით — დაეკმაყოფილებინათ ეს საჭიროება, მათი საქმოსნური პრაქტიციზმით, რასაც პირადი



გამორჩენის წყურვილი და ანგარება ედო საფუძვლად. დაუშვებელია მათი „მოღვაწეობის“ ნეგატიური მომენტის იგნორირება: თავიანთ მოწაფეებს ნეოსოფისტები არ უნერგავდნენ აზროვნების კულტურას. პირწმინდად მომხმარებლური მიზნებით რომ წარმართეს ინტელექტუალური ინდივიდისა და ბრბოს კაცუნის განსხვავების პრობლემა, ვერ შეძლეს მისი მართებულად გადაწყვეტა. უცოდინარმა მათ თვალში დაჩრდილა განათლებული, ჩლუნგმა გონებამ — აზროვნების უნარი. ეთიკის სფეროში ნეოსოფისტურმა „რელატივიზმმა“ უარყო სიმართლე, მორალის ზოგადსავალდებულო ნორმები და მხოლოდ ფულის გადამხდელი სტუდენტი მიიჩნია ყველაფრის საზომად. ამან ახალი სოფისტები წმინდა წყლის ფორმალისტებად, ცინიკოსებად (ამ სიტყვის დღევანდელი დეფინიციით) და პირწავარდნილ უტილიტარისტებად აქცია, ხოლო მათი „გარჯილობა“ სიტყვიერ კაზუისტიკაზე დაფუძნებულ დისტელეოლოგიის არსებობის ქადაგებამდე დაიყვანა.

ვფიქრობ, ზუგდიდის მოაზროვნე საზოგადოებამ კარგა ხანია იგრძნო ეს საფრთხე. მახვილ თვალს არ გამოჰპარვია, რომ ახალი სოფისტიკა, თავისი არსით, ცოდნისა და ჭეშმარიტების წინააღმდეგ მიმართული ფართიფურთია. ამიტომაა სწორედ საჭირო ნეოსოფისტების სპირიტუალურ სვესვიანობასთან დაპირისპირება. საამდღეო გეზად უნდა დაისახოს არა მარტო მათი იერიშების მოგერიება, არამედ საგანმანათლებლო ყოფიერების რეფორმაციაც.

დასკვნა ასეთია: გარდა იმისა, როგორ არ უნდა გავაკეთოთ, გვმართებს ვიცოდეთ ის, თუ რა გზას დავადგეთ.

განათლებისა და მეცნიერების წარმატებების გასაღები მეთოდებისა თუ მოთხოვნების მაღალ სტანდარტებშია. ნოვაციური სტანდარტები უნდა გამოყენებული იქნას ცოდნის სხვადასხვა დარგებში. ყველა ეს მოთხოვნა შეიძლება ერთმანეთს ეწინააღმდეგებოდეს, მაგრამ აუცილებელია მისი ბალანსირება. საგანმანათლებლო-სამეცნიერო მოდელის შექმნისას უნდა გავითვალისწინოთ მთავარი და მეორეხარისხოვანი ფაქტორების განსხვავება. მეცნიერება მხოლოდ იმათ წყალობს, ვისაც იგი აინტერესებს არა იმდენად ფეხის ქირისთვის, რამდენადაც თვით მეცნიერებისათვის.

**ნუგზარ გულორდავა,**
**პროფესორი**
555 672 818

# ციურიხის გენეალოგიური ცენტრის სენსაციური დასკვნა:

# ტუტანჰამონი და სხვა ეგვიპტელი ფარაონები კოლხები იყვნენ?!



გაგრძელება. დასაწყისი იხ. „საერთო გაზეთი“ №8-15

### ხეთები – ალაპარაკებული ქვები

დიდი ხნის მანძილზე მეცნიერ-არქეოლოგთა კვლევის საგანი იყო ქვებსა და უზარმაზარ ლოდებზე ნატიფად ამოკვეთილი სცენები და წარწერები, რომლებიც ვერც ერთ ენაზე ვერ იშიფრებოდა, თუმცა, ევროპელ მეცნიერებს ხელთ ჰქონდათ ფაქტი – ანატოლიის რიგითი მაცხოვრებლების მიერ მოპოვებული და მათგან შესყიდული არქეოლოგიური მასალები მანამდე უცნობი დიდი კულტურული ცივილიზაციის ნარჩენები იყო. ბოლოს და ბოლოს, როდესაც „ენა ამოიდგეს“, კოლხურის მონათესავე ენაზე ალაპარაკდნენ ქვები და გამოირკვა, რომ ათი უზარმაზარი ნაქალაქარი ქვების გროვები უზარმაზარ სტელებზე გაკეთებული წარწერებით უცნობი ქვეყნის, ხეთას უძველესი და უძლიერესი კულტურის ნაშთი იყო. „ქვების გროვებზე“ პირდაპირ ჩანდა იგივე ხელწერა, რაც ჰქონდა როგორც ეგვიპტურ, ისე სამხრეთ ამერიკულ, კონკრეტულად ტეოტიუაკანოს პირამიდებს.

„ძველი აღთქმა“ 6; 4 იკითხება, რომ ღვთისშვილებს უშვეს პირველი შვილები ადამის ქალიშვილებმა და მათ ეწოდათ ადამ+ანი. კოლხურად „ანი“, ცის ღმერთის ანიას შვილს ნიშნავს.

ბიბლიაში 11,15 წერია „ქამის ძეებია ქუში, მიცრაიმი, ფუტი და ქანაანი, ხოლო ქანაანმა შვა სიდონი და ხეთი“.

არსებობს ვერსია, რომ ქართველების დიდი წინაპარია იმ დროის ქურუმ-განმანათლებელი ნოე. მან შექმნა პირველი „სჯულის კანონი“, ანუ „ეფუთი“. იგი დაიწერა ნოეს მიერ აშენებულ ქალაქ ფუთში, რომელიც მდებარეობს მდინარე რიონის შესართავთან (დღევანდელი ფოთი), ამიტომაც ეწოდა ამ ნაშრომს „ეფუთი“.

როგორც არქეოლოგიურმა გათხრებმა გამოავლინა, ხეთის ქართველურ-კოლხურ ტომს შეუქმნია თვითმყოფადი კულტურა, ჩუქურთმებით დამშვენებული ათი დიდი ქალაქი 300-ზე მეტი სოფლით. ანატოლიის ნახევარკუნძულის ცენტრალური ნაწილი ასე გამოიყურება, ხეთების მშვენიერი დედაქალაქი ჰათუთაში (ხათუსა) და დანარჩენი ცხრა ქალაქი: ანქარა, ექიუ, იაზილიქაი, ალიშარა, ქარათეჰჰე, ზენჟირლი, მერსინი, ქარიჰემიში და ქადეში – თითოეული მათგანის სახელი კოლხური წარმომავლობისაა...

### „სამარცხვინო“ ქართული ენა

ევროპისა და აზიის სხვადასხვა ქვეყნებში მცხოვრები ხალხების წინაპრები, დაახლოებით 15 000 წლის წინათ, შესაძლოა ერთ საერთო ენაზე ლაპარაკობდნენ და ისინი თანამედროვე კავკასიის, უფრო კონკრეტულად კი თანამედროვე საქართველოს ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ – განაცხადეს ენის მკვლევარებმა და ინფორმაცია სასწრაფოდ გაავცელა „ფოქს ნიუსმა“ რომელიც თავის მხრივ „**Proceedings of the National Academy of Sciences**-ს“ დაეყრდნო.

მკვლევარებმა მოახდინეს სიტყვების „დედა“ და „ადამიანი“ რეკონსტრუქცია, რომელსაც სავარაუდოდ, უძველესი ადამიანები იყენებდნენ ისეთ რეგიონში, როგორიც არის, კავკასია, კერძოდ, საქართველო და ეს სიტყვები ახლაც ისე ჟღერს, როგორც 15 000 წლის წინათ. ჩვენ შეგვიძლია ენის კვალს 15 000 წლის წინანდელ პერიოდამდე გავყვეთ, რომელიც უკანასკნელი გამყინვარების ხანის დასასრულს შეესებამება, – განაცხადა მკვლევარმა მარკ პეგელიმ. მკვლევარები ამბობენ, რომ 23 სიტყვა, მათ შორის: „მე“, „შენ“, „დედა“, „კაცი“, ცეცხლი“, „ხელი“ და მოსმენა ზუსტად ისე ჟღერს, როგორც 15 000 წლის წინათ, ანუ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თანამედროვე ადამიანები თავიანთ წინაპრებს რომ შეხვედროდნენ ქვის ხანიდან, ამ 23 სიტყვის გამოყენებით გარკვეულ დონეზე უეჭველად შეძლებდნენ ერთმანეთთან კონტაქტს...



ბარელიეფები იაზილიქაიადან

### გიგანტები

უძველესი კულტურული ცივილიზაციის საკითხებში, პროფესორმა ანტონიო პინიომ კიდევ ერთხელ გაიმეორა ის თვალსაზრისი, რაც მოცემულია XIX საუკუნის ამერიკელი მეცნიერისა და მწერლის, იგნატიოს დონელის წიგნში „ლათინური ენის წარმოშობა“, მის საბაზისო წყაროს კი XVI საუკუნის ქრისტიანი ესპანელი მისიონერი დიეგო დე ლანდას ხელნაწერი წიგნი „მაიას ტომის ისტორია“ (დაცულია ესპანეთის სამეფოს ისტორიის წიგნთსაცავში) წარმოადგენს. როგორც უკვე ვთქვით, იგი იყო პირველი ქრისტიანი ეპისკოპოსი იუკატანის ნახევარკუნძულზე, რომელმაც აღწერა წარღვნამდელი მაიას ტომის ისტორია, „მაიას ანბანი“ და ამ ანბანის წინარე სახე – კოლხური ანბანი. ამისი ხელნაწერების შესწავლისა და მათზე დაყრდნობის შედეგად გაშიფრა ფრანგმა კათოლიკე მისიონერმა ბურბომ ძველი ამერიკული წარწერები. პინიომ განაცხადა: – „სამხრეთ ამერიკაში, ე.წ ტეოტიუკანოს აბორიგენი ინდიელების თქმით, პირამიდები შენდებოდა ორ ეტაპად და ისინი ააშენეს ტანსრულმა, თეთრკანიანმა ზორმა გიგანტებმა.“

პერუში, როცა ესპანელებმა აღმოაჩინეს ინკების სამეფო, პედრო პისარომ იგივე ჩაწერა, რომ ანდების ტანმორჩილ და შავგვრემან ინდიელებს შორის ცხოვრობდა ინკების გაბატონებული მოდგმა. ეს იყო ტანმაღალი და თვით ესპანელებზე უფრო თეთრი კანის მქონე ადამიანების ტომი, უკანასკნელი შთამომავლები თეთრკანიანი, წვერიანი ადამიანებისა, ვირაკოჩა ღმერთების შთამომავლები...

### ვინ იყვნენ (არიან) გიგანტები?

ვინ იყვნენ პირამიდების აშენებელი, თეთრკანიანი გიგანტები? მეცნიერები ჯერჯერობით ამაოდ ცდილობენ დაადგინონ ვის წარმოადგენენ სხვადასხვა დროს ნაპოვნი გიგანტი ადამიანის ჩონჩხები თუ ჯერ კიდევ აქა-იქ თვალმოკრული „თოვლის კაცები“; გაათანამედროვონ თქმულებები მათზე, მითუმეტეს, რომ კაცობრიობისთვის ფასეული წიგნები ადასტურებენ გარკვეულ ეტაპებზე ადამიანებისა და გიგანტების თანაცხოვრებას.



ძველი აღთქმა თავი 6 – 1. როდესაც ადამიანებმა გამრავლება იწყეს, იწყეს დედამიწაზე და ასულები შეეძინათ 2. დაინახეს ღვთისშვილებმა რომ მშვენიერნი იყვნენ ადამიანთა ასულები და მოჰყავდათ ცოლად ვისაც ვინ მოეწონებოდა 4. ბუმბერაზები იყვნენ იმ ხანებში ქვეყნად და მას მერეც, როცა ღვთისშვილები შედიოდნენ ადამის ასულებთან, რომელნიც უშობდნენ მათ. ძლიერები იყვნენ ისინი ძველთაგანვე სახელოვანი ხალხი...“

შედარებით ვრცლად არის მოთხრობილი მათ შესახებ „ყურანში“, სადაც წარღვნის ამსახველ ნაწილში ირკვევა, რომ ნოეს მიერ კიდობნის აგების დაწყება მასხრად აუგდიათ გიგანტებს, ჩვენ ფეხის ტერფით შეგვიძლია გადავკეტოთ მდინარის კალაპოტი, ისეთი დიდები და ძლიერები ვართო. თუმცა, წარღვნას კიდობნის გარეთ დარჩენილი ყველა არსება, მათ შორის გოლიათებიც, გარდა ერთისა, შეუწირავს...

სწორედ ამ ერთ გადარჩენილზე მოგვითხრობენ „ბაბილონის წიგნები“ – ნოემ წარღვნისგან გადაარჩინა გიგანტი „ოგი“, რომელიც კიდობანში ჰყავდა ჩამწყვდეილი გისოსებსმიღმა და იქიდან აწვდიდა საკვებს. შემდგომ ოგი ადამის ასულებთან ამყარებს კონტაქტს და კვლავ გამრავლდა მისი „გვარი“ დედამიწაზე. მისი შთამომავლობა წინაპარივით გიგანტი აღარ იყო, თუმცა ადამიანებთან შედარებით მაინც გიგანტურად გამოიყურებოდნენ.

გიგანტებმა სამკვიდროდ პალესტინა აირჩიესო. მოსეს მიერ ეგვიპტიდან ებრაელთა გამოსვლის შემდეგ, როდესაც პალესტინას მიადგნენ, იმ მხარეში მოსეს გაგზავნილმა მზვერავებმა ამბავი მიუტანეს: „ვიხილეთ ჩვენ ისპალინები (გიგანტები), ისპალინელთა შთამომავალნი. მათ ყთვალში ჩვენ კალიები გვეგონა თავი და სწორედ კალიებივით გამოვიყურებოდით ჩვენც მათ თვალებში.“ მოკლედ რომ ვთქვათ, გოლიათები ადამიანებისთვის კარგად ნაცნობი „ვიღაცები“ იყვნენ.

საჰარის უდაბნოში აღმოჩენილია ქვის ხანის 200-მდე სამარხი, სადაც ჩონჩხის ასაკი დაახლოებით 5000 წელია და ყველა მათგანის სიმაღლე 3 მეტრს აჭარბებს; თურქეთში ნაპოვნი გაქვავებული ადამიანის ჩონჩხის ფეხის ძვალი 120 სმ-ია, ანუ ამ ადამიანის სიმაღლე 5 მეტრია; ჩინეთში ნაპოვნია 3-3,5 მეტრი სიმაღლის ადამიანების მრავალი ჩონჩხი; ავსტრალიაში ნაპოვნია 67 სმ სიმაღლისა და 42 სმ სიგანის ადამიანის კბილი, რაც ნიშნავს, რომ მისი პატრონი 7 მეტრი სიმაღლისა და 350 კგ-ის იქნებოდა. ასეთი აღმოჩენებია ტუნისში, მაროკოშიც და ა.შ 2007 წელს ნამდვილი სენსაცია იყო, როდესაც გობის უდაბნოში ბრიტანელმა არქეოლეგებმა 15-მეტრიანი ადამიანის ჩონჩხი აღმოაჩინეს, რომელიც 45 მლნ წლისაა...

18 gv.

საქართველოს დიასპორის სამინისტროს და „საერთო გაზეთის“ ერთობლივი პროექტი

# დიდი თეატრის მარადიული სოლისტი



ზურაბ სოტკილავა

**„ცხოვრებაში ბევრ წარმატებას მივაღწიე. ვმღეროდი პრეზიდენტებისთვის, მეფეებისთვის, მაგრამ ყველაზე მეტად სხვა რამით ვამაყობ. პარიზში გამართული სოლო-კონცერტის შემდეგ, ელისეს მინდვრებზე რამდენიმე ადამიანი მომიახლოვდა, ერთი ოჯახის რამდენიმე წევრი ყოფილა.**

**დედა თავის 13 წლის ვაჟზე მიმითითებს და მეუბნება: ჩემი შვილი უარს ამბობს ქართველობაზე და მშობლიური ენის სწავლაზე. მიმტკიცებს, მე ფრანგი ვარ, თავი დამანებეთო. თქვენს კონცერტს დაესწრო და სრულიად შეიცვალა. მითხრა, არა, ქართველი ვარ, აუცილებლად თბილისში წამიყვანეთო და... ენის შესწავლაც დაიწყო. ნაამბობმა ისე შემძრა, რომ ბიჭუნას ჩემი ოქროს საათი ვუსახსოვრე. რამხელა ამბავია — თავისი ფესვებისადმი გულგრილი ფრანგი მე ქართველად ვაქციე!“**

ეს ამაღელვებელი ეპიზოდი მსოფლიოში ცნობილი საოპერო მომღერლის ზურაბ სოტკილავას ცხოვრებაში მოხდა. 50 წლის განმავლობაში ემსახურებოდა საოპერო ხელოვნებას, არის ყველა იმ წოდებისა თუ ჯილდოს მფლობელი, რაზედაც კი შეიძლება იოცნებოს ამ დარგში მოღვაწემ. იგი იმ იშვიათ მომღერალთა რიცხვს მიეკუთვნება, რომლებსაც დიდი თეატრის სამისდღეშიო სოლისტის წოდება მიანიჭეს (ევგენი ნესტერენკოს, ელენა ობრაზცოვასა და მაყვალა ქასრაშვილთან ერთად). ეს, ერთი შეხედვით, თითქოს გასაკვირია, რადგან ზურაბ სოტკილავა თეატრსა და მის ხელმძღვანელობას დაუფარავად აკრიტიკებდა, როცა საამისო საფუძველი უჩნდებოდა, მაგრამ ამას სკანდალი არ გამოუწვევია და ადმინისტრაციასაც არ დაუსჯია. სად მოძებნიდნენ ასეთ ტენორს?!.

სოხუმში დაიბადა. მამა სკოლის დირექტორი იყო, დედა — ექიმი. ვერავინ წარმოიდგენდა, რომ ეს პატარა ბიჭუნა საოპერო ვარსკვლავი გახდებოდა, მსოფლიოს დაიპყრობდა, ხოლო მის უნიკალურ ხმას უამრავი თაყვანისმცემელი გაუჩნდებოდა. ცელქ და ხალისიან ბიჭს ყველაზე მეტად ფეხბურთი აინტერესებდა, ბავშვობაში მომღერლობაზე არ უფიქრია, მიუხედავად იმისა, რომ დედა და ბებია გიტარაზე უკრავდნენ, ლამაზად მღეროდნენ, თვითონ კი თავისთვის ღიღინებდა მხოლოდ.

**„მახსოვს, ჩამოსხდებოდნენ ეზოში, უკრავდნენ და ძველ ქართულ სიმღერებსა და კომპოზიციებს ასრულებდნენ. საინტერესო იცით რა არის?! მამაჩემმა, რომელსაც მუსიკალური სმენა არ ჰქონდა, როცა არჩევანის დრო დადგა, გავყოლოდი თუ არა საოპერო კარიერას, მხარი დამიჭირა, დედა კი წინააღმდეგი იყო. არადა, მოსწონდა, როგორ ვმღეროდი, უბრალოდ, ჩემი არტისტობა არ უნდოდა.“**

ფეხბურთი, რა თქმა უნდა არ მიუტოვებია. 19 წლისა საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრების კაპიტანი გახდა და ამ ნაკრებმა საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი მოიგო, ორ წელიწადში კი თბილისის „დინამოს“ ძირითად შემადგენლობაში აღმოჩნდა. ყველანაირი მონაცემი ჰქონდა, სახელგანთქმული ფეხბურთელი გამხდარიყო, — მინდორს კარგად ხედავდა, მოწინააღმდეგის ჩანაფიქრს უმალ ხვდებოდა, სწორ გადაწყვეტილებებს იღებდა — რომ არა ერთი საბედისწერო შემთხვევა:

**„1958 წელს ერევნის „სპარტაკს“ ვეთამაშებოდით. მოწინააღმდეგემ ხერხემალზე ფეხი უძლიერესად დამარტყა. ორივე ახალგაზრდა, ორივე ფიცხი — საკუთარი გუნდების მოგებას ვესწრაფვოდით. ერთმანეთს შევასკდით. მეც დამნაშავე ვიყავი, ისიც. უმძიმესი ტრავმით საავადმყოფოში მოვხვდი. ექიმებმა მითხრეს, მადლობა თქვი, სიარულს თუ შეძლებო. ასე გამოვეთხოვე დიდ სპორტს. როცა მივხვდი, რომ ჩემი საფეხბურთო კარიერა დასრულდა, განვმარტოვდი, განდეგილივით ვცხოვრობდი. ერთხელ თავი ვერ შევიკავე და ავტირდი, საკუთარ თავს ვეკითხებოდი — რა გავაკეთო, როგორ გავაგრძელო ცხოვრება?“**

ზურაბ სოტკილავას საოპერო ხელოვნებაში წარმატებებს გაიოზ ჯეჯელავაც „იბრალებდა“ — საქმე ის არის, რომ თბილისის „დინამოდან“ ზურაბ სოტკილავა ორჯერ გააგდეს. ერთხელ ვარჯიშზე რაღაც ისე არ გააკეთა, რის გამოც ჯეჯელავამ გალანძღა. ახალგაზრდა ფეხბურთელმა კი არ დაახანა და გინებით უპასუხა... მოგვიანებით, როცა „საქართველოს დამსახურებული არტისტის“ წოდება მიანიჭეს, გაიოზ ჯეჯელავასაც გადასცემდნენ დიპლომს. სწორედ მაშინ უთქვამს ცნობილ ფეხბურთელსა და მწვრთნელს — მე რომ არა, სოტკილავა ამ წოდებას ვერ მიიღებდა. ფეხბურთიდან მე გავუშვიო.

ტრავმის შემდეგ ყოველდღე და სერიოზულად დაიწყო ვოკალში მეცადინეობა და თანდათან მიხვდა, რომ ეს საქმე მოსწონდა. ამასობაში დიპლომის დაცვის დროც მოვიდა. პრაქტიკაზე დონეცკის ოლქში გაგზავნეს.

**„იქაური ქალი-მაღაროელები ყველაზე მეტად მაოცებდნენ. გამხდარი ვიყავი, მათი მეშინოდა. დამინახავდნენ თუ არა, ყვიროდნენ — გოგოებო, „კაცო“ მოიტაცეთ, აქ მოიყვანეთო. ქართველი ეგზოტიკა იყო მათთვის. სანგრევად სულ სამჯერ ვარ ჩასული. დირექტორმა რომ გაიგო, ფეხბურთელი ვიყავი, ადგილობრივი გუნდის გაძლიერება შემომთავაზა. მაღაროში ფორმალურად ვირიცხებოდი. უკრაინის პირველობაზე გამოვსულვარ ხან ერთი დაბის, ხან სხვა ქალაქის გუნდში ჯულაშვილის გვარით. ვიღაცამ შემომთავაზა და დავთანხმდი“.**

როგორც ბატონი ზურაბი იხსენებს სამთო ინჟინრის დიპლომი 10 ივლისს დაიცვა, 12-ში კი კონსერვატორიაში ჩააბარა.

**„მოსმენაზე რუბინშტეინის მძიმე ნაწარმოები შევასრულე. რექტორი მოვიდა, მომეხვია და მითხრა, შენი თავი ღმერთმა გამოგვიგზავნაო და თან მკითხა, სოლფეჯიო თუ იციო. არ ვიცოდი. ხვალ გამოცდაზე უჩემოდ არ შეხვიდეო. მეორე დღეს ჩამკიდა ხელი და შემიყვანა იმ დარბაზში, სადაც ორი ქართველი კომპოზიტორი გამოცდას იბარებდა. სხვები აუდიტორიიდან გაუშვა, გამომცდელებს კი უთხრა — ამ ბიჭს საგანი მე გამოვკითხე, ხუთზე ვერ მიპასუხა, ოთხიანი დაუწერეთო.**

**კონსერვატორიაში ბარიტონად მიმიღეს. ორი წელი ვსწავლობდი, ფრიადებს ვღებულობდი, მაგრამ როცა ლანცას, კარუზოსა და მარიო დელ მონაკოს ფილმები ვნახე, ვთქვი: „თუ ვიმღერებ, მხოლოდ ტენორი ვიქნები!“. პედაგოგმა ეს რომ გაიგო, მითხრა, მე კი მინდა ესპანეთის მეფე ვიყოო და გამომაგდო. კონსერვატორიიდან წასვლასაც კი ვფიქრობდი. საბედნიეროდ, აღმოვჩნდი დიდებულ დავით ანდღულაძესთან, რომელთანაც ჩუმად ვმეცადინეობდი. მაშინდელი მკაცრი კანონებით, ერთი პედაგოგისგან მეორესთან გადასვლა იკრძალებოდა. როცა ეს ამბავი გაიგეს, გარიცხვა უნდოდათ, მაგრამ კონსერვატორიის მაშინდელმა რექტორმა, შესანიშნავმა კომპოზიტორმა და დიდმა ქართველმა ოთარ თაქთაქიშვილმა გადამარჩინა“.**

კონსერვატორიას უკავშირდება მისი ცხოვრების კიდევ ერთი მთავარი არჩევანი — მისაღები გამოცდების დროს აგურისფერ კაბაში გამოწყობილმა გოგონამ ნაცნობი თუ მეგობარი ყველა გოგონა დაავიწყა:

**„როგორც კი დავინახე, მეგობარს ვკითხე, ვინ იყო. ელისო თურმანიძეა, პიანისტი, მეორე კურსზე სწავლობსო. არაფერი ვიცოდი მასზე, მაგრამ მაშინვე ვთქვი, ჩემი ცოლი გახდება-მეთქი. ასეც მოხდა. მასზე ხუთი წლით უფროსი ერთი კურსით ჩამოვრჩებოდი. ორი წელიწადი ახლოს არ გავკარებივარ — შორიდან ვეტრფოდი. ელისომ, ისევე როგორც მთელმა კონსერვატორიამ იცოდა, რომ მიყვარდა, ამიტომაც სხვა ბიჭები მასთან მიახლოებასაც კი ვერ ბედავდნენ“.**



ორწლიანი „შორით ტრფობის“ შემდეგ პირველი ნაბიჯი გოგონამ გადადგა — კონსერვატორიაში გამართული კონცერტის შემდეგ ვაჟთან მივიდა, კანფეტი გაუწოდა და უთხრა, ძალიან კარგად იმღერეთო. ასე დაიწყო მათი ურთიერთობა. მეხუთე კურსზე დაოჯახება უნდოდა, მაგრამ პედაგოგმა ნება არ დართო — ოპერების მომზადებას, რეპერტუარის სწავლას, ამ რთულ პროცესს ოჯახი ხელს შეუშლისო. მართალია, კონსერვატორიის დამთავრების შემდეგ იქორწინეს, მაგრამ მანამდეც სულ ერთად უწევდათ ყოფნა — ელისო თურმანიძე ზურაბ სოტკილავას კონცერტმაისტერი გახდა. შემდგომ, როცა თბილისის ოპერის თეატრში სოლისტად აიყვანეს, კონცერტებით საბჭოთა კავშირი მეუღლესთან ერთად მოიარა.

**„უზომოდ მადლიერი ვარ ჩემი მეუღლის, რომელიც მთელი ცხოვრებაა მხარში მიდგას. ძნელია, გყავდეს ქმარი-ტენორი — მისი ცხოვრებით უნდა იცხოვრო. ოჯახში ყველაზე ცუდი ბავშვი, რა თქმა უნდა, მე ვარ. ტენორი ყველაზე ცუდი ბავშვია და მისი მოვლა იოლი**



18 gv.

16 gv.

## ქართველი გოლიათები

გოლიათების კვალი არაერთ ქართულ ლეგენდასა და ზღაპარშია. მაგალითად, ამბრი, მითიური გმირი, რომელსაც ქართული მეცნიერება მიწათმოქმედების კულტს უკავშირებს. ჯერ კიდევ ცოცხალი ამბრი დასამარხად 12 ხარ-კამეჩით მიჰყავდათ, როცა ურმიდან ფეხი ჩამოუვარდა და გუთანივით ხნავდა მიწას. ვარაუდობენ, რომ სახეშეცვლილად არის ინფორმაცია გადმოცემული და გზავნილი იმაზე მიანიშნებს, რომ იმ დროის ქართველებს მიწის დამუშავების ტექნიკა და საიდუმლო ცოდ-



ნა იმ გოლიათებისგან ისწავლეს, რომლებიც მათ გვერდით ცხოვრობდნენ და შედარებით დიდ ცოდნას ფლობდნენ.

„შესაქმესაი" პირდაპირ ამბობს, რომ ადამ და ევას შერწყმამდე უკვე იყვნენ ვიღაცები, „თესლის მთესველები"...

ამბრი კიდევ ერთ, მსოფლიოში ცნობილი მითის პერსონაჟ „ამირანს" (პრომეთე) გვახსენებს, რომელიც ქალღმერთ დალისა და ადამიანის შვილია, ანუ დედა სხვა გენეტიკის მატარებელია. ადამიანებთან გაზრდილი ამირანიც გოლიათია, რომელიც ებრძვის დევებს, გველეშაპებს, ღმერთებს... ლეგენდიდან ჩანს, რომ ამირანს აღელევებდა ამბრის სიძლიერე და მასთან შებრძოლება უნდოდა. ამირანის, როგორც გმირის, საბრძოლო ატრიბუტიკაში მნიშვნელოვანია ხმალი, რომელსაც ჩვეულებრივი ადამიანი ვერ სძრავდა. სხვათაშორის, სიტყვა „გმირი", სულხან-საბას განმარტებით ნიშნავს ბუმბერაზ ადამიანს, რომელიც არაადამიანური ძალით გამოირჩევა.

„ქართული დევი", გოლიათი არსება, იგივეა რაც სხვა დანარჩენი გოლიათები, მაგრამ საინტერესო მიგნებაა ის, რომ კაცობრიობის განვითარების განთიადზე გოლიათები იყვნენ ადამიანების „მასწავლებლები" მთელ რიგ საკითხებში, წარღვნის შემდეგ კი თითქოს გონებრივი დეგრადაცია განიცადესო, ადამიანებისთვის უარყოფითი სახეობა გახდა, მოძალადე და ბოროტი, ამავდროულად, ბრიყვიც...



## ჯაფირის საფლავი

ვახუშტი ბატონიშვილის მიერ შექმნილ „ქართლის ცხოვრების" ჩანაწერებში აღწერილია ქართლის, თრიალეთის ქედთან ახლოს, ათენის ხეობაში, ახლანდელ სოფელ დიდ წერედში დაკრძალული ჯაფირის ამბავი, რომლის საფლავის სიგრძე ხუთი ადლია. მეფისთვის არაფრით გამორჩეული „ვიღაც ჯაფირი" მნიშვნელოვანი ვერ იქნებოდა და ასეცაა, სხვებისგან გამოირჩეოდა. ჯაფირი გოლიაათი იყო რომელიც ადამიანებთან ცხოვრობდა. გადმოცემით, მის ერთ წინდაში ოცდახუთი კილო მარცვლეული ეტეოდა, ვახშმად კი ერთი ცხვარი არ ჰკმაროდა. ჯაფირს თავისნაირივე აღნაგობის ცოლი ჰყოლია, ანუ საუბარია ჩამოყალიბებული გენის არსებებზე და არა ფიზიკური ანომალიის გამო „გამაღლებულებზე". თანასოფლელების თხოვნით ჯაფირს მონაწილეობა მიუღია სოფლის ეკლესიის მშენებლობაშიც. ეკლესიას ატყვია „ჯაფირის კვალი" – ეკლესიის კედელში, მიწიდან დაახლოებით სამი მეტრის სიმაღლეზე, პატარა ქვების წყობის შემდეგ მოდის ლოდების წყება. როგორც წესი, ლოდები შენობის საფუძველში დევს, აქ კი, როგორც ლეგენდა გადმოგვცემს, სწორედ ჯაფირის სიმაღლეზეა შემოწყობილი.

რაც შეეხება ჯაფირის საფლავს, არქეოლოგიურმა გათხრებმა დაადასტურა, რომ საფლავი მართლაც პრექრისტიანული სამარხი იყო (ნაპოვნია თიხის წურჭელი და ნემსი), თუმცა, საფლავი უკვე განათხრელი (კულტურული ფენები არეული იყო და საფლავის ზოგი ქვა ჩატრიალებული) დახვდათ და ძვლები მოპარულ-მიმალული.

ვის და რაში შეიძლებოდა დასჭირვებოდა გოლიათის სამარხის გათხრა და მისი (მათი) ძვლების დამალვა? ამ მხარეში მანამდე არ ჩატარებულა არც ერთი ოფიციალური არქეოლოგიური ექსპედიცია; არქეოლოგებს რომ გაეთხარათ, პირველი გათხრის წესი უდიერი არ იქნებოდა; განძის მაძიებლებმა გათხარეს? – მათ არაფერში ჭირდებოდათ ძვლები, ანუ იქვე დატოვებდნენ. დაუდასტურებელი ეჭვია, რომ ეს ჩაიდინა მაშინდელმა „ენკავედემ", რომელმაც დიდძალი არტეფაქტები და მნიშვნელოვანი ინფორმაციის შემცველი წიგნები გაზიდა საქართველოდან. (ესეც არის ერთ-ერთი მთავარი ფაქტორიც იმისა, რომ საქართველოს ისტორია სავსეა თეთრი ფურცლებით და გადაფარულია გაყალბებული ისტორიებით) მართლია, „ენკავედე" წითელი საბჭოეთის პარტიული ორგანო იყო და მაშინდელი საზოგადოებრივი ხაზი ერთმნიშვნელოვნად გამორიცხავდა ყოველივე ზებუნებრივსა და ანომალიურს, მაგრამ ჰყავდათ სპეციალური ჯგუფები, რომლებიც მსგავსი მასალების მოძიებას მთელი სსრკ-ის მასშტაბით ანხორციელებდნენ, ანუ ეჭვია, რომ ჯაფირისა და მისი მეუღლის ძვლებიც მათ სამართლმემკვიდრესთან იქნება...

ამბავი გოლიათებზე სვანეთშიც არის შემონახული და მათი „საძვალე" ადგილებიც, სადაც ადამიანს თავისი მიცვალებულის დაკრძალვა აკრძალული აქვს. სვანეთში გოლიათების მოდგმას „ბუშებს" უწოდებდნენ. გადმოცემის მიხედვით, ისინი ადამიანების გვერდით ცხოვრობდნენ, წარჩინებულთა კასტას მიეკუთვნებოდნენ და ადამიანებს მფარველობდნენ, მაგრამ შემდეგ – ასახელებენ კონკრეტულ გვარსაც, აფრასიძეებს, რომლებმაც სოფელზე ბატონობის გამო გოლიათები ამოხოცეს. ამბობენ, რომ სიმაღლითა და ძალით გამორჩეული ბუშები მშენებლობის საოცარ ტექნიკასაც ფლობდნენ და მათი ნაშენია როგორც მეგალითის ხანის ნაგებობები, ისე – სვანური კოშკებიც.

**(გაგრძელება შემდეგ ნომერში)**

# დიდი თეატრის მარადიული სოლისტი

17 gv.

**არ არის. ყველა როდი უძლებს ამას. ელისომ წარჩინებით დაამთავრა კონსერვატორია, მაგრამ პიანისტობას ოჯახი, ბავშვების აღზრდა, ჩემთვის კომფორტული პირობების შექმნა არჩია. დღესაც ლამაზია, ბრძენი ქალი და ერთგული ადამიანია. საგასტროლო კონცერტების შემდეგ შინ დაბრუნებულს, სამი-ოთხი დღის განმავლობაში ჩემთან არავის უშვებდა, ყველას ეუბნებოდა, ხომ გინდათ, კარგად იმღეროს, დასვენება და ძალების აღდგენა სჭირდებაო".**

ზურაბ სოტკილავა ბევრს მოგზაურობდა, ბევრ სოლო-კონცერტს მღეროდა. ამბობს, ბედნიერი ვარ, ყველა პარტია ვიმღერე, რაზეც კი მიოცნებიაო. ოტელოს როლისთვის იტალიის უმაღ-



ლესი ჯილდო მიიღო – ხელოვნების აკადემიის საპატიო აკადემიკოსად აირჩიეს. ბოლო წლებში წუხდა, რომ ამ პარტიის შესრულებას ველარ ახერხებდა, რადგან თავი შეახსენა იმ ტრავმამ, რომელმაც მისი საოპერო კარიერა განსაზღვრა. თავი იჩინა სხვა პრობლემებმაც. მენჯ-ბარძაყი დიდხანს აწუხებდა, ტკივილებს ითმენდა, ნემსებით იყუჩებდა, მაგრამ საბოლოოდ ექიმებმა მაინც გამოუტანეს ვერდიქტი – აუცილებელია ოპერაცია. 2000 წელს პროტეზი ჩაუდგეს.

**„არანაირი დისკომფორტი არ მქონია, ვიდრე ერთ-ერთი რეპეტიციის დროს ცალ მუხლს არ დავეყრდენი. წამოდგომა ჩემით ველარ შევძელი, პროტეზმა ხელი შემიშალა. სწორედ მაშინ გადავწყვიტე, რომ აქტიურობა შემემცირებინა, სპექტაკლებზე უარი მეთქვა – ასაკში ძნელია გაუძლო გარკვეულ მიზანსცენებს. სპექტაკლებში ვერ ვმონაწილეობ, რადგან ცოტას ვკოჭლობ, ხმა კი, მადლობა ღმერთს, მაქვს. ერთხელ ხანშიშესული ბარონის როლი შევასრულე კომიკურ ოპერაში „მშვენიერი მეწისქვილე ქალი" და ერთმა კარგმა კრიტიკოსმა დაწერა: „ზურაბი, როგორც ყოველთვის, ბრწყინვალედ მღეროდა! და კარგადაც კოჭლობდაო".**

ზურაბ სოტკილავა 1974 წლიდან მოსკოვში ცხოვრობს. ქალიშვილები რუსულ სკოლაში დადიოდნენ. მშობლებს კი სურდათ, მათ მშობლიური ენა სცოდნოდათ. ამიტომ ქართულად ელაპარაკებოდნენ. ბატონი ზურაბი აღიარებს, დედის დამსახურებაა, რომ ქალიშვილებმა კარგად იციან ქართული, მე გასტროლებით მოგზაურობა მიწევდა, შვილებთან ურთიერთობას ხშირად ვერ ვახერხებდიო.

**„ფორმის შენარჩუნება იმით მოვახერხე, რომ მოწაფეები მყავს და მათთან ერთად ყოველდღე ვმღერი. თანაც, მაგარი ოჯახი მყავს, ჩემი ერთგული და საიმედო ზურგი. ორივე ქალიშვილი დაოჯახებულია, კარგი მეუღლეები ჰყავთ. უმცროსი სიძე ცნობილი საოპერო მომღერალია, მღერის ვენის ოპერაში, „ლა სკალაში". მათს შვილს, ლევანს ძალიან უყვარს მუსიკა, მიუხედავად იმისა, რომ ჯერ ძალიან პატარაა, შეუძლია მაღალი ნოტის „აღება" ხანგრძლივად. ხშირად მბაძავს კიდეც. მადლობა ჩემს ქალიშვილებს, რომლებმაც შვილიშვილები მაჩუქეს. ისინი მიხალისებენ ცხოვრებას და როცა „ბაბუ, ბაბუს" მეძახიან, ხელს მომხვევენ და მეფერებიან, ყველაზე ბედნიერი ადამიანი ვარ მსოფლიოში".**

საქართველოში ისე ხშირად ვერ ჩამოდის, როგორც ისურვებდა. ყოველ ჩამოსვლას უმეტესწილად ისე გეგმავს, რომ კონცერტებით, ახალი პროგრამებით გამოვიდეს ქართველი მსმენელის წინაშე, რომელიც ყოველთვის მოუთმენლად ელოდა და ელის მის გამოჩენას კონსერვატორიისა თუ თბილისის ოპერის სცენებზე...

თავისი კარიერის განმავლობაში მსოფლიოს ყველა ცნობილ სცენაზე, დიდი ტრადიციების საოპერო თეატრებში მისთვის საოცნებო ყველა პარტია უმღერია, მას პარტნიორობას უწევდენ მსოფლიოში სახელგანთქმული მომღერლები, აუსრულდა თითქმის ყველა ოცნება, რომლებზეც კი შეიძლება იოცნებოს მომღერალმა... როგორც ადამიანს კი აუსრულებელი რჩება ერთი სურვილი:

**„დედა ახალგაზრდა ასაკში გარდაიცვალა – 49 წლისა. დიდი თეატრის დასში რომ ამიყვანეს, ძალიან მინდოდა, ჩემს პირველ პრემიერას დასწრებოდა. საგანგებოდ ემზადებოდა ზეიმისთვის – შეიკერა კაბა... ამ კაბით დავასაფლავეთ. ყველაზე მწარე ცრემლით დავიტირე. მამაჩემმა მეუღლის დაკარგვის შემდეგ მხოლოდ ერთი წელი იცოცხლა. ახლა აფხაზეთში აღარავინ მყავს. იმ საშინელი მოვლენების დროს ჩემმა ბიძაშვილებმა ოჯახებიანად მიატოვეს თავიანთი სახლები და დევნილებად იქცნენ. ჩემთვისაც უდიდესი ტრაგედია იყო.**

**ეს მეტისმეტად მტკივნეული თემაა, არ მინდა, ვინმეს ეწყინოს, მაგრამ... ერთხელ, შესანიშნავ მომღერალ ხიბლა გერზმავას ვუთხარი, სოხუმში წასვლა მინდა-მეთქი. იქ, მშობლების საფლავზე მინდოდა მისვლა, მაინტერესებდა, იქ რა ხდებოდა, რადგან, ვისაც არ დავუკავშირდი, ვერავინ იპოვა მათი საფლავები. მოულოდნელად ხიბლა შეკრთა და მითხრა, უნდა ვიკითხოო. მოგვიანებით დამირეკა – უფლებას არ იძლევიან. თქვენი იქ ჩასვლა პოლიტიკური აქცია იქნებაო. იმიტომ, რომ ქართველი ვარ?! მე ხომ დედასთან და მამასთან სასაფლაოზე მისვლა მინდოდა".**

**ელზა ნაბახტეველი**

# „მცხეთის ქალაქს მირონი დუღს“



სტუდენტებისთვის კვლევაში მონაწილეობა ფუფუნების საგანია. საბედნიეროდ, მე და ჩემს მეგობრებს გაგვიმართლა და მივიღეთ მონაწილეობა კვლევაში, რომელიც ჩატარდა ქალაქ მცხეთის საკრებულოს დაკვეთით. კვლევის მიზანი იყო, გაეგოთ მოსახლეობის აზრი სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით, რომელიც ქალაქ მცხეთას ეხება. მინდა აღვნიშნო ის ფაქტი, რომ დეკემბერში მსგავსი კვლევა ჩატარდა ქალაქ თბილისში და მოსახლეობის დამოკიდებულება ჩვენდამი, ანუ ინტერვიუერებისადმი საკმაოდ უარყოფითი იყო. სანამ კარზე დავაკაკუნებდით და ვინმე გამოგვეპასუხებოდა, ერთ სიკვდილს გავდიოდით — ეს გამოწვეული იყო იმით, რომ, ხშირ შემთხვევაში, კარს ვინ აღებდა, დიდ აგრესიას გამოხატავდა ჩვენდამი. მცხეთის შემთხვევაში მოლოდინები გაცილებით სხვა იყო, ანუ ველოდით იმას, რომ მოსახლეობა გაცილებით დადებითად შეგვხვდებოდა. საბედნიეროდ, ჩვენი მოლოდინები გამართლდა, რესპონდენტების აბსოლუტური უმრავლესობა გვთანხმდებოდა ინტერვიუზე და ყველანაირად ცდილობდნენ ჩვენს დახმარებას.

რაც შეეხება კვლევას და მის შედეგებს, სურათი საკმაოდ მძიმეა. ამ შემთხვევაში არც მცხეთაა გამონაკლისი დანარჩენი საქართველოსგან და ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა, რომელსაც რესპონდენტების 100% აფიქსირებდა, არის უმუშევრობა. პირად საუბრებში იმასაც დასძენდნენ, რომ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნები მათთვის დიდი იმედი იყო და რატომღაც ყველა ელოდა, მოვიდოდა თუ არ ეს მთავრობა, ყველა სამსახურში აღმოჩნდებოდა საკმაოდ მაღალი ხელფასით. ცოტა დაიჯერა ხალხმა, იფიქრეს, არიქა, გვეშველა, ამოვისუნთქეთო — სწორედ ეს არის ჩვენი პრობლემა, ზღაპრებში რომ ვცხოვრობთ და ჯადოსნური ჯოხის აქნევით რომ გვინდა, ქვეყანას ვუშველოთ. ყველას პირველობა და კაბინეტში ჯდომა უნდა. ასე კი საქმე ვერ გაკეთდება და ვერც ქვეყანას ეშველება. მარტო ეს არ არის იმის მიზეზი, სანამ ახლობელ-ნათესაობის ხათრით დაინიშნებიან თანამდებობებზე ადამიანები და კვალიფიციური კადრები უმუშევრები იქნებიან ან საზღვარგარეთ გაქცევით უშველიან თავს, მანამდე ჩვენი ქვეყანა იქნება ამ მდგომარეობაში, როგორშიც ახლა იმყოფება.

მნიშვნელოვანი პრობლემაა მაწანწალა ცხოველებიც, რომლებიც მრავლად არიან და მოსახლეობას დიდ საფრთხეს უქმნიან. მათზე კი არავინ ზრუნავს. მოსახლეობა აღნიშნავდა, რომ ადრე სპეციალური სამსახურები უზრუნველყოფდნენ მათ წაყვანას, ახლა კი ასეთი სამსახურების არარსებობის გამო ისინი საკმაოდ მომრავლდნენ. ბევრი მათგანი ცოფის ვირუსის მატარებელია და საკმაო აგრესიით გამოირჩევიან ადამიანებისადმი. ამ ფაქტმა ჩვენც შეგვიქმნა პრობლემა და ძალიან ბევრჯერ გადავურჩით იმას, რომ მათი „მსხვერპლი“ არ გავმხდარიყავით. ამით არ მთავრდება მცხეთის პრობლემები. ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა, რაც მათ აწუხებთ, უმუშევრობისა და მაწანწალა ცხოველების შემდეგ — საზოგადოებრივი ტრანსპორტია. შიდა ტრანსპორტი სოფლებთან დასაკავშირებლად (მაგ. მუხრანი) არარსებობა და ასევე, თბილისთან დამაკავშირებელი სამარშრუტო ტაქსი კი აგურის დასახლებიდან (მცხეთა პირობითად იყოფა სამ ნაწილად: აგურის დასახლება, თეატრონი ანუ ცენტრალური ნაწილი და რკინიგზის სადგურის დასახლება) გამოდის და როდესაც მცხეთის ცენტრალურ ნაწილში გამოდის, უკვე გავსებულია და მოსახლეობას ან ფეხზე დგომით უწევს მგზავრობა ან საერთოდ ვერ ახერხებენ ასვლას. ასევე მიუღებელია ტრანსპორტი ფასი, რომელიც 1 ლარი ღირს და სტუდენტებზე, პენსიონერებზე, შშმ პირებზე (შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები) არანაირი შეღავათები არ ვრცელდება. ფასით უკმაყოფილება კი გამოწვეულია იმით, რომ თბილისი-დუშეთის და თბილისი-მცხეთის ღირებულება ორივე შემთხვევაში 1 ლარს შეადგენს. რესპონდენტების უმრავლესობა მოითხოვს, რომ სამარშრუტო ტაქსების სანაცვლოდ ავტობუსებმა იარონ. ეს გაცილებით მოსახერხებელი იქნება მათთვის. აღნიშნავდნენ იმასაც, რომ ქალაქში უცხოური თუ ადგილობრივი ინვესტიციები საკმაოდ შემცირებულია, რაც უარყოფითად აისახება მათ ეკონომიკურ მდგომარეობაზე.



რესპონდენტების უმრავლესობა უმუშევარი იყო და, შესაბამისად, უკმაყოფილოები იყვნენ, როგორც ადგილობრივი მთავრობის მუშაობით, ასევე ქვეყანაში არსებული ზოგადი სიტუაციით. თუმცა იყვნენ დასაქმებული რესპონდენტებიც. ასევე გამოიკვეთა ერთი ძალზე მნიშვნელოვანი ტენდენცია — ოჯახები, რომელთა თვიური შემოსავალი 1000 ლფრი იყო, თავს გაჭირვებულებად მიიჩნევდნენ და უკმაყოფილოი იყვნენ ცხოვაებით მაშინ, როცა სახლში 2 მანქანა ჰყავდათ და სახლში კომფორტის ყველანაირი პირობა ჰქონდათ შექმნილი. მინდა მივმართო იმ „გაჭირვებულ“, გაუმაძღარ ადამიანებს: ნუ არიან უმადურები, რადგან მათ გვერდით ცხოვრობს უამრავი ოჯახი, რომელთაც ხშირად პურის ფულიც კი არა აქვთ და ეშინიათ ხვალინდელი დღის, რადგან არ იციან, როგორ გამოკვებონ შვილები, ოჯახი.

პრობლემები ამით არ მთავრდება, მაგრამ მათი ჩამოთვლა და განხილვა რომ გავაგრძელოთ, ეს ყველაფერი ძალიან შორს წაგვიყვანს. ეს პრობლემები მხოლოდ სპეციფიურად მცხეთისთვის არ არის დამახასიათებელი. ზოგად სურათს თუ გადავხედავთ, ვნახავთ, რომ ანალოგიური სიტუაციაა მთელ საქართველოში.

**მზია ჯავშანაშვილი**
**ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი**

# XX საუკუნე 23 წლის უნიჭიერესი პოეტის დაღუპვით დამთავრდა



15 წლის წინ სიცოცხლე მოისწრაფა 23 წლის გენიალურმა პოეტმა, მწერალმა და მთარგმნელმა **რატი (ტატო) ნინუამ**. ეს ტრაგედია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კედლებში მოხდა და თუმცა მოძღვარმა რამდენიმე დღეში ის ადგილი აკურთხა და დალოცა, რატის განწირული სულის ამონაკვნესი ვერა და ვერ შორდება ამ ამბით გულშეძრულთა სმენას.

სიცოცხლე შეწყდა, მაგრამ ამ ახლგაზრდა კაცის ნაყოფიერი ეროვნული სულისკვეთებით აღსავსე შემოქმედება დარჩა და თუ იგი ჯერ კიდევ არ არის ყველასათვის ცნობილი, ეს უთუოდ იმის ბრალია, რომ მისი წიგნები ჯერ სათანადოდ ვერ მივიდა მკითხველამდე.

რატი ნინუა სკოლის ასაკიდანვე იბეჭდებოდა ისეთ ჟურნალ-გაზეთებში, როგორიცაა: „ნობათი“, „თბილისი“, „ახალგაზრდა ივერიელი“, „ხიდი“, „ალაზანი“, პარიზის სათვისტომო ჟურნალი „გუშაგი“. 1994 წელს გამოიცა მისი პიველი წიგნი **„ალუბლის იალქნები“** (ლექსები). მაშინ ამ ლექსების ავტორი 17 წლის იყო. რატის სკოლის პერიოდში უფრო ტატოს სახელით იცნობნენ და კრებულსაც ტატო ნინუა აწერია. უკვე ამ კრებულშივე გამოჩნდა ლექსები, რომლებსაც დიდი ტატო ბარათაშვილიც სიამოვნებით მოაწერდა ხელს. ლექსების დიდი ნაწილი მაშინდელი ეროვნული მოძრაობის სულისკვეთებით არის აღსავსე. 1989 წლის 9 აპრილს რატი 12 წლის იყო და სწორედ მაშინ, ცხელ გულზე დაწერა ლექსი **„რუსთაველის რაინდები“**, რომლითაც ნამდვილი ხელთუქმნელი ძეგლი დაუდგა მაშინდელი ეროვნული მოძრაობის რაინდებს. ეს ლექსი იმ დღეებში ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში წაიკითხა:

„ფრთათეთრ ანგელოსების
თრთის გაშლილი ბანაკი,
მამულის სამსხვერპლოზე
ადის ხალხი ზვარაკად
ეს რაგსულმა გაშალა
ძველი დროშა ქართული,
დავითის და ვახტანგის
გულებში გარანდული“...

შემდეგ კი, როცა რაინდობა ძმათა შორის სისხლისღვრით შეიცვალა, თავის **„გადამწვარ ღრუბლებში“** ნაღვლიანად წარმოთქვა:

„შესარიგებლად ის
ჩადგა შუა —
ახლა ყოველი
ქართლის შვილია —
შუბლში ესროლეს
მას და ქაშუეთს,
მეორედ მოკლეს გუშინ ილია.“...

შემდეგ გამოსულ რატის ხუთ კრებულს კი პოეტი აღარ შესწრებია. ეს კრებულებია: **„ნატალი“**, (ლექსები, მოთხრობა, თარგმანები), თბ .2004; **„სინბად-მეზღვაური“** (ლექსები, მინიატურები, წერილები, თარგმანები) თბ. 2004; **„ფრიდრიხ ნიცშეს ტრაგედია“** (ფსიქიატრიულ-თეოლოგიური გამოკვლევა), რომელიც რატიმ 1992-1998 წლებში დაწერა; **„ავფრინდებით მე და შენ“** (ლიტერატურული წერილები, ჩანაწერები დღიურიდან და მოგონებები რატიზე) თბ. 2005. **ერთტომეული** (ბიოგრაფიული ნარკვევი, ლექსები, მოთხრობა, მინიატურები, წერილები, დღიურები, ზღაპრები, გამოკვლევა, თარგმანები და წერილები რატის შესახებ) თბ. 2010.

1994 წლიდან რატი თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტია, თარგმანის სპეციალობის განხრით. რატი ჩემი უსაყვარლესი სტუდენტი იყო. მე მას პირველი კურსიდან ბოლომდე პრაქტიკულ მეცადინეობას ვუტარებდი მხატვრულ თარგმანში. უსაზღვროდ ნიჭიერი იყო, ფენომენალური მეხსიერება ჰქონდა.

უნივერსიტეტში რატი თავიდანვე ცნობილი გახდა, როგორც მეტად ერუდირებული ახალგაზრდა. ამ პერიოდში იგი ფრიდრიხ ნიცშეს ფილოსოფიითა და ლირიკით დაინტერესდა. ნაშრომში, რომელშიც ნიცშეს პიროვნება ფილოსოფიურ-რელიგიურ და ლიტერატურულ ასპექტში განიხილა, რატი შეეცადა, დაეცვა იგი იმ ოპონენტებისაგან, რომლებმაც თავის დროზე მისი ნააზრევი შეშლილის ბოდვად გამოაცხადეს.

რატი ინტენსიურად თარგმნიდა: ოსკარ უაილდის ზღაპრებს, ბაირონის, პუშკინის, ესენინის ლექსებს, თარგმნა იულიუშ სლოვაცკის ერთი სონეტი, ბუნინის მცირე მოთხრობები. მისი თარგმანები იბეჭდებოდა თსუ-ს ალმანახ „ექო-სახიერში“, ორენოვან პოეტურ კრებულებში, „ლიტერატურულ საქართველოში“. უნივერსიტეტში რამდენჯერმე მოეწყო მისი ლექსებისა და თარგმანების განხილვა.

თავის სადიპლომო ნაშრომში — **„პაოლო იაშვილის თარგმანის სტილისა და თავისებურებებათათვის“** ახალგაზრდა მკვლევარმა შეძლო პოეტის პიროვნების მართებულად დანახვა და მისი ორიგინალური შემოქმედებისა და თარგმანების პიროვნებასთან მიმართებაში განხილვა.

რატი სხვების თარგმანებსა თუ ორიგინალურ შემოქმედებაში სიკეთეს ეძებდა და თვითონაც იმაზე წერდა, რაც „კეთილად მშვენიერია“. ნარკვევიც დაწერა სათაურით: **„მშვენიერება, სიკეთის სული და ბედნირება“**, სადაც იმ აზრს ავითარებს, რომ მშვენიერია მხოლოდ ის, რაც კეთილია და ზნესრული. სწორედ ამ კუთხით განიხილა მან **გურამ პეტრიაშვილის პოეზია**. ვფიქრობ ასეთი რომანტიკული ალმაფრენით აღსავსე გამოკვლევა მხოლოდ ისეთ სუფთა და უმწიკვლო კაცს შეეძლო დაეწერა, როგორიც რატი იყო. ირგვლივ კი უზნეობა სულ უფრო და უფრო მძლავრობდა, ეროვნული ფასეულობები ირღვეოდა და რატისათვის სიცოცხლემ ფასი დაკარგა.

**რუსუდან ჭანტურიშვილი**

ქვემო ქართლში სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის ადმინისტრაცია ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ქობულეთში დატრიალებული ტრაგედიის გამო და თანაგრძნობას უცხადებს გარდაცვლილი მოზარდების ოჯახებს და მთელ საქართველოს.





„საერთო გაზეთის“ რედაქცია თანაგრძნობას უცხადებს ქობულეთში მომხდარი საშინელი ტრაგედიის დროს დაღუპული მოზარდების

**რევაზ დემეტრაშვილის,**

**თორნიკე ხვიჩიას, დავით ზაქარაძეს**

ოჯახებს, ფოლკლორული ანსამბლ „სიხარული 2“-ის მთელ კოლექტივს, ქალაქ რუსთავს და მთელ საქართველოს.

**ქოზიფას მამათა მონასტრის**
**განვითარების ფონდი**




დარეკეთ ყველა მობილური ოპერატორიდან
**0 901 500 540**
თიბისი ბანკი
ა/ნ GE88TB1117236080100001

**davexmaroT**
**jaba bojguas!**

საბანკო ანგარიშია
GE22BR0000010381699630
ბანკი „რესპუბლიკა“
მანანა გვასალიას სახელზე.
ჯაბა ბოჯგუას დახმარების
მსურველებმა ბილაინის და
მაგთის აბონენტებმა დარეკეთ
შემდეგ ნომერზე 0901 700 039
ტელ.: 599 40 00 13 მანანა გვასალია



# `saerTo gazeTis~ iuridiuli konsultacia



*„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი*
***მთვარისა კევლიშვილი.***
**ტელ.: 2 79 63 91;**
**0 790 60 64 69;**
**5 93 78 64 69**

* * *

**–რა ფორმით და რა პირობებით ხდება ჯარიმის, როგორც სასჯელის სახის, გამოყენება?**

სრულყოფილი ინფორმაციის მისაღებად მთლიანად წარმოგიდგენთ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 42–ე მუხლის შინაარსს:

– მუხლი 42. ჯარიმა

1. ჯარიმა არის ფულადი გადასახდელი.

2. ჯარიმის მინიმალური ოდენობაა 2000 ლარი. თუ ამ კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის შესაბამისი მუხლის სანქცია სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას სამ წლამდე ვადით, ჯარიმის მინიმალური ოდენობა არ უნდა იყოს 500 ლარზე ნაკლები.

3. ჯარიმის ოდენობას სასამართლო ადგენს ჩადენილი დანაშაულის სიმძიმისა და მსჯავრდებულის მატერიალური მდგომარეობის გათვალისწინებით, რომელიც განისაზღვრება მისი ქონებით, შემოსავლით და სხვა გარემოებით.

4. სასამართლომ განაჩენში უნდა მიუთითოს გადასახდელი ჯარიმის ოდენობა ლარებში.

5. ჯარიმა დამატებით სასჯელად შეიძლება დაინიშნოს იმ შემთხვევაშიც, როდესაც იგი ამ კოდექსის შესაბამისი მუხლით დამატებით სასჯელად გათვალისწინებული არ არის.

51. თუ მსჯავრდებული არასრულწლოვანი და გადახდისუუნაროა, სასამართლო მისთვის დაკისრებული ჯარიმის გადახდას აკისრებს მშობელს, მეურვეს ან მზრუნველს.

6. თუ მსჯავრდებული თავს აარიდებს ჯარიმის გადახდას, ან თუ გადახდევინება შეუძლებელია, ეს სასჯელი შეიცვლება საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით, გამასწორებელი სამუშაოთი, თავისუფლების შეზღუდვით ან თავისუფლების აღკვეთით. ამასთანავე, დრო, რომლის განმავლობაშიც მსჯავრდებული იხდიდა ამ სასჯელს, ჩაითვლება საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის, გამასწორებელი სამუშაოს ან თავისუფლების შეზღუდვის ვადაში, შემდეგი გაანგარიშებით: დაკისრებული ჯარიმის 50 ლარი – საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის ოთხი საათი, გამასწორებელი სამუშაოს ერთი დღე, თავისუფლების შეზღუდვის ერთი დღე. ამასთანავე, ჯარიმის ნაცვლად დანიშნული საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომისათვის, გამასწორებელი სამუშაოსათვის ან თავისუფლების შეზღუდვისათვის ბოროტად თავის არიდების შემთხვევაში იგი შეიცვლება თავისუფლების აღკვეთით, ამ კოდექსით სასჯელის ამ სახისათვის გათვალისწინებულ ფარგლებში და დადგენილი წესით.“

* * *

**-სამსახურებრივი საქმიანობის დროს ხელი დამიზიანდა სერიოზული გართულებებით. მაქვს გასაკეთებელი ოპერაცია. ხელმძღვანელობამ უარი მითხრა ოპერაციის ხარჯების გადახდაზე. შემაქვს სარჩელი სასამართლოში. მეკუთვნის თუ არა სახელმწიფო ბაჟის გადახდა?**

- არ გეკუთვნით. დაგიკონკრეტებთ;

- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 46-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების გადახდისაგან თავისუფლდებიან მოსარჩელეები - დასახიჩრებით ან ჯანმრთელობის სხვა დაზიანებით, აგრეთვე, მარჩენალის სიკვდილით მიყენებული ზიანის ანაზღაურების სარჩელებზე.

წარმოდგენილი ნორმის მიხედვით, თქვენი შემთხვევა განიხილება ჯანმრთელობის სხვა დაზიანებად. აუცილებლად უნდა წარადგინოთ სასამართლოში სარჩელთან ერთად ცნობა თქვენი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ და, ასევე, მოგიწევთ მტკიცება იმის შესახებ, რომ ეს დაზიანება თქვენ ნამდვილად მიიღეთ სამსახურში არა თქვენი ბრალეულობით.

* * *

**-შეიძლება თუ არა თავდებობა გამოყენებულ იქნას სამომავლო ვალდებულელებებისათვის?**

-შეიძლება.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 891-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, თავდებობის ხელშეკრულებით თავდები კისრულობს ვალდებულებას, თავდებად დაუდგეს კრედიტორის წინაშე მესამე პირს ამ უკანასკნელის ვალდებულების შესასრულებლად.

ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, თავდებობა შეიძლება გამოყენებულ იქნეს, აგრეთვე, სამომავლო და პირობითი ვალდებულებებისათვის.

**ავეჯის**
**გადაზიდვა**



**593 20 46 87**